ზურაბ კაკაბაძე

ლექსები

პოემები

წერილები

გამონათქვამები

თბილისი
2011

ძვირფასო მკითხველო "მნემოსინე" ეკუთვნის ერთ ნიჭიერ ახალგაზრდას – ზურაბ კაპანაძეს. საკუთარი შემოქმედებით იგი ცდილობს ჩანვდეს უფაქიზესი და უზენაესი გრძნობის – სიყვარულის აუხსნელ ქარაგმას. ვკითხულობთ რა ზურაბის ლექსებს, პოემებსა თუ წერილებს ჩვენც მასთან ერთად გვიყვარს და გვენატრება და მისი სულის თანაზიარნი ვხდებით.

იმედია მკითხველი ლმობიერად მიიღებს მის პირველ წიგნს, რითაც დიდ სტიმულს მისცემს ცხოვრებაში.

გზა დავულოცოთ მწერლობის ასპარეზზე შემდგარ შემოქმედს და ვუსურვოთ შემდგომი წარმატებები.

ტატიანა ვაშაკიძე

მინდა ეს ნანერები იასამნებივით ათრთოლდნენ შენი
მშვენიერების წინაშე, როცა შეიგრძნობენ საყვარელი
არსების სუნთქვით გამონვეულ სინაზეს და თვა-
ლების ალერსიან მზერას სტრიქონებში ჩაქსოვილი
ოცნებების მიმართ.

ზ.

ISBN 978-9941-0-3748-1

ლექსები

ოცნების წყარო

დიდი სხვაობა არის ჩვენ შორის,
ეს შეეხება წელთა ჩვენებას,
მე მეშინია მწარე სისწორის,
რომ განმაშორებს ნათელ მშვენებას.

როდემდე უნდა ვითმინო ბევრი,
ოჰ, სიხარული მაინც მენახა,
შემომვლებია უვალი ტევრი,
მინდოდა გულით გადამელახა.

კარგო, თუ შიგნით დავრჩი ეული,
წამებას მეტად გადავეყარო,
მაშინ წამოდი, როგორც რჩეული,
იმედისა და ოცნების წყაროდ.

სატრფოვ

მე არ დავიშლი უწმინდეს გრძნობას,
რომელიც გულის კელაპტარია
მისდამი მუდამ აღავლენს ტრფობას
ამღერებული ქნარის არია.

რაც უნდათ, ის თქვან ჩემზე ენებმა,
ყოველს ავიტან დიდი წამებით,
ოჰ, დამაცადეთ, გთხოვთ, განსვენება
სატრფოს თვალებით და წამწამებით.

თავი ვაფარე, სიცივის გამო,
უსახლკაროდ რომ ასე ვიყავი,
მშვენიერებავ, ცისკარის ნამო,
დამტოვე შენთან გაურიყავი.

ოცნების ბილიკი

მე დავადგები ოცნების ბილიკს
სიყვარულისგან აღტკინებული,
ოღონდ სურნელი მამკობდეს დილის,
ატმის რტოებით ატირებული.

არ შევშინდები და ვივლი ასე,
ვიდრემდე სული სიცოცხლით კრთოდეს,
მწამს, გადამარჩენს მე სიხალასე,
თუნდ განუწყვეტლივ გრიგალი ქროდეს.

შეგხვდები, მაინც შემოგეხვევი,
დაგაბნევ პერანგს კალების ღილებს,
კრძალვით უთეთრეს ხელებს ვემთხვევი,
სახე კი ნაზად ჩამიღიმილებს.

სიყვარულის ტრფიალება

მე ისე მხიბლავს შენს თვალებში ზღვის მიმოქცევა,
რომ ეფინება გულის სიმებს უცხო სიმშვიდე,
ძნელია ვარდის დამატკბობელ სურნელის ძლევა,
სად საუცხოოდ მოქარგულა წარბთა სიმშვილდე.

გადაიღლება ეს ოცნება უსხივოდ მკრთალი
დამეუფლება მიუწვდომი ცის სიმფონია.
ოთახში ჩუმად ლურჯ ხილვებში შემოდის ქალი,
თეთრი პერანგი ამკობს ძალზე, ვით სიდონიას.

მეალერსება და წამივით ჩაივლის უცებ,
დამრჩება მხოლოდ უიმედოდ თვალები ღია,
გრძნობის კალამი მწველი ლექსით მოქარგავს ფურცლებს,
რასაც ნათელი სიყვარულის ტრფიალი ჰქვია.

წმინდა სანთელი

თეთრი ღრუბელი დაცურავს ცაზე,
როგორც ლურჯ ზღვაში მყოფი თოლია,
მომენატრება შენი სინაზე,
შემოვა გულში მელანქოლია.

რამდენი რამე მეცლება ღმერთო,
ჩემი ბრალია, დავკარგე ძალა,
მინდა უწმინდეს სანთელად ვენთო,
თუ ვინმემ ხელი არ შემიშალა.

განა ძვირფასო, მექნება შიში,
უნდა ვანათო გზები ხვეული,
რათა ვიპოვო ცხოვრების ნიში,
ყველასგან ასე გამორჩეული.

ცის სიმფონია

ეს გატაცება არ არის, ქალო,
უფრო მეტია, ვიდრე მგონია,
დროვ, ცოტა იქნებ კიდევ მაცალო,
რათა შევიგრძნო ცის სიმფონია.

სულ სხვაა მისი ლურჯი თავანი,
დაუვიწყარი, მიუწვდომელი,
შორეულ სატრფოს ალერსს ნამგვანი,
რომელსაც ასე გულით მოველი.

მე გადავიტან ყოველს წამებით,
მივაგნებ ნაპირს და განვისვენებ,
გარდამავალი წუთით, წამებით,
იცოდე, კარგო, შენ გაგიხსენებ.

სიტყვა რჩეული

ეჰ, ამ დროების ბრალია ძალზე,
რომ სიხარული არსად არ არის,
ცრემლი მტანჯველი მადგება თვალზე,
რადგან ვერ ვნახე შენი ნარნარი.

რატომ ვბრკოლდები ამდენი ხანი,
დანაშაული ნეტავ, რაშია?
ძვირფასო, მომეც შორიდან ბანი,
და შემომავლე გრძნობის არშია.

მითხარი სიტყვა,სიტყვა რჩეული,
დამეტყოს ხმაში უკეთესობა,
მე ყველაფერს ვარ გადაჩვეული,
და ყველაფერი ეკლად მესობა.

ვერ შეველევი

რატომ არ იცი, რომ ჩემმა გულმა,
დაკარგა ძილი და მოსვენება,
ხილვამ, შენდამი გადანახულმა,
ღამე დამიწყო სიზმრად ჩვენება.

საით წავიდე, გამქრალან გზები,
როგორც მერცხლები ზამთრის შემოსვლით,
მე დავიწვები საბრალო გზნებით,
და სიყვარულის შუქის შემოსვით.

ეს ყველაფერი ჩაივლის, კარგო,
დარჩება მხოლოდ სიწმინდე მარად,
ვერ შეველევი, შენ რომ დაგკარგო,
მინდა მოხვიდე ჩემს სახლის კარად.

თეთრო მტრედო

 თეთრო მტრედო, რა იქნება,
 სატრფოსაკენ შალო ფრთები,
 თორემ მალე ჩამიქრება
სანთელი და ვერ გავთბები.

მისამართი თუმც არ იცი,
სადმე ნახავ სახით ლამაზს,
გადაეცი მყოფო სივრცით,
რასაც ახლა გეტყვი ამას:

დაუმშვიდე პოეტს გული,
უკან ზღვითო დაუბრუნდი,
საუკუნო სიყვარული
ავაშენოთ ჩვენი ბუდით.

ანგელოზის სახე

შენ ანგელოზის სახე გამშვენებს,
თეთრი ხელები – ფრთების მსგავსება,
გული ოცნების ტაძარს აშენებს,
და ყავხარ, როგორც წმინდა არსება.

ვერ შეგელევა წამი ყოველი,
სიყვარულისთვის მუდამ ეცლება,
ჩემი ფიქრები ასე მთოველი,
დამეფინება თმებზე ვერცხლებად.

როცა გაივლის დრო დანისლული,
შეგხვდები, ალბათ, მიმავალს გზაში,
ბედნიერება იქნება სრული,
და გაზაფხული დადგება მაშინ.

შენზე ოცნება

შემოდგომაში ვიპოვე ძმობა,
დღეები მისი ძალზე ცივია,
შენც კარგად იცი, ძვირფასო, გრძნობა
ტრფობით აღვსილი კვლავ ცალმხრივია.

სხვისი მტრედობა უფრო ჯობია,
სხვას მიაგებო ნარნარა თმები,
ვიდრე ცხოვრებით ვინც უცნობია
და უბრალოა ლექსთა რითმებით.

ზეცის სიყვარულს, ძალზე შორეულს,
დავიცავ მარად უბიწო ცნებას,
თვალებზე ცრემლებს წვიმად მორეულს
გადავაყოლებ შენზე ოცნებას.

სიზმრებში მაინც

გუშინ მთელი დღე ვიარე გზაში,
და დაგეძებდი ასე თვალებით,
სახის სიტურფე არ შემხვდა ხალხში,
დავბრუნდი სახლში ჩამოღამებით.

ოჰ, ღმერთო ჩემო, რა დამემართა,
როგორც მიხმობდნენ ტკბილად ბაგენი,
თითქოს ვალები მათი მემართა,
მე კი მისამართს ვერ მივაგენი.

იქნებ სიზმრებში მაინც დავლანდო,
დამრჩება მარტო იმედის შუქად,
მაშინ მინდა, რომ სიცოცხლე მანდო,
და გადავევლოთ მხარეს ქარბუქად.

შენ გაიზრდები

შენ გაიზრდები ისეთ არსებად,
რომ დაამშვენებ ქვეყანას შორო,
არ გეყოლება არსად მსგავსება,
მზის სინათლის და ვარდების სწორო.

დაგაფასებენ, როგორც მარგალიტს,
შეგინახავენ გულის სიღრმეში,
და დაგერქმევა იმედი ხვალის,
აჟღერებული ქნარის სიმებში.

შემოგეფრქვევა ყვავილნი ირგვლივ,
მე დაგიდგები მახლობლად მხარში,
ოჰ, უნაზესო როცა ჩამივლი
ნეტავ თუ მიცნობ, თუ მიცნობ მაშინ.

ჩემი ოცნება

ჩემი ოცნება შენით იწყება,
მთავრდება ბოლოს ლამაზი წამით,
იმ დროს მგონია, ხელი მიწვდება,
შორეულ მთვარეს, ამოსულს ღამით.

ეს რა გრძნობაა, სიმარტოვეში
რადგან არ ძალმიძს სატრფოს გარეშე,
გაზაფხულია ატმის რტოებში,
რომელიც სურნელს დაათარეშებს.

მინდა ვტკბებოდე, ვცოცხლობდე მისით,
ოჰ, სურვილები ძალზე ბევრია,
ვსვამ სადღეგრძელოს დიდი სასმისით,
კარგად ამყოფე ჩემი ფერია.

უმანკო შველი

მე ვარ ლამაზად გაშლილი ველი,
რომელსაც გრძნობის ნიავი აკრთობს,
შენ, გიშრისთვალა უმანკო შველი,
დადიხარ ფრთხილად და ტრფობით მამკობ.

ნუ გეშინია ამ სიყვარულის,
და დამამჩნიე თამამად კვალი,
რათა შევიგრძნო სიმშვიდე გულის,
ცისფერ ოცნების ნაზი ტრფიალი.

არ მიმატოვო და არ წახვიდე,
თავი მომანდე, კარგო მწყალობდე,
გთხოვ, ქვეყანაზე მაქვს სული ვიდრე,
გასაოცარი ხმით მიგალობე.

ლექსების მიძღვნა

მე არ მიძღვნია ვინმესთვის ლექსი,
თანაც ამდენი, ასეთი გრძნობის,
შიგ ჩავაქსოვე ბევრი ალერსი
სიყვარულის და ერთგული ნდობის.

და გავამართლებ ბრწყინვალე ზრახვებს,
რომ დამყვებოდნენ მტრედების მსგავსად,
შენი სახება თუ ხელს შემახებს,
შემოვევლები უთეთრეს გარსად.

შენი სიმღერები

არ ამიხდება ეს ოცნებები
გადამეცლება ნაზი ფერებით,
ოჰ, მირჩევნია ვიცხრო ვნებები
და მოგისმინო შენ სიმღერებით.

აღელვებულ სულს ძლიერ დაატკბობს
გასაოცარი ხმის შეხამება,
და ნათლის სვეტებს კვალად დაატყობს,
როს დაიწყება შემოღამება.

დაბრუნება გვიან

დაწყნარდი, ავო ქარო,
გადამეღალა გული,
ვიცი, ამაოდ ვჩქარობ
შენ არ ხარ მეგობრული.
დამეუფლება კრძალვა
სატრფოს თვალების ტკბობით,
იგი სულ სხვაგან წავა
დამტოვებს ნაზი გრძნობით.
ჩემი ცრემლები მერე
გადაეღვრება ბილიკს,
ოჰ,როგორ შევიფერე
თეთრი ხელები თლილი.
ლამაზ ზმანების მსგავსად,
მეჩვენებოდი მარტო,
დამრჩები ბრილიანტად
კალამით დანახატო.
დიდი იმედი გქვია
მშვენიერება სრული,
თუნდ დამიბრუნდე გვიან,
მექნება სიხარული.

წმინდა გრძნობები

გულზე მაქვს დიდი სენი,
ვერ მოვიშორე ვერა,
ძვირფასო, ამიხსენი,
მე მხოლოდ შენი მჯერა.
რაა მიზეზი ამის,
ნუთუ სიკვდილი მელის,
მაწუხებს წასვლა წამის,
საჭრფოსთან უნახველის.
ჩემი სიცოცხლე შენ ხარ
და ოცნებებში ტოლი,
ოჰ, დამეცემა მეხად
სხვისი თითების ბროლი.
წმინდა გრძნობები დამრჩა,
შემოხვეული ვაზად
მსურს გაგიშალო ფარჩა
და ზედ იარო ნაზად.

სიტურფის ვარდი

მკრთალ შემოდგომის ფერების ლანდად,
ვიქეცი უკვე დიდი ხანია,
პირველად გაჩნდი სიტურფის ვარდად
და გაზაფხულიც მოგიყვანია.

დღეები სწრაფად წარმავალია,
ფიქრები კიდევ, მგონია, შემშლის,
და მეშინია კარგო, ძალიან,
ვაითუ, ისევ შევცდები შენში.

პატარა დედოფალი

შენ პატარა დედოფალი გქვია,
დაგფენია ციდან ნათლის სვეტი,
სახე გიკრთის, როგორც ლურჯი ია,
და გამხდარხარ გაზაფხულზე მეტი.

სურნელება თან დაგყვება, ვარდო,
უნაზესი და საამო ჩემთვის,
ძლიერდება ქვეყანაზე, კარგო,
მდინარე რომ სხვა მდინარეს ერთვის.

ერთი სიტყვა გადამარჩენს შენი,
დამთავრდება გულის ტანჯვა დიდი,
და ჩვენ შორის გაბრწყინდება ფენით
სიყვარულის საოცნებო ხიდი

თეთრი ანგელოზი

თეთრ ანგელოზად დამყვები თითქოს,
ასე მიფარავ უმანკო ფრთებით,
მარიგებ მხოლოდ, არაფერს ითხოვ,
გისმენ და ლამაზ სიტყვებით ვთბები.

როგორ მციოდა, ვინ იცის, მაშინ,
ახლა სხვაგვარი მქონდა ზმანება,
კვლავ სიხარული დამეტყო ხმაში,
წარსულის არა დამენანება.

მოვმართავ კარგად ამ ქნარის სიმებს,
ლექსების ზღვაში გადავეშვები,
ჩემს სამყაროში ანთებულ იმედს
ლილისფერ წიგნად გადავეშლები.

თუ წამიკითხავს, მიხვდება ყოველს,
გაიგებს, რატომ მწვავდნენ ალები
უსათნოესს და სიკეთის მყოფელს,
ალბათ, ძალიან შევებრალები.

გამომიწოდე ნაზად ხელები,
და აღმადგინე, ძვირფასო, მკვდრეთით,
მადლობას გწირავ, შემოგევლები,
რადგან ამქვეყნად ერთი ხარ, ერთი..

შენი ხმა

მესმის შენი ხმა, მაგრამ ვერ გხედავ,
და გული ჩემი მღელვარებს ძლიერ
ახლავ მომშორდი, მტანჯველო სევდავ,
ზღვა სიყვარულის შუქით ხომ გძლიე.

ეს საკმარისი მაინც არ არის,
რადგანაც მინდა ოცნება სულის,
ნაზად შეხება თმის სინარნარის,
ვარდის სურნელით დამშვენებულის.

თუ სხვაგან წახვალ და გამეცლები,
დრო დაგვიდგება დამშვიდობების,
მოფრინდებიან, როგორც მერცხლები,
მუზების რიგი ტკბილი გრძნობების.

პირველმა

მე შეგამჩნიე მაშინ პირველმა,
ისე, სურათით და არა ცხადად,
შეგიგრძნო ძლიერ მუზების ველმა,
გაქცია თავის უტურფეს ვარდად.

ოჰ, რა დრო იყო, ნისლში მცურავი,
და გამახარე მზეებრ ამოსვლით,
ვიყავი უცმელ დაუხურავი,
შენ დამეფარე თბილი სამოსლით.

ვინ გაიგონოს გრძნობის სიტყვები,
ვინაც წრფელია და არ ფერხდება,
თუკი შენ ახლა სხვა გზას მიჰყვები,
ოდესმე ჩვენი გზებიც შეხვდება.

კვალი

არ მინახიხარ, მაგრამ მე ვიცი,
სახეა შენი სათნოდ მეტყველი..
ეს ოცნებები გაფანტე სივრცით
და ჩემი გულის კარებს შეხველი.

და დაამჩნიე ტერფების კვალი,
წარუშლელია მათი ზმანება,
მსურს, დაგიბრუნო უკლებლივ ვალი,
ისე, რომ არა დაგენანება.

ჰოდა, გიგზავნი შორეულ მხარეს,
გულის სინაზეს და სულის ტრფობას,
მიიღე ძღვენი, თუ გაგახარებს,
დავზავდეთ, ბოლო მოეღოს მტრობას.

მოგეფერები

მოგეფერები ჩემი ლექსებით,
შორით მყოფელო ოცნების ქალო,
ქნარი მეღლება იმ აკვნესებით,
ცხოვრება როგორ გამოვიცვალო.

არა აქვს უკვე არაფერს აზრი,
რადგან აღვსილვარ სოფლიურ შხამით,
მიშველი, ოღონდ შენი თმა ნაზი
გააფრიალე თუნდ ერთი წამით.

ხმა უნაზესი

ყელი შველივით მოგიღერია
პატარა ქალო, ოცნების მფენო,
ასე არვისთვის არ მიმღერია,
ჩემი ლექსებით მსურს დაგამშვენო.

მიიღე ჩემგან მცირედი ძღვენი,
მაგრამ ძლიერი გრძნობით შობილი,
გაიხანგრძლივე, დაიტკბე დღენი
მუდამ იყავი გულს მინდობილი.

იცოდე, შენთვის ვინ არის კარგი,
მოგშორებოდეს ბოროტი უმალ,
გემღეროს ისე, რომ ზეცის კარით
ხმა უნაზესი ესმოდეს უფალს.

როგორც რითმები

სახე ყვავილად დაგმშვენებია,
თვალებზე ზეცის ნამი გედება,
როცა მუზები დაეშვებიან,
დაგიწერ ლექსებს ლამაზ გედებად.

გამოგიგზავნი, თუ შევიძელი
და გადაფურცლე ნაზი თითებით,
იცოდე, კარგო, ოცნებით გელი
შევეწყოთ ერთურთს, როგორც რითმები.

ჩემი ვნებანი

მხოლოდ სიტყვები, ვწუხვარ, არ კმარა,
რომ სიახლოვე შევიგრძნო მეტად,
ამ წვიმას მაინც გადაეკარა,
ალბათ ცხოვრებას შემარჩენს კენტად.

საით ვეძიო ნუგეში ჩემი,
როცა სიყალბეს ვუცქერი ირგვლივ
მგონია, ზოგჯერ ინთქმება გემი
ზღვის ლურჯ ტალღებში და ვეღარ ვივლი.

ოჰ, მაპატიე ჩემი ვნებანი,
მიუწვდომელო, მთვარის ნათელო,
მინდა გიმღერო ნაზად ებანით
და სიმარტოვე ფეხქვეშ გავთელო.

ნავი

ჩვენ გვიცდის ნავი დიდი ხანია,
ნუ აგვიანებ, წავიდეთ ორი,
სადაც არარა დასანანია
სიმშვიდე სუფევს ყველასგან შორი.

ნუ შეგაშინებს ზღვის აღელვება,
ქარის ქროლვისგან გამოწვეული,
ცას სინატიფე გადაეკვრება,
როცა იმღერებ უმანკო გულით.

მოეფინება მიდამოს ხმები,
როგორც სინაზე ორქიდეების,
და გაოცებით მერე მიხვდები,
უსაზღვროებას ზღვის კიდეების.

გადაგეშლება სივრცის რკალები,
გაკრთება შენში სურვილი დიდი,
აფრინდე მაღლა, ნახო თვალებით
სიყვარულისგან შეკრული ხიდი.

მთვარე

მთვარე, რას მეტყვი ახალს,
იღლება ქნარი სიმის,
ნუთუ, ვერასდროს ნახავს,
თვალები სატრფოს ღიმილს?!

არ მსურს ვიწამო, არა,
სხვასთან წუთი და წამი,
ოჰ, ყოველივე კმარა,
ეს სატანჯველი ღამით.

მე მეშველება მაშინ
როს დაბრუნდება იგი,
ვარდებს დავაბნევ თმაში
შევაფრენ გულის შიგნით.

გულის ცემა

რატომ არ გესმის ამ გულის ცემა,
როგორც დინება მშფოთავ წყაროსი,
მინდა დასრულდეს ტანჯვა და გვემა.
ვიხილო ტკბობა სხვა სამყაროსი.

რომელშიც ასე გაიდგი ფესვი,
და გაიელვე ვარსკვლავის შუქად,
მშვენიერებავ, მოსილო ფრესკით,
იქცა ცხოვრების ფერები მუქად.

ნაზი თვალები ჩემი ხსნა არის,
მიმოფენილი ვარდების წყება,
დიდი იმედი, გამღები კარის,
რაც არასოდეს დამავიწყდება.

შენზე ვწერო

მე შემიძლია შენზე ვწერო დაუსრულებლად,
ტბის გედის ფრთებით შემოგავლო ნაზი ფთილები,
თუნდაც დამშორდე, შორს წახვიდე დაუბრუნებლად,
მოგეკიდები საიმედოდ და გაფრთხილებით.

გამოაცოცხლებ მოგონებებს თმების შერხევით,
ოდესღაც სიტყვებს აღელვებულს გრძნობის სიმებით,
და ვინ დამიშლის, როცა სურათს გადავეხვევი,
დაიფარება ყოველივე ლურჯი იებით.

არა შემრჩება, ბოლოს მაინც ვიქნები ისე,
მიტოვებული როგოც ზღვაში პატარა ნავი,
გადააქანებს მას ტალღები შორეთში მყისვე,
ძნელი იქნება მერე სადმე ვიპოვო თავი.

მინდა მომენდო

მინდა მომენდო, ლამაზო ქალო,
გული სიწრფელის დამქარგველია,
მომიახლოვდე ოცნებავ მფრთხალო,
ნაზად მოიხსნა ეგ საფარველი.

თუ მომცემ იმედს, ვიქნები შვებით,
გადაგეშლები ზღვის ნაზ ველებად,
თვალთა სხივები ბოლოს მშვენებით
ჩემს ლურჯ ტალღებში ჩაესვენება.

სხვებზე რჩეული

ეჰ, გამართლება ჰქონოდა მაინც
ჩემი ცხოვრების გაზღვაოსნებას,
გავიხარებდი, ძვირფასო, მეტად
და არ შევწყვეტდი შენზე ოცნებას.

ზოგჯერ მგონია, განმარტოებით
როცა მივდივარ, დამყვება ჩრდილი
და მეშინია მოხედვა უკან,
გამახსენდება სვე გადახრილი.

აქ მალე მოვა ზამთრის ციება
და მიჩუმდება ქნარი ჩვეული,
მშვენიერება გიკრთის იებად,
რადგანაც გქვია სხვებზე რჩეული.

ზღაპარი ამკობს

ამ სიყვარულში მქონდეს მსვლელობა,
გულში სიამით რამდენჯერ მეთქვას:
შენი მშვენება, მომხიბვლელობა
როგორ წააგავს ზეციურ ღმერთქალს.

ნაზი თვალები კელპტრებია,
თმები რხეული, სურნელის მფენი,
წარმოუდგენლად მენატრებიან
ატმის ყვავილთა მსგავსი ბაგენი.

და ამის შემდეგ რა დამამშვიდებს,
ღამეებს ვათევ გადავერცხლებით,
ნეტავ ოცნება აფრებს აშლიდეს,
რადგანაც სატრფოს ვერ გავეცლები.

ჩემი სიმღერით ავაწყობ აკორდს,
აგიხსნი კარგად ამ ტრფობის ამბავს;
ორის ცხოვრებას ზღაპარი ამკობს,
ვინახავ მშვიდად იდუმალ ამბავს.

დღის გათენება

დღის გათენება სასწაულია,
არ შეიძლება შეხვდე ჩვეულად,
ნეტავ ოცნებას სად წაუღია,
ჩემი ფიქრები, მყოფნი ეულად.

გულს შენი სახე სიცოცხლით ფოთლავს,
გავივსებ ღვინით გრძნობის ფიალას,
დავლოცავ ნაზ თმებს, გრიგალად მქროლავს,
და გადაგიშლი ტურფა ფიანდაზს.

შენი მოვლენა

ნეტავ ვინც მიყვარს, იგი სად არის,
რომელ ქვეყანას ამშვენიერებს,
აქვს საუცხოო ხმა სისადავის,
და სურნელება, როგორც იელებს.

ვიცანი მთვარედ და ვიცანი მზედ,
ვუძღვენ ლექსები მომნუსხველ ასაკს,
ხშირად გამოკრთა იმედის ქიმზე,
თუმც, ვერ წავაწყდი სასურველ არაკს.

გავიდა ხანი, მიმოვალ ობლად,
დავმსგავსებივარ ხის ყვითელ ფოთოლს,
და სიყვარულში ასე უგრძნობლად,
ალბათ, ძვირფასო, სულ მალე მოთოვს.

მაინც გამღერებ ოცნებით ქნარზე,
უპირველესო, სულის მოლხენა,
მხოლოდ ერთს გეტყვი, ამ ქვეყანაზე
დღეგრძელი იყოს შენი მოვლენა.

ნუ გაშინებს

ეჰ, ძვირფასო, როგორ გითხრა:
უნდა დავყვეთ წმინდა ნებას,
შევუზავოთ სიყვარული
აიაზმით სავსე ემბაზს.
ნუ გაშინებს ნურაფერი,
ნუ ენდობი სხვათა ენას,
მოდი, ჩქარა მოცქრიალდი,
რომ დავიწყოთ ცაში ფრენა.
გედებს მხარში ამოვუდგეთ
და ვიმღეროთ ტბაზე ღამით,
გავერიოთ თეთრ ვარდებში,
მშვენიერო, სითამამით.
აბა მეტი რა შეგვრჩება,
დარდი, ფიქრი უკვე კმარა,
ნატვრა დამიგვირგვინდება,
თუკი ღმერთი დამეხმარა.
განა რამე დავაშავე,
გული ვუძღვენ გულის რჩეულს,
ნეტარება დამაცადეთ,
ყველაფერში ასე ეულს.

ძვირფასო შენზე

სხვაა ოცნება, ძვირფასო, შენზე
სინატიფეში მარად ქებული,
ვით კავალერად მიმოსვლა გემზე,
სატრფოსთან ერთად დამშვენებული.

სულის ქროლვა ხარ და გულის ფეთქვა,
გამაისება, სიცოცხლის კრედო,
იქნებ რაიმე ნუგეში გეთქვა,
მოფრენილიყავ ახლოში, მტრედო.

როგორ გავუძლებ თვალებით თრობას,
დაგიწერ მრავალ ლექსსა თუ წერილს,
და ჩვენს სანატრელ ურთიერთობას
მე არასოდეს დავუსვამ წერტილს.

ვარდობის თვეში

ვარდობის თვეში დაბადებულო და თავად ვარდო,
უფაქიზესო, მშვენიერო, ქმნილებავ სულის,
მსურს სიყვარული შენი გულის ცემას მივანდო
და ასე ვიგრძნო სიხალისე სხვა გაზაფხულის.

შენზე ოცნებით მეუფლება თეთრი ხილვები,
თითქოს ზღაპარი გაიშალოს სიოს ლაციცით,
მომენათება სანატრელი თვალთა სხივები,
გაცისკროვნებით განფენილი უშორეს სივრცით.

ნატიფ თითებით შემასწავლე ცხოვრების ქარგვა,
რათა წარმოვთქვა ეს სიტყვები მეტი ყველაზე:
ყოფილიყავი აღმატებით სულ მუდამ კარგად
გამორჩეული და პირველი ნათელ სცენაზე.

მომეცით თასი

კარგო მიშველი თუ მოინდომებ,
და დამანახებ ზღაპრის დასასრულს,
გამარჯვებული ვიქნები ოჰ, მე
მივაღწევ ყველა მიზანს დასახულს.

მაგრამ ჯერ კიდევ ისევ შორია,
ახდეს სურვილი ლამაზი ფერის,
ქარს ცხოვრებაში დაუქროლია
მიტომ არა მაქვს დრო შენი ცქერის.

და ვის გავანდო კაეშნის არსი,
ვინ გამინათებს ჩამომდგარ წყვდიადს,
მსურს ვადღეგრძელო, მომეცით თასი,
საყვარლის თმები მხრებს რომ აწყვია.

სასახლეში

მინდა, რომ გნახო შენ სასახლეში,
უთეთრეს ვარდებს დაგიფენ გზებზე,
შეგხედავ კრძალვით ლამაზ სახეში,
და გაბრწყინდები მეტად, ვით მზეზე.

ხალხთა სიმრავლე იქნება ალბათ,
მხიარულება, დიდი ხალისი,
გაიფრიალებს ნიავად კაბა,
მიმზიდველობით გაუსაძლისი.

სხვების წინაშე ამ სიტყვებს გეტყვი:
გამომიწოდე მთრთოლვარედ ხელი,
ოჰ, დამიჯერე, გულწრფელად გელტვი,
გავლიოთ ერთად ცხოვრება გრძელი.

შენი თვალები

მე ხშირად ვუსმენ სიმღერებს შენსას
თითქოს მექეცი მგალობელ ჩიტად,
გულს სურს ძალიან თავისთან შეგსვას,
და გაგიყოლოს ცხოვრების დვრიტად.

თუ დაგვაშორა დრომ, კარგო მაშინ
გავუძლებ მაინც თოვლსა და ყინვას,
გავხდები ღირსი, ოდესღაც, ცაში,
ვიხილო შენი თვალების ბრწყინვა.

გაგეტოლები

ეჰ, შენ რა იცი, რა მემართება,
როცა დღეები ჩემი მიდიან,
იმედის სხივი არ მენათება,
ცხოვრების სიღრმე კიდევ დიდია.

და როგორ გავძლო ამდენი ხანი,
გაითელება ჩემი არსება,
გადამეცლება მომავლის გზანი,
გული დაიწყებს სევდით გავსებას.

თუ საბოლოოდ გავიწირები,
ლექსებში მაინც ხომ მეყოლები,
ვით მონავარდე ტყეში ირმები
და სიამაყით გაგეტოლები.

გავიყოლიო

თუნდაც რაიმე აუგი მესმას
აუხდენელი, მომავლის ვარდზე
პასუხი გასცეს მრავალმა ლექსმა,
ერთი რომ მყავდი ამ ქვეყანაზე.

და ეს არ ნიშნავს სიტყვებს უბრალოს,
როგორ აგიხსნა, მშვენებავ ჩემო,
შენ ყველაფერი უწყი უფალო,
და მზად ვარ ახლაც ძლიერ ვიგვემო.

შეგვედრებ, შემრჩეს მშვიდი თვალები,
თეთრი თითები თმათა შოლიო,
ცხოვრების გზაზე გაბრწყინვალებით
მსურს საიმედოდ გავიყოლიო.

ჭეშმარიტება

მიგრძვნია ერთი
ჭეშმარიტება
შენი თითების
ევკალიპტებად.
მელნდებიან
ღამის სიზმრებად,
ოქროვდებიან
ლამაზ სირმებად.
თითქოს ვეხები,
ველაციცები,
და სიხარულის
ფერად ვიცვლები.
მაშინ ძვირფასო
ცხადი მგონია,
შეთანაწყობა
და ჰარმონია.
სიფაქიზეში
მშვიდდება გული,
ისმის სიცოცხლის
სხვა ჟრიამული.
როგორც რითმების
საამო მღერა,
გატაცებული
თვალებით მზერა.
და გული ჩემი
თაფლივით ტკბება

თუმც, რომ ვიღვიძებ
ყოველი ქრება.

ნაზი ქმნილება

 რა ლამაზი ხარ,
ნაზი ქმნილება
უნატიფესი
სრულყოფილება.
თქვენი თვალები
მღელვარე ზღვაა,
და ერთადერთი
სახსნელი გზაა.
ჭეშმარიტება
რითაც მიცვნია,
და არასოდეს
არ გამიცვლია.
ზეცის ვარსკვლავად
აკაშკაშებავ,
იქნებ მცირედი
მომფინო შვება.
და დამანახო
წალკოტის კარი,
სად სიმშვიდეა,
მზიანი დარი.
გამოაღვიძე
იმედი ისე
და მიძინებულს
ჩაუკისკისე.
როგორიც იცი
ღიმილი სახის
ეს ყოველივე
ოცნებას ახდის.

მშვენიერება

შვენიერება ეს ისეთია,
რომ ვერ ეცლები
მშვენიერება მხოლოდ ერთია
თვალთა მერცხლებით;
ზღვის სიმშვიდეთი აცეცდებიან
გულის კარებში,
და უნაზესად აცეკვდებიან
სულ სხვა მხარეში.
და რა გაჩერებს ამდენი ხანი
არ იცი, არა,
თუ სიყვარულის ნათელ მზედ ცანი
ლოდინი კმარა.
აუშვი თეთრი აფრა იალქნის
ფიქრად მთოველი,
გადაივიწყე კვნესა იარის,
დათმე ყოველი.
გაცისფერდება ოცნების თაღი
სულის ქროლვაში,
შემოგეხვევა ვით ბაირაღი
ქალის ლტოლვაში.
მიუახლოვდი ზღაპრულ დიდებას
ნექტარს შეგასმევს,
დაიწყებს შენი გზით დამკვიდრებას
და ივლით ასე.

სულის პრინცესა

სულის პრინცესა, შემოგტრფი რადგან,
უნდა ვიტანჯო ძალიან ბევრი,
შექმნილთაგან თუ შეუქმნელთაგან,
შენა ხარ ჩემი დიდი შედევრი.

და არ არსებობს სხვა გაოცება,
სხვა აღმატება ზეცის კიდეთა,
გადმოფრქვეული წმინდა ლოცვებად,
როგორც შრიალი თეთრთა რიდეთა.

თუ სიყვარულის მაღელვებს სიმი,
ან გაზაფხულად გამოკვირტება,
ვგრძნობ, ახლოშია იმედის ქიმი,
გულს ახალისებს ლამაზ გვრიტებად.

გეხმიანები შორეულ მხრიდან,
მშვენიერ კალას, ედემში ნანახს,
მე სიყვარული აკვნიდან მზრდიდა
და მიმღეროდა უტკბილეს ნანას.

მილიარდები

არ მსურს არავის
მილიარდები,
ოღონდ გაშალე
თმათა ფარდები,
წუთით დამმალე
ამ ცხოვრებაში,
რომ დავიღალო
მე შენს ქებაში.
ულამაზესო,
უნეტარესო,
ნუ მეტყვი ბაგით
სიტყვებს მწარესო.
მაჩუქე ტრფობა
სიამის მგვრელი,
სურნელოვანი,
როგორსაც ველი.

თორემ დღეები
მიიჩქარიან
და მპირდებიან
ამინდს ქარიანს.
ვაითუ, სადმე
დავეცე ძლიერ
და გატანჯულმა
სულიც დავლიე.
ოჰ, მეშინია,
ნათელო ნებავ!
უსიყვარულოდ
ეს გული დნება.

ლოდინით გელი

თვალები გეძებს,
ერთხელ ვერ გნახეს,
თუმც, მინდა გული
რომ ღირსი გახდეს,
იმ სიყვარულის
ფაქიზად ვლენის,
რასაც კი შეტრფის
რაინდი შენი.
იშლები ვარდად
ახალ იმედად,
გრძნობების მუზავ,
ქებას გიბედავ.
ლოდინით გელი
ველის ბულბულო,
და ქვეყანაზე
ასე ვსულდგმულობ.

პირწმინდა ვალი

მოჰგავხარ ღრუბელს, რომელსაც ცაზე
ქარი ნავივით შორს მიაქანებს,
ამკობს ისეთი თეთრი სინაზე,
რომ ჩემი გულის დარდებს აქარვებს.

მაღლაა, მაღლა შენსავით მყოფი,
მისი მიწვდომა რარიგ ძნელია,
გადამშვენდება ოცნებით სტროფი,
დაგეფინება თმებზე ფერია.

უკვდავო ღმერთო, მომეცი ძალი,
ნუ ამიხდება ეს ნატვრა გვიან,
მსურს აღვასრულო პირწმინდად ვალი,
რასაც ტრფობისთვის განწირვა ჰქვია.

პაწაწინა გოგონაო

რა კარგია ეს ლექსები
შენი ტრფობით დაისრული,
გულს გაგიდგამს ღრმად ფესვები,
მიტომა ვარ დანისლული.

სიმღერებით დამეხმარე,
რომ ოცნებამ შალოს ფრთები,
მოვიარო მთელი მხარე,
ლურჯი ზღვა და დიდი მთები.

და მოგართვა ბევრი ვარდი,
ჩემზე ცუდი არა თქვაო,
გაგაბრწყინო, ვით ლაჟვარდი,
პაწაწინა გოგონაო.

მზეო ნანატრო

გზად მივდიოდი და შეგამჩნიე,
ჩემი თვალები დაიბნენ უცებ,
ულევ ვარდებში შენ შეგარჩიე,
შეჰმატე წმინდა გრძნობები ფურცლებს.

არ მკითხო, მაინც ვერ გიპასუხებ,
რატომ მოგძებნე სინაზის მგვრელო,
და ასე შორს მყოფს, ყველასგან უხებს,
მსურს ცისარტყელად რომ შემოგევლო.

თუ მიმეგობრებ, თუ მომენდობი.
ვიქნებით ორნი არ ვივლი მარტო,
და საიმედოდ შენ მოგეყრდნობი,
ზღვა ოცნებებში, მზეო, ნანატრო.

შენი სადიდებელი

თუმც ერთმანეთი არ გვინახია,
აღელვებული გული ისეა,
თითქოს დიდი ზღვა დამილახია,
წარმოჩენილა, ვით ოდისეა.

გადაგეშლება სინაზით იგი,
გადავერცხლილი მიდამოს ფენით,
გრძნობით შობილი პატარა წიგნი,
სავსე სიმშვიდით და აღმაფრენით.

მიიღე ჩემი უბიწო კრძალვა,
ვარ საიმედოდ ვარდის მხლებელი,
არ დავიშურო ტანადო ალვა
სიტყვები, შენი სადიდებელი.

ედემის ბაღი

ტანის მიმოხვრა, ნაზი თითები,
გადამექცევა ოცნებად მარად,
ეს ყოველივე, როგორც რითმები
მიმყვება ვიცი, სამარის კარად.

როცა ამ ქვეყნად აღარ ვიქნები,
და შემიერთებს ცის ლურჯი თაღი,
მაშინაც შემძრავს მწარე ფიქრები,
შენი ღიმილი–ედემის ბაღი.

გულის ვედრება

მშვენიერ გოგოს მე ვეტყვი სალამს,
გრძნობაანთებულს,შორეულ გზაზე
მისთვის მოვმართავ საწერად კალამს
და ავამღერებ ლექსების ხმაზე.

ნეტავ, გაიგოს გულის ვედრება,
მივიწყებული უბრალო ბიჭის,
რომ ყოველი დღე ღამეს ედრება
და ასე მერე ძალიან მიჭირს.

დავატარებდე უნდა როდემდე
სულით ობლობას, დამცინებ ნუკი,
მინდა, ძვირფასო, გვერდით მომდევდე,
როგორც პატარა ნაზი შვლის ნუკრი.

სურვილი

მინდა გხედავდე სულ გაღიმებულს
რადგანაც შენ ხარ ჩემი მკურნალი,
და ყველაფერში ასე ღირებულს,
გადაგიშალე ტრფობა მხურვალი.

იქნებ როგორმე დამიახლოვო,
უარს ნუ მეტყვი დიდ სიყვარულში,
ამაზე მეტი რა უნდა გთხოვო,
ერთი სურვილი მინთია გულში

ვიცი, ვერაფერს ვერ დაგაძალებ,
მაგრამ პასუხი მომეცი მგოსანს,
გულს სიხარული მომგვარე მალე
და მდუმარება ბაგეს ნუ გმოსავს.

ყვავილთა გროვა

დამიკრეფია ყვავილთა გროვა
დამიხატია ოცნება ლურჯად,
თეთრი ქალი თუ ოდესმე მოვა,
გადავიქცევი უმალ ფასკუნჯად.

შევისვამ ფრთებზე, გავანავარდებ
და ცად ღრუბლებში დავიდებთ ბინას.
ნაზი გრძნობებით გადავაგვარებ,
ჩავეკონები სულ პაწაწინას.

ნუ მომატყუებ

ნუ მომატყუებ, თუნდ დამცირება
დასცდეს მრავალი მშვენიერ ბაგეს,
მოსალოდნელი გზით დაცილება
ჩვენ შორის მრუმე კედელს ააგებს.

სად გახსენება იელვებს ფარდად
უწინარესად აღმატებული,
სულზე უტკბესი როგორ მიყვარდა,
თმებით, თვალებით ასე ქებულით.

მე არასოდეს არ ვიტყვი აუგს,
მხოლოდ ერთია, ვიქნები ნისლში,
გადავეყრები რამე უცნაურს,
დამეკარგება ცხოვრების ნიში.

შენი სიცოცხლე

მე არ ვიწამებ სხვისას არაფერს,
შენი სიცოცხლე მიწამებია,
ლამის ჩავარდე მაღალ ქარაფებს,
რადგან მახლობლად ავი ხმებია

ყოველს მავიწყებს სურნელი დილის,
მაშინ იმარჯვებს ნათლის იდეა,
მოვნახავ ლამაზ ოცნების ბილიკს,
სად სიმარტოვე და სიმშვიდეა.

ვიქნები დიდხანს სინარნარეში,
თუმცა, სიშორე მაინც ერთია
და დამიჯერე, კარგო, მხარეში
ეს ყველაფერი სიზმარეთია.

კარავი

შენ ჩემთან ყოფნით დაიტანჯები,
გული წინასწარ ყველაფერს ხვდება,
სადმე წავალ და მარტო დავჯდები...
ოცნება ასე განმიახლდება.

და დამიუფლებს წერის სტიქია
კვლავ აჟღერდება მუზის არია;
მშვენიერების ქება მითქვია,
სატრფოს თმებით რომ ხელი დამრია.

ნეტავ გაჩნდები დროის მიმოსვლით?
მსურს გაგიშალო ველზე კარავი,
და თუკი მოხვალ მორცხვი მიმოზით
მოვა სინათლეც დაუფარავი.

ცრემლები

ცრემლებს რა ვუთხრა,
უმანკო ცრემლებს,
რომ დაფრქვეულა
გაყინულ ხელებს.
საით წავიდე,
გრძნობები მამხელს,
ვეალერსები
შენს ლამაზ სახელს.
შორეულ გზაზე
მიუკარებლად,
თვალებს ანთებულს
ტრფობის კარვებად,
არ შეიძლება
შევხვდე უბრალოდ,

ვეჩურჩულები,
ჩემთვის ვუგალობ,
გქონდეს დღეები
ყველაზე მშვიდი,
და სიყვარული,
ძალიან დიდი.
როგორც სიწმინდე
ამაღლებული,
და სათნოებით
გამართლებული.
ნატვრის ახდენა,
ნათელი სცენა,
ტაშის გრიალი,
ვარდების ცვენა.

ქუჩიდან

ერთხელ ფიქრებმა ძლიერ მაწვალეს,
იმ დღეს, ძვირფასო, წვიმდა უწყვეტლივ,
და მოკლებულმა სანატრელ ალერსს,
ჩამოვიარე შენს სახლთან ეტლით.

ამოგძახე თუმც, მაშინ არავინ
არ გამომხედა, აღვივსე ქარად,
ვიგრძენ წუხილი გულს შემზარავი,
და წამოვედი ქუჩიდან ჩქარა.

ეჰ, რომ იცოდე, სანთლად მენთება
ყოველ წამს შენი სახის ანგეში,
კარგი იქნება შემოფეთება,
მოულოდნელი უტკბეს ჰანგებში.

გემით

ლურჯ ზღვის ნაპირზე მოვედი გემით,
კმაყოფილებით ჩავუშვი ღუზა,
უძლური გავხდი შენი დილემით,
ჩემი ლექსების მფარველო მუზა.

უკარებელო, როგორ გაგიშვა,
ძლივს მოგიპოვე პატარა ბავშვი,
ეს სიყვარული ლამაზად იშვა,
ლამაზად უნდა წავიდეს ცაში.

ოჰ, ყველაფერში ხელია არსის,
უბიწოებით დამკვიდრებული,
ხატი ხარ თითქოს, ღვთისმშობლის ასლის,
ატმის რტოებით აკვირტებული.

ამიტომ მადლი მოჰფინე აჯას,
მაჩუქე გული, ვითარცა ძღვენი,
ბოლო მოუღე უსრულო ტანჯვას,
გამიხანგრძლივე ცხოვრების დღენი.

შენი ვოკალი

მხიბლავს ძალიან
შენი ვოკალი,
რითაც ძვირფასო
გული მოკალი.
გამიცოცხლდება
თუ მოხვალ წამით,
უსათნოესი
თვალთა კამკამით.
ამღერებული
მქროლავ ჰანგებით,
მაშინ, იცოდე,
მკვდრეთით აღვდგები,
მოგისმენ ჩუმად,
ჩუმი ვედრებით
ცეცხლის ენებად
შემოგედები.
თავს ვერ დააღწევ,
დაიფერფლები,
ვიქნებით ქვეყნად
როგორც ელფები.
სიყვარულით
და მხიარულებით,
ტურფა ადგილებს
ვნახავთ სრულებით.
დაფნის გვირგვინებს
დაგადგამ თავზე
და არ ვიფიქრებთ
არაფერ ავზე.

დიდო ნუგეშო

დიდო ნუგეშო
გრძნობის ალამო,
გადამეფინე
მკურნალ მალამოდ.
თითები ხსნაა,
ხსნაა ნამდვილი,
ვერ მიპოვნია
ქვეყნად ადგილი.
იქნებ გამიხსნა
გულის კარები,
რომ შემოვიდე
თეთრი კალებით.
გავუყვეთ ერთად
ცხოვრების ბილიკს,
შემომაშუქე
თვალები თბილი.
როგორიც მზეა
ზეცის კაბადონს,
ისე მსურს კარგო
სული გაბადრო.
თორემ სიცივე
და ჩაბნელება
გადაქცეულან
ფარულ მკვლელებად.
სიყვარულისთვის
უმატე ჟღურტულს,
მიმსგავსებულო
ენატკბილ ბულბულს.

უიმედობა

ღამის მთვარეო,
მზეო ცისკარის,
რატომ მესროლე
ტრფობის ისარი.
და გამიჩინე
დიდი იარა
დარდი არავინ
გაიზიარა.
დავდივარ მარტო,
მეშლება გზები,
და სადაცაა
ლამის დავზრები.
შორს არის სხვაგან
ჩემი მფარველი,
ნეტავ იცოდეს,
რომ ძლიერ ველი.
პირველი ჰქვია,
პირველი ლექსი,
ამაღლებული,
უსაყვარლესი.
უცხო ვარ მისთვის,
და მწყდება გული,
უიმედობა
მიუფლებს სრული.

ღამის მშვიდობა

განგებამ შეგქმნა მშვენიერ ტილოდ,
რათა გიცქერდე, ვტკბებოდე ამით,
ნაზო გოგონა ლერწმად აყრილო
სულ დამიკარგე მშვიდობა ღამით.

გااააპრილე, გაამაისე
პოეტის გული სევდით დაღლილი,
მოდი მაჩუქე ოცნება ისე...
როგორც ლამაზი ცის თაღის ლილი

შენ თუ შეძლებდი ნატიფთითება,
თორემ სხვა ვერვინ მომცემდა სასოს,
რაც უპირველეს გრძნობად ითვლება,
და ამიტომაც მსურს დაგაფასო.

იმხიარულე წუთისოფელში,
სურნელებანი აფრქვიე წლებით,
ხშირად აიღე ეს წიგნი ხელში
და წაიკითხე ნუკრის თვალებით.

დედოფალი ხარ

დედოფალი ხარ და ტანად ნორჩი,
შენი შეხედვით დარდისგან მოვრჩი,
ცხოვრება უფრო გახადე ნაზი,
ვით გადაშლილი წინ ფიანდაზი.
სითბო ვიგრძენი, სითბო ნანატრი,
და სიყვარული მზეებრ ნანათლი.
ოცნებით ჩუმად გეჩურჩულები,
რომ შევაერთოთ ჩვენი გულები:
სხვა სიხარულით და გაზაფხულით,
გაბოროტება არ მაქვს ზრახული,
გაოცებებით, გაკვირვებებით
აირეკლება სხივად ვნებები.
უპირველესი გერქმევა მაშინ,
აღელვებული შეგხვდები ტაშით.
დაგიფენ ვარდებს გირლიანდებად,
ცრემლებს გადმოღვრი ბრილიანტებად.
და ულამაზესს მოგართმევ მძივებს,
სახე სიტურფით გაილივლივებს.
გადაგეხვევი მეგობარივით,
გაიშრიალებ ველად ქარივით.
დაგედევნები უკან წვალებით,
მაინც დაგიჭერ შავ დალალებით.
მოგწევ გულისკენ ალუბლის ტოტად,
ჩავეკონები ბაგეებს კოხტას.
ჩავსხდებით ეტლში ნაქები წყვილი,
იმედებით და ტრფობით აღვსილი

პოეზიის გამობრწყინება

შენზე ფიქრებში როს მეძინება,
მე მელანდები ატმის რტოებად,
მასევდიანებს და მეძვირება
ამ წუთისოფლის ამაოება.

ლამაზო, მინდა მოვხვდე იმ წრეში,
სად მეგობრები ერთად იყრებით,
განგაცდევინებ თავს სიამეში,
რადგანაც ლექსებს ბევრს მოგიყვები.

და პოეზია გამობრწყინდება
გადაიქცევი ვარდების შირმად,
თუკი ძვირფასო არ მოგწყინდება,
მე მზად ვიქნები გესტუმრო ხშირად.

რითაც სიცოცხლეს გავიხანგრძლივებ,
გავხალისდები ისე გონებით,
გედის კისერზე დაკიდულ მძივებს
სხვა ოცნებებით ჩავეკონები.

საბაბი

ალბათ მინახავ რაიმე საბაბს,
რომ ჩამომშორდე ჩემო აისო.
და ვინ გაიგებს დაფარულ ამბავს
ან სააპრილოს ან სამაისოს.

არვის გავუმხელ ნაზ გულის წადილს,
და მოფერებით გავუფრთხილდები,
მრავლად გავიდეს თუნდ წელიწადი,
სხვის ტრფობას შორეთს გავუფრინდები.

და დავიწყებას მიეცემიან
ოჰ, სურვილები პოეზიისა,
დამეკარგება ის, რაც ჩემია
სურნელება და ფერი იისა.

როგორ გადავრჩე, ფიქრნი მოდიან
და მაწვებიან მძიმე ლოდებად,
ულამაზესო, შიში როდია,
უბრალოდ ვგრძნობ, რაც მომელოდება.

თოვლზე ცივი

ღამე არ მაქვს მოსვენება,
დამეკარგა ნაზო უკვე,
უშენობით, უმზეობით,
როგორ ვიგრძნო თავი უკეთ.
მიმოვდივარ ჩემთვის მარტო,
ვერიდები სხვის დანახვას,
მიუწვდომელს, ზეცასავით,
დავატარებ გულში ზრახვას.
მინდა გული დავიოკო
მოულოდნელ შეხვედრებით,
ვიცი სიმშვენიერეთი
იასამანს რომ ედრები.
დავამყაროთ კავშირები,
ხელს რა გიშლის პაწაწინა,
გამოფრინდი სიშორიდან
და ყველაზე გერქვას წინა.
საოცნებო, სასურველი
თავს დაგადგა გვირგვინები
და ექნება ბრწყინვალება
უთეთრესი გვირილებით.
შეისმინე აღსარება
ნუ იქნები თოვლზე ცივი,

დაბრუნების მომეც რწმენა
უმტკიცესი და ხანგრძლივი.

ვიპოვე შვება

მე შენს თვალებში ვიპოვე შვება,
გულს სიყვარული მეღირსა გვიან,
გიწერ მრავალ ლექსს უნაზეს ვნებად,
რადგანაც შენი პოეტი მქვია.

დავდივარ ქვეყნად ისე მწუხარი,
შემომგზნებია ფარულად ცეცხლი,
მჭირდება მხოლოდ სიტყვა მქუხარი,
არა ამაო ოქრო და ვერცხლი.

მსურს მოვიშორო კრძალვა და რიდი,
თორემ დავკარგავ ბევრ რამეს, ვიცი,
მომნატრებია ძვირფასი, მშვიდი,
მომნატრებია თმათა ლაციცი.

უცხო ხედებად

ეს ხომ ნამდვილი გრძნობაა, ღმერთო,
სახე სანთელად მინათებს თვალწინ,
და ნეტავ ვისთვის უნდა დამეთმო?
და ნეტავ რამე დამღუპავს აწი?

თუ ქარი ზოგჯერ მაფორიაქებს
და მემუქრება ყოფის მხილებით,
გამიჩენს გულში ფარულ იარებს,
მაგრამ მაინც არ ვემორჩილები

წამიერია და წარმავალი
მისი წამება სუსტთა ხვედრია,

როგორც უმშვიდეს ლურჯ ზღვაში თვალით,
ისე სიყვარულს ჩამიხედია.

და განმიცდია ძვირფასის მღერა,
ზეცაში ასულ ლოცვა-ვედრებად,
თეთრი თითებით გამთბარი კერა,
თმების შერხევა უცხო ხედებად.

ნუ მიმატოვებ

ნუ მიმატოვებ ამღვრეულ ზღვაში,
მემუქრებიან სადაც ტალღები,
მე არასოდეს არ გაგცვლი სხვაში,
ნათელი გრძნობის ცით ვარ წამღები.

ვინ შევიყვარო? მიჩნდება კითხვა,
ამდენ ხნის მერე ფარულად ვფიქრობ,
თუმცა, შორეულ მხარეში კი ხარ,
მაინც შენ შეგტრფი ლამაზო ფიფქო.

უკანასკნელი სადგურის მსგავსად,
უნდა შევჩერდე და დაგიუფლო,
და სიყვარულის დაგიდებ ზავსაც,
ცხოვრება კარგი იქნება უფრო.

და ვიზეიმოთ დღე სასწაულის,
გავახალისოთ არე–მარეო,
ვარდებს სიმორცხვე მაშინ დაუვლის,
როცა მათ ახლოს მიხვალ, მთვარეო!

ნანატრი ფონი

იქნებ ვერ იგრძნო ჩემი ფაქიზი,
გულის ზრახვების ტრფობა ესოდენ,
მინდა მათრობდე, როგორც ნარგიზი,
და ყველაფერი კარგად გესმოდეს.

რაც შეეხება ცხოვრებას, მძიმეს,
დღეების, წლების სწრაფადმავლობას,
ნეტავი პოეტს თუ მისცემ იმედს,
დაიწყებ მისთვის ტურფავ, გალობას.

მაშინ ვიქნები, ოჰ, ბედნიერი,
განა სხვა ვინმე შემედარება,
გამოცოცხლდება სახის იერი,
შენს თავს ვერავინ შემედავება.

დაიწერება ბევრი სტრიქონი,
და სიყვარულით ბნელ გზებს გავიგნებ,
რადგანაც გქვია ნანატრი ფონი,
თვითონ სიკვდილსაც ფეხქვეშ გავიგებ.

თეთრბანოვანო

არ შემიყვარებ, მე ვგრძნობ თვალებით
და სხვას აირჩევ ცხოვრების მკვიდრად,
ისე აღვსილხარ იდუმალებით,
რომ მეფინები გაუშლელ კვირტად.

კიდევ გჭირდება სულ ცოტა ხანი,
შემატო ასაკს წელთა დინება,
გადმოაფრქვიო სურნელებანი,
რომელიც მხარეს მოეფინება.

და დამშვენდები თეთრბანოვანო,
ვეღარ გაუძლებ ზღვა დაფასებას,
შენი სიმღერა, ტკბილად ხმოვანი,
სიმშვიდეს მოჰგვრის ყოველ არსებას.

დავემსგავსები

დავემსგავსები, ძვირფასო, ვულკანს,
და შემოგაფრქვევ მხურვალე ლავებს,
ისე, რომ ვეღარ დაბრუნდე უკან,
დაგტოვებ ჩემთან, შემოგხვევ მკლავებს.

მე სიყვარულმა შემაზანზარა,
თორემ ვიყავი წყნარი და მშვიდი,
დარეკა როგორც ტკბილხმიან ზარმა
გადამიშალა წინ ტრფობის ხიდი.

ფეხი შევდგი და შემოგაცქერდი,
დამწველი იყო თითების ხიბლი,
გულში ფარულად ჩემთვის გაქებდი,
რადგან მაჩუქე სულ უცხო ხილი.

თანხმობის სიტყვა იქნებ წარმოთქვა,
გადაიფაროს მხარე გამებით,
ამ ოცნებებმაც დაიწყონ მორთვა,
თვალებით, თმებით და წამწამებით.

თვალთა ცეცება

მინდა იცოდე, ცხოვრების გზაზე
ვერ შემაჩერებს მე ქარის ქროლვა,
რადგან მიშველის შენი სინაზე
და სიყვარულის მუდმივი ლტოლვა.

განვიწირები, ზოგჯერ ვიფიქრებ,
გულის ტკივილიც ამით შეწყდება,
თმებს სევდა-დარდი გადამიფიფქებს
და ყველაფერი დაიმეწყრება.

მაშინ გაკრთება თვალთა ცეცება
თეთრი თითები მიუკარები,
იღვიძებს სული, ძირს არ ეცემა
და იწერება უცხო ბწკარები.

რომელშიც ლამაზ ბაღად იშლები
და ბულბულივით დაიტკბობ ენას
გახარებული ზეცით ვიშვები,
უკან ვიტოვებ ყოველგვარ წყენას.

მოფრინდი

მშვენებას როცა პოულობ ქარში,
გული სიყვარულს ვარდად მიანდობს,
ჩემი ცხოვრება უბრალო მარშით,
ეალერსება მღერალ იადონს.

რომლის სტუმრობით ბაღმა იხარა,
და გამაოცა სახემ ნანახმა,
ნეტავი, ღმერთო, არ მითხრას არა,
სამარადისოდ იყოს თანახმა.

ის ხომ პირველი მგალობელია,
აღმატებული გრძნობა სინაზის
და ოცნებების მწყალობელია,
სილამაზეა პოეტის ფრაზის.

თუ მიმატოვებს, დავიფერფლები,
მერე აღდგომა იქნება ძნელი,
ჰოდა, ძვირფასო, გაშალე ფრთები,
მოფრინდი, დიდი ხანია გელი.

კალამო

გაიელვარე გრძნობის კალამო,
დაწერე ბევრი, რომ შეტრფი ნიმფას,
ჩემი ცხოვრების დიდო ალამო,
თქვი, რა გისურვო ყველაზე ძვირფასს.

ამ ქვეყნად დიდხანს სიცოცხლე გქონდეს,
არჩეულ გზაზე ზღვა წარმატება,
თუნდაც სიბერე მოვიდეს ოდეს,
შეინარჩუნო უცხო ხატება.

ჩემი გერქმევა

ულამაზესი თვალებისათვის,
არ დავიშურებ, ძვირფასო, მელანს,
შემოვინახავ მრავალ დღისათვის
სახეს, რომელიც სანთელად ელავს.

დაუსრულებლად აღვავლენ ტრფობას,
და გაგაცოცხლებ ოცნების ფერში,
სულში დაგიწყებ ფარულ მხატვრობას,
რათა ვიპოვო მცირე ნუგეში.

მხოლოდ ზღაპარი ჩემი გერქმევა,
გადავშლი ფურცლებს, დავტკბები ამით
და სიყვარული შემომეფრქვევა,
შეზავებული ვარდების ნამით.

ჯერ კიდევ ბავშვი

როგორ აგიხსნა შთაგონებაში,
ამშვენებ ლექსებს ისე რითმიანს,
რომ მიმზიდველი ჯერ კიდევ ბავშვი,
რა ვქნა, ვერაფრით ვერ დამითმია.

მან მომიკიდა მე ტრფობის ალი,
ატმის ყვავილად მიმოფანტული,
დიდი ხანია დაეძებს თვალი
და პაემანის ვარ მონატრული.

თუ დამთანხმდება მშფოთვარე მგოსანს,
გულს გაზაფხული დადგება ადრე,
ბრილიანტივით ნათელ სხივოსანს
მე სიყვარულის სიტყვებს შევკადრებ.

და ყველაფერი გამოირკვევა,
ჭეშმარიტება, სადაც კი არი,
მომიწევს თეთრი თითების თნევა,
ან მარტოობა მიუსაფარი.

ყველაზე კარგი

სიცივის გამო ძალზე ჭირს წერა,
მაგრამ მუზები მე არ მაჩუმებს,
დამიბრუნდები ოდესღაც, მჯერა,
და სიყვარულსაც ლამაზს მაჩუქებ.

ოჰ, ეს იქნება ყველაზე კარგი,
წამი იელვებს დაკარგულ წლებად,
და შენს სანატრელ შემოფრენაზე,
დაგეფინება ვარდები წყებად.

და გულს ფარულად მოიცავს კდემა,
გამახალისებ ნაზი ანგეში,
გაგიცისკროვნებს შუბლს დიადემა,
როცა მოგართმევ დიდ სასახლეში.

ცისფერი ოცნება

ჰოი, მშვენებავ, ჩემი ნებაა,
უნდა ვეძიო სულის სამანი,
სად საუცხოო სურნელებაა,
სად მოჩანს ნაზი იასამანი.

დამუფლებია ისეთი გრძნობა,
ვერ ვისვენებ და მიღელავს გული,
მინდა ძალიან გაწიო ტრფობა
და იყო მარტო ჩემი ბულბული.

მითხარი რამე, თუკი წუხდები,
უძვირფასესო, ლექსთა რითმებით,
ცისფერ ოცნებას როგორ უხდები,
ამიტომ გთხოვ, ნუ მომერიდები.

არა მკრა ხელი

შენი ცხოვრება დაქარგულია
მრავალი ვარდის სურნელებაში.
და სიყვარულით დანამულია
სიტყვების წყება სატრფოს ქებაში.

უკარებლობა ძლიერ მანცვიფრებს
თმის სილამაზის და რხეულ ტანის,
ფიქრში ოცნების ტალღებს აცისფრებს
დახვეწილობა ნამღერი ბანის.

და მე დიდ მწვერვალს ავივლი მალე,
გავჩნდები, როგორც ლაღი ფრინველი
დრო დამიდგება მაშინ ბრწყინვალე,
ოღონდ, ძვირფასო, არა მკრა ხელი.

სადმე დაგხვდები

შენამდე ვიცი, გზები რთულია,
ვგრძნობ, ძალა უნდა გამომეცალოს,
ჩემი სურვილი გაზაფხულია,
იქნებ, მოფრინდე, ნაზო მერცხალო.

ბუდე აშენო იმედიანად,
გახდე გამღები მომავლის კარის,
თუ სიყვარულმა იერთიანა,
იქ ხომ ყოველი უძლური არის.

და რა გაშინებს, იყავ თამამი,
შემწყნარებელი, მეტად გამგები,
შემომაშუქე თვალთა კამკამი,
მომასმენინე ტკბილი ჰანგები.

საჩუქრად შენი ოცნება მარგო
მიმზიდველობა თმათა გიშერის,
არ მოხვალ, სადმე დაგხვდები, კარგო,
წაგიყვან შორს და ვერვინ გიშველის.

უნდა ვეწამო

ხარ უნაზესი ფენა საკმევლის,
სურნელებაში გრძნობის დინება,
განიავება სულის სარკმელის
და სიყვარულის დაგვირგვინება.

ყველაზე კარგი მცინარი ვარდი,
განდიდებული პოეტის თვალში,
ღამის სიზმრებში გამკრთალი ლანდი
და ერთი გემი ამღვრეულ ზღვაში

მძულს სიმარტოვე, ნეტავ მისმენდე,
უიმედობამ ხელი დამრია,
სევდა–დარდები გთხოვ განმისვენე,
და გაზაფხული იყავ ადრიან.

რარიგ აღგწერო, არ მყოფნის ძალა,
ულამაზესო, ტანად ლერწამო,
ფაქიზ სიყვარულს ყველასგან ვმალავ,
იცოდე, შენთვის უნდა ვეწამო.

ვფიქრობ, რომ ეს გზა ნამდვილი ხსნაა,
რათა ვიდოდე, ვით იალქანი,
ჩემს ოცნებებში ფენილი ცაა,
და ასახდენად მჭირდება ხანი.

ᲨᲕᲔᲚᲘ

როგორ უნდა დავივიწყო
მშვენიერი, კოხტა შველი,
შორით ვხედავ, სწრაფად მირბის,
დაბრუნებას ტყუილად ველი.
გული ძლიერ დამიმწუხრდა
აურაცხელ ვაი–ვიშით,
იქნებ სადმე დამეკარგოს,
მეპარება ჩუმად შიში.
გზებს მოვუჭრი, ჩავსაფრდები,
დავეწევი ჩემი რაშით,
ხელებს მოვხვევ ლამაზ ყელზე,
სად წამივა, ვნახოთ მაშინ.
სახლში მოვიშინაურებ,
ტკბილ ჰანგებზე ავამღერებ,
ისე ნაზად, ისე კარგად,
რომ მშვიდ ზღვასაც ავაღელვებ.

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲘᲨᲝᲠᲔᲨᲘ

ნეტავ, ძვირფასო, ჩვენს სიშორეში
ცად ცისარტყელას ფერნი გაევლოს,
შემემატება ყოველმხრივ ეშხი
და შენს მოყვანას შევთხოვ ანგელოზს.

თუკი გექნება ლამაზი ნება,
რომ დამავიწყო ყოფა სევდიანს,
ლექსნი თაფლივით შემოგადნება,
მუზები ნაზად შეგესევიან.

წმინდაზე წმინდა

ტბის სილამაზე,
დარწევა ნავით,
მოხდენილობა
გრძელი ნაწნავით.
სიოს ლაციცი,
გაშრიალება,
ზოგჯერ სიკარგე,
ზოგჯერ წვალება,
ვარსკვლავთა გუნდი,
წყვდიადი ღამის,
მარგალიტები,
ვით დილის ნამის.
დაიმედება,
სითბო და რწმენა,
ამათრთოლებელ
გრძნობებით ფენა,
მომავლის კარის
ხელით გამღები,
დაუსრულებელ
ფიქრთა ტალღები.
ამაღლებული
ყოველი მხრიდან,
ეს სიყვარული
წმინდაზე წმინდა.

ფენიქსი

დავემსგავსები მითიურ ფენიქსს,
აღვდგები ისევ ტრფობის ფერფლიდან,
შენი თვალები ლამაზი ფენის
გამაცისკროვნებს ლურჯი ფერიდან.

ვიქნებით ერთად ცხოვრების გზაზე
და ამოვავსებთ გაჩენილ ნაპრალს,
გავუფრთხილდებით მეტადრე სხვაზე
სიყვარულისთვის ანთებულ ლამპარს.

გავხალისდები

გული სულ მუდამ მოლოდინშია,
დღესა თუ ხვალე არ დაილია,
იცი, ძვირფასო, ჩუმი შიშია,
რომ იმედები გვერდს ჩაგივლიან.

და ყველაფერში სიძულვილს ვიგრძნობ,
შემოვა ხანი მქროლავ ისრებით,
მაინც ნაღველის საფარს გადვიძრობ,
შენზე ოცნებით გავხალისდები.

ფრთათეთრ გედებად

შენი თვალები
ჩემი ქებაა,
სხვა ოცნება და
სხვა მშვენებაა.
დავიკარგები,
ვერავინ მნახავს,
ვეზიარები
უმანკო ნახატს.

სად ვარდებია
მიმოფანტული,
სურნელებაა
მუდამ ნატრული.
მხიარულება,
ხალისი დიდი,
მიუწვდომლობა,
კრძალვა და რიდი.
მზის ბრწყინვალება,
მთვარის ნათელი,
ზღვის მიმოქცევა,
სიამის მგვრელი.
ლურჯი ოცნება,
ზეცის მსგავსება,
გულის და სულის,
ტრფობით გავსება.
მშვიდი გალობა,
ჩუმი ვედრება,
მიმოფრენილი
ფრთათეთრ გედებად.

მშვენიერება ერთია

მშვენიერება ერთია ჩემთვის,
შენი თვალებით მიმოფენილი,
როგორც დრო, ბაღში ვარდის შერჩევის
და თეთრი მტრედით მიმოფრენილი.

რა ვქნა, სხვა უცხო, გულთან არ მოდის,
რარიგად ავხსნა ასეთი რამე,
უძვირფასესო, დაგიწყებ ლოდინს,
იცოდე, ძალზე ნუ დაიღამებ.

რადგანაც მინდა, ვიდრე წასულა
ეს სიჭაბუკე აღელვებული,
დამიდგე მხარში ბრწყინავ ასულად,
შემომიერთო პატარა გული.

ოცნებებში ნებიერი

დღეა ძალზე მოწყენილი,
აშრიალებს ფურცლებს ქარი,
რად გჭირდება ჩემნაირი
სევდიანი მეგობარი.

არაფერი შემიძლია,
მე ხომ მეტი წერის გარდა,
როგორ მინდა, სათნო გრძნობას
აეხადოს თეთრი ფარდა.

თუ დადგება ეს დრო, ნეტავ,
გამახარებს ზეციერი,
დამიბრუნდეს, დამიბრუნდეს
ოცნებებში ნებიერი.

ეს გაუმარჯოს

ეს, გაუმარჯოს იმ წმინდა გრძნობას,
შენს წინააღმდეგ მე რომ მამხედრებს
და გაზაფხულის ფერებით თრობას,
ლოცვას, რომელიც ცისკენ გახედებს.
ტბის სილამაზეს, თეთრი გედებით
გამოცოცხლებულს, ტკბილი ჰანგებით,
მიმზიდველ წალკოტს, ლამაზ ხედებით,
სურნელის ფრქვევას მცინარ ვარდებით,
სიყვარულისთვის შეწირულ წამებს
იშვიათ ღიმილს, მიმზიდველ თითებს,

შვლის ნუკრის თვალებს და თლილ წამწამებს,
ლურჯი ზღვასავით შიგ რომ ჩაგითრევს.
უსაშველობას, მიუწვდომლობას,
სულის ფორიაქს და გულის ნავარდს,
სიმარტოვეში ქვეყნად ობლობას,
ღამით გადაშლილ ციმციმა ლაჟვარდს.
სატრფოზე ფიქრებს, ოცნებას დიადს,
ცისკრის ნამს და მზის ამოსვლას, ნაზად
რომ გაგინათებს სხივებით წყვდიადს,
დალოცვილ იყოს მარად და მარად.

სახის ხატება

ლანდად დამყვება სევდიან გულში
ჩუმად ნანატრი ხატება სახის,
მშვენდები, ვით გაზაფხულზე ნუში,
ალბთ სიწრფელე ოცნებას ახდის.

ზრახვები ჩემი დაფარულია,
იცი, ძვირფასო, სხვათათვის შორი,
და სიყვარული მინდა სრულიად,
ერთად გავუყვეთ ბილიკებს ორი.

დრო გვებრძოლება, არვის იბრალებს,
ოჰ, მთავარია ჯერ რწმენის ქონა,
მე მიმოვავლებ ოთახში თვალებს
ისევ მარტო ვარ ჩემო გოგონა.

ლამის გაფრინდეს სული ზეცაში,
უკანასკნელად გეძახის კდემით,
ხელი შემახე, ლამაზო, მაშინ,
გაანავარდე დალალი გემით.

როგორც დიდებულს

ისე მოსჩანხარ, ისე ხარ მდგომი,
შეედარები უმაღლეს მწვერვალს,
ჰოი, ძვირფასო, აღვსილვარ წყრომით,
რომ ეს სიმაღლე აწვალებს მწერალს.

მოვიწევ შენსკენ გაალმასებით,
მაგრამ სიცივე მაფერხებს, თითქოს,
მიყვარხარ მარტო, მთელი არსებით,
და სხვა რამეზე გული არ ფიქრობს.

იქნებ მისმინო და მითხრა რამე,
ან სანუგეშო ან სავალალო,
თუ კიდევ, კიდევ დიდხანს მაწვალებ,
დაიღუპება გრძნობები, ქალო.

უნდა შევიბა ოცნების ფრთები
და გაგისწორდე, როგორც დიდებულს,
დაიმედებით შეგიერთდები,
ვარღვევ სიჩუმეს გადარინდებულს.

კელაპტრის სხივი

ვცოცხლობ, სინაზევ ამ იმედებით,
და მიმოვდივარ, ვით წყალში ტივი,
გულის სიღრმეში ჩავიხედები,
რათა შევიგრძნო კელაპტრის სხივი.

კიდევ ანთია იგი, არ ქვრება,
როგორ გაუძლო, ნეტავ, ქარიშხალს,
უნდა მივუძღვნა მრავალგზის ქება,
ეს მარტო სიტყვებს იცი, არ ნიშნავს.

უფრო სიყვარულს ესადაგება,
თავის შეწირვა მსხვერპლად მიცვნია,
დრო გამარჯვების მალე დადგება
მტკიცეზე მტკიცედ დამიფიცია.

შეგიერთდები ზღვის სიმშვიდეში,
გავშლით ცხოვრების ფარფატა აფრებს,
გავემგზავრებით სულ სხვა კიდეში,
გავაბამთ სულის სიმების ძაფებს.

სპექტაკლი

მინდა იცოდე, სიმართლე თქმული,
ლექსებით შენთან არა ვდგამ სპექტაკლს,
ურთიერთობას დაეძებს გული,
ინახავს ჩუმად სიყვარულს სპეტაკს.

თუკი გაგება ასე ძნელია,
რომ დაგარწმუნო, მზადა ვარ ახლავ,
ოჰ, მიზეზები დაუთვლელია,
მაგრამ გრძნობები ლამაზი მახლავს.

შევებრძოლები ყოველგვარ განცდას,
დამეხმარება ქნარი ჩვეული
და სამუდამოდ სატრფოსთან გაცლას,
მე მირჩევნია მოკვდეს სხეული.

თმების ფოლიო

ეს სიყვარული მარტო დარჩება,
ყველასგან შორი, გაუმხელელი,
მიუსაფრობა გულში გაჩნდება
და ოცნებები აუხდენელი.

მსურს დავიწყნარო თავი შეგნებით
და იმედებით შევიყოლიო
სინატიფეო, ფეხქვეშ გეგები,
გაანავარდე თმების შოლიო.

მარად უცვლელი

მე შეწუხება არ მინდა შენი,
თუ რამე გცოდე, გთხოვ, მაპატიო
და ბორკილები ტანჯვის დამხსენი,
სიყვარულისთვის ერთგულ პატრიოტს.

ჩამომაშორე კედლები ციხის,
და დამანახე სინათლე სხივის,
სასჯელს პოეტი ტყუილად იხდის,
ცხოვრების გამო ძალიან ჩივის.

დრო გამყავს მარტო სატრფოზე ფიქრში,
რადგანაც ვცანი სხვებში პირველად,
მომინახია ლამაზი ნიში,
და წიგნს გიგზავნი შენს შემწირველად.

იგრძნობ სინაზეს და აღმატებას,
გადაიშლება ბევრი ფურცელი,
ეს, გაუმარჯოს წმინდა ხატებას,
ჩემთვის რომ არის მარად უცვლელი.

ქნარი

ეს ჩემი გული, მშფოთვარე ქარში,
ვინ იცის, იქნებ განწირულია,
რადგან არავინ არა ჰყავს მხარში,
ჯერ კიდევ ცოცხლობს, თუმცა, სრულიად.

მიდიან დღენი მოუხედავად,
გაიცრიცება იმედი ნელა,
წარმომიდგება უქმობა ავად,
მშვენიერების სახე მფარველად.

გავყვები შორეთს, გზას სიზმარეულს
და ოცნებებში გადავშლი ხედებს,
ფიქრს, ყველაფერში ასე არეულს,
წარსული უკან გადაახედებს.

ამ შემოდგომას, აფერადებულს,
მზემ გაღიმებით დაუგვიანა,
ქნარს სიჩუმეში მარტო დადებულს,
სიცოცხლევ, შენთვის ვაქცევ ხმიანად.

სიმშვიდე სახლის

მინდა, გამხადო მე შენი ღირსი,
დავიმსახურო სიტურფე სახის
და ცხოვრებაში მოხვიდე დღისით,
როგორც ვით მტრედი სიმშვიდე სახლის.

გამყოფებ ჩემთან ახლოს, გაგათბობ,
მოგიალერსებ დაიმედებით,
ბევრი უბრალო ლექსით გაგართობ
და დავეცემი შენს წინ ვედრებით.

თუკი ახდება, ესაა ნატვრა
ვიქნებით ქვეყნად ბედნიერები,
გადავიქცევი მაშინვე მხატვრად
სულში დაგხატავ ლურჯი ფერებით.

უთეთრეს რიდეს

მე ვერ შევიძლებ შენს დავიწყებას,
რაც გახსენებით მადებს მარწუხებს,
ნეტავ, ქილიკი როდის მიწყდება,
ქილიკი სხვათა ძლიერ მაწუხებს.

მაგრამ სიცოცხლეს ვინ მომარიდებს,
მხოლოს სიკვდილი დათრგუნავს ამას,
და სიყვარულის უთეთრეს რიდეს
გულში ვინახავ, ვით ყვავილს ლამაზს.

ისე ნაზია, ხელს ვერვინ ახებს,
ნიავის მსგავსად მაფორიაქებს,
ბოლოს მოვუღებ ყოველგვარ მახეს
და შევახვედრებთ ზღვაში იალქნებს.

მე ბევრს შევძლებდი

ჩემთან რომ იყო, მე ბევრს შევძლებდი,
დამიდგებოდა უმალ აპრილი
და სიხალისეს ისე შემძენდი,
მომანათებდი ვით მზის არილი.

ახლა ცხოვრება კვლავ ზამთარია,
სიცივეშია გამოხვეული,
დაუნდობელი გარეთ ქარია
და მეყინება მისით სხეული.

გულს საიდუმლო სწადია გითხრას,
ოჰ, მოუსმინე ნატანჯ ოდისევსს,
მე მოთმინებით დაგიცდი დიდხანს,
თუკი, პოეტთან მოხვალ როდისმე.

გრძნობის ბწკარები

ლურჯ ოცნებებში როს ვარ მცურავი,
მუზები დიან რიგებად ოთახს,
ნუ შემაწუხებს მაშინ ნურავინ,
რადგან ხმაურზე ეს სული შფოთავს.

მშვენიერებით დამშვიდებული,
ყოველგვარ სევდას ნიავქარს ვატან
და სიყვარულში დამკვიდრებული,
სატრფოს უნაზეს სახებას ვხატავ

და ასე მერე სრულდება ბოლოს,
დაიწერება გრძნობის ბწკარები,
გადამეტებით მრწყინავო ბროლო,
თუ შემიძულებ, მე მეყვარები.

ძლერ ვნებული

როგორ არ მინდა, ამაოებას
ვგრძნობდე სატრფოსგან მიტოვებული,
თითქოს სხეული ჯვარზე მოებას,
ისე ვარ ახლა ძლიერ ვნებული.

სული გიხმობს და გული გნატრულობს,
გავქრები მალე, იცოდე ცაში,
იქნებ მოხვიდე აქ, დახატულო,
გადააქციო ოცნება ცხადში.

ჩამომხსნა ხელით, შემასვა წყალი,
სიყვარულისთვის გასაცოცხლებლად.
განა დარჩები რითმე გამწყრალი,
როს გეყოლება პოეტი მხლებლად.

ოქროს საწმისი

მოგერიდები, მაგრამ ეს გული,
დაჰკარგავს ნახატს ტკბილი საწყისის,
ალბათ გსმენია სამითოდ თქმული,
საქართველოში ,,ოქროს საწმისი.''

ოღონდაც, შენ თუ დამეხმარები,
შევძლებ მოვიდე, როგორმე ახლოს,
ჩუმად გამიღე სახლის კარები,
შორს დავიკარგოთ, რომ ვერვინ გვნახოს.

და ვინეტაროთ მარტო, მანამდე
შემოგველევა სიცოცხლე ხანზე,
მე ყოველივეს გვერდზე გადავდებ,
როცა იმღერებ საოცარ ხმაზე.

ბედი

იქნებ, გყავს ვინმე, შეყვარებული
და სხვის ადგილის წართმევას ვცდილობ,
ჩემი ლექსებით შემართებული,
რომ გეფერები ასე, ყვავილო.

მაგრამ ამქვეყნად ბედიც ხომ არის,
არ ვუშინდები ტკივილს და წყენას
ღმერთია, ღმერთი მარად მომავლის,
უნდა იწამო და გქონდეს რწმენა.

წასული ელფი

ტანჯვა იქნება, ნაზო, შენს ნაცვლად,
მოვიდეს იგი, ვისაც არ ველი,
ვოველივე დღე მექცევა მკაცრად,
რადგანაც გქვია ჩემი მფარველი.

ოჰ, დამიჯერე, სიმართლეს ვამბობ
და შემოდგომის ფერებით გეტრფი,
სიყვარულს გრძნობის სხივებით ათბობ,
შორეულ მხარეს წასული ელფი.

სასწაულები ხდება ხანდახან.
ნეტავ, დადგება კარგი მომენტი
რომ ერთმანეთის ვიყოთ მხარდამხარ,
და ქვეყანაზე რა გვინდა მეტი.

შემოდი ოთახს

როგორ არ მინდა შენი დაკარგვა,
წახვიდე შორს და მიუვალ მხარეს,
მომიწევს გულში სხვა ვარდის დარგვა,
ამოვა მწველად და გაიხარებს.

ისე ლამაზად, ისეთი გრძნობით,
როგორც სიყვარულს ესადაგება,
დაიფარფლება ცხოვრება გმობით,
გამიჭირდება ძლიერ გაგება.

სიცოცხლე მხოლოდ ერთი წამია,
შესაჩერებლად რარიგ ადვილი,
შემოდი ოთახს, მთვარევ,–ღამიან
და მაგრძნობინე ქვეყნად ადგილი.

ღამით

შენ შეიძლება არ შემიყვარო,
ლამაზო ქალო, ოცნებავ ტკბილო,
შემეკითხები, ალბათ, ვინ ხარო,
მიუსაფარო სევდის აჩრდილო.

გაგაცნობ ჩემს თავს უცნობ პოეტად,
რომელიც მხოლოდ ტრფობით იწვება,
დაიარება მხარეში კენტად,
დაეძებს გრძნობით თავდავიწყებას.

იდუმალება ჰპოვა თვალებში,
დაკარგოს უკვე ძნელია თავი,
იქნებ წამოჰყვეთ ღამით მთვარეში,
და ისეირნოთ ლურჯ ტბაზე ნავით.

თეთრი ვარდებით

მე არაფერი არ მაბადია,
გარდა უბრალო ერთი სახლ-კარის,
შენთან შეხვედრა ისე მწადია,
მაგრამ სიტურფე თვალთა სად არის?

დამკარგვია და დამნანებია,
დავდივარ მარტო მიზეზად ჩრდილში,
გზად ცხოვრებაში დამხანებია,
გაჩნდება გულში ფარული შიში.

ნაზი ოცნება ფერებით მოვა,
დაგელოდები თეთრი ვარდებით,
დაუცხრომელი მექნება ლტოლვა,
თუკი ოდესმე შეგიყვარდები.

შენი ერთგული

ჰოი, შენს გამო, გითხრა, გამიგებ?!
დაკარგულია ჩემი სიმშვიდე,
ბედი ვერაფერს ვერ შემარიგებს,
ამ ქვეყანაზე იქნები ვიდრე.

ვივლი, იცოდე, დაუსრულებლად,
დარდებს და ფიქრებს მწარედ შერთული,
თუნდ სიყვარულის დაუბრუნებლად,
მაინც მერქმევა შენი ერთგული.

ლამის სურვილმა სული დალიოს,
გამიხალისე ცხოვრება ასე,
ამოდი, ერთად შვხვდეთ ალიონს,
ნუ აგვიანებ, მზევ მოკასკასევ.

განმარტოება

როცა გიხსენებ, მე ვხდები ცუდად,
სახის სიტურფე მაღელვებს ალბათ,
განმარტოებით წავიდე უნდა
დავეწაფები მუზების შარბათს.

მხოლოდ ასე თუ თავს, ეშველება,
სხვაგვარი გზა კი ამაო არის,
გადაიშლება გრძნობა ველებად,
ყვავილებია სად სინარნარის.

და ოცნებებში გიკრიფავ ყველას,
მიმზიდველია ფერად თეთრები,
რომ ვერ გაუძლებ მათ გადათელვას
სიყვარულისგან მოითენთები.

ნეტავ რამეში ვიყო განთქმული,
მქონდეს უფლება სატრფოს ალერსის,
ვედრებით, შენს წინა ვარ გართხმული,
და არაფერი ჩემი არ გესმის.

ლამაზი სიყვარული

ჩემი ოცნება და გაზაფხული
შემომაგებე ლამაზ იებად,
გამიხალისე მშფოთვარე გული,
ისე, რომ არ სურს სხვისი ძიება.

მითხარი, როგორ გადავივიწყო
პატივისცემა აურაცხელი,
ეს სიყვარული ლამაზი იყო,
უნაზესი და გაუძარცველი.

დარჩება კიდეც უკუნისამდე,
შეუდარებელ სახის იერად.
და თუნდაც ჟამი გზაზე ნისლავდეს,
გაუფრთხილდება სული ძლიერად

მიმოწერა

ოდესმე მაინც თუ გამიხსენებ,
რაც მიმოწერა გვახლდა ორივეს,
სიტკბოებაში ცით განვისვენებ,
დამიძახე და მოვალ შორითვე.

მინდა მომანდო ნაზი ხელები
და თმები გიშრის, მსგავსი ზმანება,
მიდამოს ფრთებით გადავევლებით,
ყოველი ედემს დაემგვანება.

ვიქნებით ერთი გული და სული,
დაგვრჩება უკან სიავე ქარის,
გაუგონარი ხმების სისრულით
მომასმენინე მუსიკა ქნარის.

სივრცე

შენ გიკვირს, ალბათ, რისთვის გიყვები,
რატომ გაწუხემ ჩემი ამბებით,
მე მკურნალობენ ტრფობის სიტყვები,
როგორც ავადმყოფს წამლის აბები.

გული უსაზღვროდ მაქვს დარდიანი
და სული უფრო არი მგზნებარე,
მინათებს ოთახს სხივი გვიანი,
წლებმა დაღალეს თვალების არე.

მოგონებებში გაცოცხლებ ხშირად,
უცხოს შეხვედრა ასე ძნელია?
მომეჩვენება ყოველი ძვირად,
რადგან ჩვენ შორის სივრცე გრძელია.

სანთლად იწვოდე

წინ მიდგას მუდამ შენი სახება
და თითქოს ჩუმად მესაუბრება
რომ ეს ოცნება მალე ახდება,
გულზე მალამოდ მესალბუნება.

ხარ უნაზესი ფრთათეთრი გედი,
შემოგივლია ლამაზი ტბები,
მოგაქვს ჰანგები უქრობ იმედის,
რომლის მოსმენით შორიდან ვტკბები.

ნეტავ გამღერა ჩემთანაც ახლოს,
გავიხარებდი ორმაგად იცი,
ასეთი რამე ჯერ არსად მახსოვს,
მეძღვნას ლექსები შობილნი სივრცით.

როცა სურვილი წმინდა, წრფელია,
გასაბრწყინებლად უნდა იღწვოდე,
თუმც ზოგიერთთვის, რარიგ ძნელია
გაგება ამის – სანთლად იწვოდე.

უცხო ვარ

პატარა ქალო, დიდო იმედო,
მომეცი ხელი, შვების მქარგავი,
უცხო ვარ, მაგრამ იქნებ მიმენდო,
მე შენი მსგავსი არ მყავს არავინ.
და თუ მომისმენ, გავხალისდები,
ზღვა ოცნებებად გარდავიქმნები,
წინ მოელვარე წავლენ ნისლები,
დარჩება ლურჯი ზეცის ფიქრები,
სინაზისა და სიმშვიდის მგვრელო,
როგორც მშვენება ატმის რტოების,
ჩვენ უკვდავების სურნელი გველის,
უბიწოების და სათნოების.

ნუ დამივიწყებ

ნუ დამივიწყებ, ლამაზო ქალო,
მე შენთვის მხოლოდ სიკეთე მინდა,
ვარდის მშვენებავ, გრძნობავ მაღალო,
მოგიძღვნი ლექსებს, თუ არ მოგწყინდა.

იქნებ ოცნება გამიზიარო,
გადავაქციოთ უკვდავად წამი,

დამიმეგობრდე, ახლოს იარო,
დავძლიოთ ერთად სიავე ჟამის.

შემახე ხელი, სიცოცხლის მფენი,
და გულს ხალისი შეჰმატე მწველი,
ოჰ, შეიმოსე ძვირფასო რწმენით,
შენგან უმანკო სიყვარულს ველი.

ფიანდაზად

მე დაგიდგები წინ ფიანდაზად,
რადგან ერთგული მქვია ამიტომ,
შენ კი ტერფები შემახე ნაზად
ულამზესო და მეამიტო.

იარე, ვიდრე არ მოგწყინდება,
გაგათბობ ასე, თუ მომცემ ნებას,
და მერე, ალბათ, შემობინდდება,
ცის სიყვარულით დაგვეძინება.

დედოფლის ნახვა მომდომებია
მაგრამ ხელს მიშლის მრავალი რამე
თეთრი პირ–სახე მომგონებია
მისი თვალები და სითამამე.

წყარო ვარ

წყარო ვარ ანკარა, შენს ახლოს მავალი,
ოცნება, რომ მატკბობს ლამაზი ფერებით,
სილურჯის სხივებში ვარდია მრავალი,
ზღვად აღელვებული თვალების სერებით.

და ამ დროს, მგონია, გაშლილი ხელებით
მიწვევენ, რადგანაც მაჩუქონ ალერსი,
არიან შორს ისე ფარული მცველები,
რომ დაიჩრდილება სიმაღლე მთვარესი.

ძალზე მსურს ნანატრი სიმღერა ვისმინო,
გამიქრეს უმალვე ჩვეული დარდები,
ცხოვრება არავის არ დავანისლინო,
ამიტომ დამფარე ლამაზი ფარდებით.

ლამაზო ლედი

ლერწმად ლამაზო ლედი,
გული გრძნობებით გელის,
სხვაა სიმღერა სევდის,
წასვლა წამია წელის.
მინდა მოფრინდე მალე,
თორემ თეთრდება თმები,
შორო, შენ შემიწყალე,
ვაებისაგან ვკვდები.
ზურაბის ზეცის ზღვარო,
ცის ცვარის ციალება,
ქარის ქარვების ქნარო,
ტიტების ტრფიალებავ.
ღამის ღელვაო ღირსო,
აელვარებავ ატმის,

ხელების ხლებავ ხსნისო,
ნათელო ნებავ ნატვრის.
ბედნიერების ბაგე,
ფრთხილო, ფარულო ფარო,
დავიწვი, დავიდაგე,
უშენოდ, უსახლკაროდ.

დაბნეული

მე შენ ყოველთვის გეძახი კრძალვით,
უძვირფასესო, ნიბლიავ, ტკბილო,
მძიმე დარდები გულში მაქვს მალვით
და დავიწყებას ამაოდ ვცდილობ.

ძნელია, როცა ამყარებ კავშირს,
არ გინდა გაწყდეს გრძნობის ძაფები,
ოჰ, დაბნეული დავდივარ კარში,
უიმედობით და დაზაფრებით.

ვისაც არ გიყვართ, გთხოვთ, ნუ დამძრახავთ,
თქვენც აღმოჩნდებით ერთხელ ჩემს დღეში,
მერე გაიგებთ და მერე ნახავთ,
რომ გაათენებთ ღამეებს ხვნეშით.

მადლიერება

მე ხშირად მებრძვის ქარი ძლიერი,
ცხოვრებისაგან გამინაპირებს,
თუმც არ იცვლება სახის იერი,
ბევრის ატანას გული აპირებს.

როგორ შევიძლო ამდენი რამე,
მხოლოდ ერთი ვარ განმარტოებით,
მოუსვენარი უძილო ღამე,
უკან დამყვება თითქოს ტორებით.

ეჰ, დამთავრდება ტანჯვა-წვალება,
და გავიხარებ ბოლოში, ძვირო,
როს გამინათებ შენი თვალებით,
მადლიერება ზეცას შევწიროთ.

სასრული

გაივლის წლები, არაფრის მთქმელი,
დამენანება შენდამი გრძნობა,
მიუსაფარი, მაგრამ გულწრფელი
გამყვება, როგორც სიცოცხლის ტკბობა.

მოიპარება სასრულიც მოვლით,
და მერე თვალებს დავხუჭავ მალე,
მაშინ დამფარე ვარდების გროვით
და სიყვარული ასე მაცალე.

წყვილი

ხშირად ვეძიებ სიმშვიდის ადგილს,
ის მწვერვალივით ყოფილა მაღლა,
თუკი ყოველთვის ვერ ვაღწევ წადილს,
ამიტომაც ვგრძნობ მხარეში დაღლას.

და, აი, ერთხელ შევედი ბაღში,
განმარტოების დგებოდა ჟამი,
მახალისებდა ჩიტთა ხმა ცაში
შადრევანების თეთრად კამკამი.

წყვილს შევაცქერდი, წყვილი მრიდობდა,
ნეტავ ტრფიალი თვალს არ ენახა,
და ჰოი, რარიგ შენსკენ მინდოდა,
რომ დიდი ზღვანი გადმომელახა.

თეთრო ფერია

სად ხარ, საიდან მოვიდე შენთან,
თეთრო ფერია დამწველო გრძნობის,
იფერფლებიან უმანკო დღეთა
ზღვა ოცნებები ჩემი გართობის.

ყოველთვის მსურდა მეპოვა სახე,
ისეთი, როგორც გამშვენებს ვარდო,
არ დამიჯერებ, შორით რა განახე,
ცის სიყვარული გულმა მოგანდო

უიმედოა, მხოლოდ ხიბლია,
განცდების გამო ვეღარ ვმშვიდდები,
მე კარგად მესმის ტკბილო ნიბლია,
წახვალ და სხვაგან გამიფრინდები.

ოცნება აუხდენელი

გავაღებ სარკმელს, მოფრინდე მინდა,
როგორც მშვიდობის უმანკო მტრედი,
თუ პალმის რტოებს მოიტან ციდან,
გადაიშლება ლამაზი ხედი.

ოჰ, ეს ოცნება, აუხდენელი,
დამყვება უკან და არ მასვენებს,
ჩემთვის გამხდარა ყოველი ბნელი,
გულის დარდები შენ თავს მახსენებს.

როგორ ვუშველო ამნაირ რამეს,
ალბათ ცრემლებით თუ განქარდება,
ჯობს ჩამოვშორდე თვალთა სიამეს
დროებით, თორემ ქარი ავდება.

მონაქროლი ნიავი

შენ მონაქროლი ნიავი გქვია,
რომელიც ნაზად მეთამაშება,
ისეთი ნდობით შემომეჩვია,
რომ აღარ მინდა მისი გაშვება.

გულის კარები დახშული მქონდა,
არავისათვის არ იყო ღია,
გამომიელვა შორიდან, ჰოდა,
შემომიღო და შემომირღვია.

ოჰ, ამისათვის მოგეგოს კარგი,
რაც ყოველივე ქვეყნად არსებობს,
ალბათ მშვენება წაართვი ნარგიზს,
ბრწყინავხარ ძვირად დანაფასებო.

გრძნობა წარსულის

ჩაქრა იმედი, როგორც სანთელი,
გადაიფარა ცხოვრების სეტყვით,
რამდენი რამე დამრჩა სათქმელი
და ვწუხვარ ისე ვეღარას გეტყვი.

რადგანაც ძალი წამერთვა ერთობ,
და ვის ედება ბრალი ამაში?
შენ მაინც გესმის, მაღალო ღმერთო,
რომ მე სატრფოსთან მსურდა თამაში.

მხოლოდ გულწრფელი, ალერსიანი,
ხელუხლებელი, უმანკო სულის,
სწრაფად გაივლის მრავალი ხანი,
მუდამ იელვებს გრძნობა წარსულის.

მარად დაუჭკნობია

შენით მშვენდება გაზაფხულზე ყველა ნარცისი
და სურნელებით ეფინები მიდამო მხარეს,
ჩემს ოცნებებში დაიუნჯებს სილურჯე ცისი,
შორს გამიტაცებს, სიყვარულით ნაზ ფრთებს მაფარებს.

ვის ესმის, მაშინ მე რას ვფიქრობ ან რა მაწუხებს,
ეს საიდუმლოდ დაფარული დარჩეს ჯობია,
თვალების ელვა, თმების რხევა მხოლოდ მარწმუნებს,
რომ ტრფიალება მათი მარად დაუჭკნობია.

და, ამიტომაც, ერთგულებით შემოგევლები,
წუთიც და წამიც ზედმეტია დასაკარგავად,
ოდესღაც მაინც ვნახოთ ერთად უცხო ველები,
რადგან ორივეს ჩვენ გვიცდიან დასაქარგავად.

სიყვარულის ფიცი

ზეცა ღრუბლებით გადაიფარა
და გულში გაჩნდა ავი ზრახვანი.
არ გამოჩნდება, სინათლე არა,
გაივლის კიდევ რამდენი ხანი.

დარჩები ისე, როგორც გჩვევია,
სიმარტოვეში, უხალისობით,
ფიქრნი მტრედებად დაგესევიან,
გამოწვეული მხოლოდ მისობით.

ვინ გამინელოს თავის ტირადა,
მე ხომ განცდები სხვაგვარი ვიცი,
იქნებ მენახე სადმე პირადად,
რომ სიყვარულის მომეცა ფიცი.

ნუ მაწვალებ

მთებში ჩნდება ნისლები
გადაკრული ზეწრებად,
მწუხარებით ვივსები,
შენზე ფიქრი მეწყება.

ლამაზო ნუ მაწვალებ,
შეისმინე ვედრება,
დამიბრუნდი აქ მალე
და გადვიქცეთ გედებად.

მოვიაროთ ქვეყნები,
ბედნიერნი გავხდებით,
ერთურთს შევუზიაროთ
უწმინდესი ზრახვები.

ახლოს მყოფელი

ჩევნ ვერასოდეს ვიქნებით ერთად,
ცხოვრება ერთობ ულმობელია,
მაგრამ იმედი ცოცხლობს იმ დღეთა,
წყვილთა შეხვედრას როცა ელიან.

ოცნება ქარგავს ლამაზ იდეებს,
წამიყვანს სადღაც, არ აქვს სასრული,
და მერე ვხედავ უცხო კიდეებს,
იქ, მაღლა, მოჩანს ერთი ასული.

ნეტავ ვინ არის, ვისი თმებია,
სინარნარეში ნაზად ალერსობს,
თვალები მისი მზერით ტკბებიან,
ალბათ შენა ხარ, უბრწყინვალესო.

მღერის–ნამღერი ძლიერ მამშვიდებს,
მიმოფანტულა თეთრი ვარდებით,
ყოვლის გაქრობა გულით მაშინებს,
დავკარგო ტურფად ნანავარდები.

გადავიწყება როგორ შევიძლო,
ხომ გაიმარჯვებს მაშინ სოფელი,
არადა, სულმა თვითონ შეგიგრძნო,
გაგხადა სხვებზე ახლოსმყოფელი.

იერი

ნეტავი შენ თუ მოგეწონები,
გამიჩნდა გულში სადარდებელი,
წინასწარ ვხვდები, არ ვართ ტოლები
და ამ პასუხსაც ამაოდ ველი.

ვინ გამაგონოს ხმა მშვენიერი,
სხვისი ოქროსი, რა ვქნა, არ მჯერა,
მამშვიდებს ბრწყინვა თეთრი იერის
და ასე ვქარგავ ოცნებებს ფერადს.

თუკი გამიგებ, გამახალისებ,
გავხდებით ხიბლი სწრაფმავალ დღეთა,
მე სიყვარულის სასმისს ავივსებ
და გამოვცალოთ ორივემ ერთად.

გადავიღალე

მე შენს ძებნაში გადავიღალე,
გადამეკარგე, არ ჩანხარ, არა,
იმედი მარტო ესაა–ხვალე,
გავიფიქრებ და გავყურებ შარას.

მაგრამ სულ სხვაა, როდესაც ელი
აღტაცებული და მონავარდე,
დაიგვიანებს ის ბევრი წელი
გახდება სხვისი ტურფა სავარდე.

ოჰ, მშვენიერო, მეტისმეტია,
დამშვიდობება ან დავიწყება,
განა ოცნება შემიწყვეტია,
როგორც გვირგვინი ნელა იწვნება.

შეხვედრის წამი

გავყვები ბილიკს, საითაც შენი
მომელოდება შეხვედრის წამი,
რაიმეს მეტყვის ალბათ ბაგენი.
დაგეფინება ციური ნამი.

მე ავღელვდები, ვით ზღვის ტალღები,
ხელებს შემოგხვევ თუ მომცემ ნებას,
განახებ ვარდებს ტურფა ბაღებით,
რომ ვერ გაუძლებ მათ სურნელებას.

და მერე, იქნებ მომანდო გული,
უსპეტაკესი, პატიოსანი,
რაც იყო დიდი ხნით დაფარული,
გამოგიცხადებს მაშინ მგოსანი.

ცხოვრების აზრი

შენ ხარ მზე თბილი და ცის ტატნობი,
ლურჯი ტახტია საბრძანებელი,
ახდა ოცნება, რასაც ვნატრობდი,
უკვე ამ ქვეყნად აღარვის ველი.

რომ დამიბრუნე ცხოვრების აზრი,
ამანთე ასე გრძნობის სანთელად,
თუ შემეხება თითები ნაზი,
ნუ ჩამაქრობს და ნუ გადამთელავს.

რადგან ვიწვები სიყვარულისთვის,
ჩემი სურვილი მხოლოდ ესაა,
ვინ გაიგონოს ფეთქვა გულისი,
დარდი არის და მარტო კვნესაა.

დაგლოცავ, კარგო, როგორც წესია
გქონოდეს მარად მშვენება თვალთა,
სიწრფელით შეგთხოვ, დიდო მესია,
გადმოაფარე მფარველი კალთა.

ვაზად

შენს აივანთან ამოვალ ვაზად,
ასე ყოველდღე დაგაკვირდები,
მოგეფერები, სიცოცხლევ, ნაზად,
ნიავისაგან მქროლავ კვირტებით.

მზისგან ძალიან შეწუხებული,
შემოგიფარებ ფოთლების ჩრდილში,
გახალისდება პატარა გული
და არაფრის არ ექნება შიში.

დროის ამაო ქცევა-თამაშით,
ალბათ ჩემითაც გადაიღლები,
თუკი ხელებით გადამწყვეტ, მაშინ
ირგვლივ ცრემლებად გადავიღვრები.

ჩემი ლექსები

ჩემი ლექსები შემოგტრფიან, უყვარხართ ძალზე,
მათში დაცურავ მდინარეში, ვით ნაზად ტივი,
ღელვის ტალღები გამღერებენ სანუკვარ ხმაზე
და დაიწყება პოეზია მაშინ ხანგრძლივი.

რომლის სტრიქონებს ალამაზებ ვარდების წყებად
და სურნელების მიმოფრქვეულ უცხო შეგრძნებით,
გამახსენდება ბევრი რამე, გული დამწყდება...
ამ ქვეყანაზე ყველაფერი ხდება შეძლებით.

ოჰ, მერე როგორ დავიბრუნო ოცნება მფრთხალი,
როცა წავიდა ამდენი ხნით შორეთს ძალიან,
ვიცხოვრებ მაინც, სიცოცხლეო, იმედად ხვალის
და გამოვყვები ბილიკს, სადაც შენი კვალია.

მტრედთა გუნდი

გამოფრინდა შენსკენ მტრედთა გუნდი,
წამოგიღეს თან წერილი ბევრი,
გევედრები, ჰოი, დამიბრუნდი
დამიბრუნე საოცნებო ფერი.

წაიკითხე, სინაზეო ველის,
გადაფურცლე შემოსილი გრძნობით,
საუცხოო სურნელება გელის
ვარდების და გვირილების თრობით.

გამაგონე მღერა შორეული,
დავიღვრები მერე, როგორც სურა
და თვალებზე ცრემლით მორეული,
მოვეხვევი შენს მშვენიერ სურათს.

ნაპოვნი ბრილიანტი

როგორც ლურჯ ზღვაში მიმოდის გემი,
ასევე წლებიც სწრაფად ივლიან,
შენ ხარ ლამაზი ოცნება ჩემი
და არ დაგკარგავ ნაპოვნ ბრილიანტს.

რომლის ბრწყინვაა შორს მოელვარე,
სხვები მასთან რა მოსატანია,
გამოაღვიძა გრძნობა მთვლემარე,
ველოდებოდი დიდი ხანია.

გავუფრთხილდები გულის სიღრმეში,
შიგნით ყვავილის მსგავსად ითრთოლოს,
ვამღერებ ხშირად ქნარის სიმებში
და მინდა გზები რომ გამიბროლოს.

სიყვარულის ზღვა

ისე მაღლა ხარ, აბა, რით მოგწვდე,
ლამის ხელები გადამეღალოს,
იქნებ, ცის ტატნობს მზეო, თვით მოწყდე,
გულში სხივებად გადამეღვარო.

თუ ამიხდება ოცნების ფერი,
მტრედების თეთრი მსგავსი მშვენების
გავხალისდები და ბედნიერი
სიყვარულის ზღვას ჩავესვენები.

დაგიმეგობრდე

მე ვინ მიშველის, წამიღო წყალმა,
განმარტოებას არ მინდა ვგრძნობდე,
იქნებ გამიგო, პატარა ქალმა,
და მითხრა, როგორ დაგიმეგობრდე.

ქვეყნად ბევრია ლამაზი ვარდი,
რომ მოსაწყვეტად უკვე მზად არი,
მაგრამ მათ შორის შენ შემიყვარდი
და გაზაფხული შენში დამდგარი.

თუ გამიმეტებს ნაზი ხელები,
მიუკადრისებს გულის კარები,
დამეკარგება ტკბილი ხედები,
ვიცი და მიტომ გემუდარები.

შენი ღიმილი

შენი ღიმილი ისე კარგია,
რომ ვერ ვივიწყებ მინდა ალერსი,
სიმღერა თეთრი გედის ჰანგია
საოცარი და უბრწყინვალესი.

ბედნიერების ამიტანს თრთოლვა,
სცენაზე ნაზად გამოხვალ როცა,
ულამზესი ვარდებით მოვალ
და სიყვარულის მზეს მოგილოცავ.

უცხო ვიქნები ძალიან მაშინ,
გაკვირვებული მომაპყრობ თვალებს,
პატარა გული ოცნების ზღვაში
ან დამღუპავს და ან შემიბრალებს.

ოღონდაც დიდი სურვილი გქონდეს,
ამაღლებული, როგორც ცის თაღი,
სახე ოდესმე თუ დაგიღონდეს,
მოდი და ნახე პოეტის ბაღი.

მიხვდები გვიან

ჩემი ლექსები დამეგობრდება,
ჩემს მაგივრობას გაწევენ შენთან
და არ დატოვო, შეგთხოვ, ობლებად,
მარადის ასე იყავით ერთად.

თუკი რაიმე სითბოს მოგგვრიან,
გამიხარდება, იცოდე, გულით,
ალბათ ყველაფერს მიხვდები გვიან,
როცა გახდები ასაკით სრული.

დიდი მადლობა, ღმერთო, ძლიერო,
რადგან მომმადლე წრფელი გრძნობები,
ულამაზესო და მშვენიერო,
მაინც იმედით გემშვიდობები.

ნაზი კალები

ვგრძნობ ყოველივე, მიუკადრისებს
შენი პატარა გულის კარები,
თუ დაგჭირდები, ოდესმე, ისე...
მოვალ და გრძნობით დაგეხმარები.

რადგანაც სული ძლიერ გეტრფოდა,
იცლიდა სევდის მოხვეულ საბანს
და ჩემს მაგივრად ვინმე გეტყოდა,
რომ დავეძებდი ერთადერთ სამანს.

მსურდა მეპოვა და გამეხარა,
ვით მშვენიერი ყვავილი მინდვრის,
უეცრად ბედი გადამეხარა,
გავხდი მხედველი ცხოვრების ბინდის.

გადამქცევია ფიქრები ვნებად,
დახანებული დროის რკალებით,
ნეტავი მქონდეს იმისი ნება
მოგართვა სახლში ნაზი კალები.

ქალი

თუ ცხოვრებაში წაგყვა წყობილად
ქალის სინაზე და მისი ეშხი,
უნდა ჩათვალო კეთილშობილად,
მიიღო სახლში, როგორც ანგეში.

ჩემი ფიქრები დიან შორს ვრცელად,
გეფერებიან სინაზით, კრძალვით,
მინდა, რომ შეგხვდე მშვენიერს ველად
და გვირილებში ვიცხოვროთ მალვით.

ნულარ ახანებ

თვალებს დავხუჭავ, წარმომიდგები,
როგორც ფერია ედემის ბაღში
და უთეთრესი ვარდთა რიგები,
თავებს გიხრიან სურნელებაში.
მე ყველაფერი დამავიწყდება,
ცხოვრების შფოთი ძლიერ დამღლელი,
ირგვლივ ხმაური უცებ მიწყდება,
თითქოს ელვარებ ცისკენ და მღერი.
გისმენ და ასე მიდის წამები..
გულს სიამეში ყოფნა ახარებს,
ჩამოიშალე ეგ ნაწნავები,
მოგელოდები ნულარ ახანებ.

ჩავკიდოთ ხელი

შემომიარე, კოხტა გოგონა,
ჩავკიდოთ ხელი ერთმანეთს გრძნობით,
უკვდავ წუთების ვიქცეთ მომგონად
და სიყვარულში ჩავეფლოთ ტკბობით.

ამ ქვეყნად მარტო წამება ვიცი,
გზად გაზაფხული გარდამეცვალა,
მას შემდეგ დიდი ხანია გიცდი,
გავუძლებ კიდევ თუ მეყო ძალა.

გამიცოცხლდება შენი თვალებით,
ბაგის ღიმილით და ნაზი თმებით,
ანგელოზი ხარ და მოკრძალებით
გამშვენებული ჩემი რითმებით.

მრავალთა შორის

პირველი, როგორც მრავალთა შორის,
გულში შემოდი მბრწყინავ იმედად
და დამანახე გზები სისწორის,
ბედმა ბნელისთვის რომ გაიმეტა.

და შეიცვალა ჩემთვის დრო მერე,
გახდა მგზნებარე, ხალისიანი,
ლამაზი გრძნობის წიგნში ჩავწერე,
ვინ არის მისთვის თავისიანი.

მიმიხვდი, ალბათ, გისურვო მინდა,
გქონოდეს ღვთისგან დიდი წყალობა,
ისმოდეს შენი სიმღერა წმინდა
და დაგელოცოს ქალწულქალობა.

სევდის ბილიკებს

როცა გავყვები სევდის ბილიკებს,
სად უმზეობა ბატონობს ხშირად,
შენი თვალები ვარდად ბიბინებს,
მიძღვნიან ალერსს სანდო კავშირად.

მინდა მოვიდე ახლოს, გემთხვიო,
უთეთრეს თითებს სიმშვიდის მომფენს,
სვიების მსგავსად შემოგეხვიო,
ზღვა სითბოსა და სინათლის მომფენს.

მაგრამ შორსა ხარ ისე ძალიან,
აბა, ლექსებით სხვა რა შეგმატო,
ვწუხვარ, ცხოვრება წარმავალია,
ალბათ დავრჩები ისევე მარტო.

შენი ღირსი

შენი ღირსი რომ არა ვარ ვხვდები
ოჰ, შემიბრალე პატარა ქალო,
და ამიტომაც მშფოთვარე ვხდები
უნდა წავიდე შორს, გაგეცალო.

რაში გჭირდება ჩემი ამბები
უბრალოების მსგავსნი არიან,
ჩამყვება მარად თლილი წარბები
გულში, რომელიც მარტო მკვდარია.

და შევინახავ ლამაზად, ასე,
დაგელოდები მაინც ვნებული,
ზეცის ტატნობზე მზევ მოალმასე,
ცივი, გამათბე სხივთა კრებულით.

სიჭაბუკის ყვავილი

ხარ სიჭაბუკის ნაზი ყვავილი,
იმედიანად გულს ამოსული,
ვრწყავ, როცა ფიქრი ცრემლად ჩაივლის
და ვეფერები მშფოთვარე სულით.

სხვა სურნელებით შემოსილია,
აღმატებული და მოამაგე,
ზღვის სიმშვიდეა, ჩემი ხიბლია,
მასზე ტაძარი გრძნობის ავაგე.

შევდივარ შიგნით და ვანთებ სანთელს,
მინდა, რომ იყოს დიდხანს ძალიან
და ვეუბნები ხალისით სათქმელს,
რადგან ოცნების დედოფალია.

მოსაგონებლად

ნუთუ ლექსები დაგვრჩება მარტო
იმ ლამაზ დღეთა მოსაგონებლად,
მინდა შეხვედრა შენი ვინატრო,
პოეტის თავის მოსაწონებლად.

ჩემი ოცნება დაემგვანება
ზღვისა და ზეცის ულურჯეს თაღებს,
გულის კარს განა დაეხანება?
გიცდის, ხელები როდის შეაღებს.

მიუალერსებს, როგორც არავის,
შეაფრენს ნაზად, ტკბილი გალობით,
მაშინ გაჩნდება ტრფობის კარავი,
ჩვენი ცხოვრების შუამავლობით.

არსაით არის

ასე რად შფოთავ, სულის სანთელო,
დროებითია დაქროლვა ქარის,
ვაიმე, ჩემი გულის სათქმელო,
საშველი არა, არსაით არის.

და რომ არ ჩაქრე, ვისი ხელები
დაგეფარება იმედის კონად,
თუ წახვალ შორეთს დავიფერფლები,
დავრჩები ალბათ სხვებს მოსაგონად.

იტყვიან: პოეტს დიოდა წყლული,
ტანჯვა ჰქონდაო ძალიან დიდი,
და რატომ მჭირდა, მიზეზს სისრულით,
ყველაზე კარგად შენ აუხნიდი.

დამნაშავეა

ოჰ, ეს ოცნება სხვანაირია,
მისი თვალებით გაშუქებული,
უიმედობა ძალზე ხშირია
და ვყავარ თითქმის დაუფლებული.

სითბო ვერ აღწევს, შიგნით ცივია
და ვის მიუძღვის ამაში ბრალი,
გული და სული ჩემზე ჩივიან,
დასაჯე მალე პატარა ქალი.

დამნაშავეა, გამოამწყვდიე
ცხრაკლიტულში და ვერავინ შევა,
მოსატაცებლად ნაკვალევს სდიე,
ყველაფერს შვენის დროის შერჩევა.

სათხოვარი

როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილს და გალაკტიონს
არ გაუმართლათ სიყვარული ეკნასი, მერის,
ოცნებებს უნდათ თეთრი ღამით კვლავ გადამრიონ,
თუმცა მათსავით, სამწუხაროდ, მეც ის დღე მელის.

ნეტავ ვიცოდე, ღმერთო, ჩემო რა მემართება
დიდი ტანჯვაა მიმოქცევა ყოველი წამის,
შენით მიცვნია მზის სადარი თვალთა ნათება,
და სიოს ქროლვა, უთეთრესი ვარდების ნამი.

გთხოვ, ამისრულე სათხოვარი, ესოდენ წმინდა,
მამა დავითის ეკლესიას მივადგეთ ორი,
პოეტებს ვნახავთ და მუზები ჩამოვლენ ციდან,
დაგიწერ ლექსებს, საიდუმლოდ დარჩეს ჩვენ შორის.

მოულოდნელი ჩამოსვლა

ჩამოხვედი, ლამაზო,
შევსებული ფერებით
და დამფარე სათუთი
ოცნებათა ფერებით.
სიხარული მაჩუქე,
ტრფობა აურაცხელი,
სულში გამიცისკროვნდა
შენი სათნო სახელი.
დიდ განცადში ვიყავი,
გაჩნდი მოულოდნელად,
მითხარ, რარიგ დაგტოვო,
კარგო მოულოცველად.
მსურს ვარდები მოგართვა,
მიხაკები, ტიტები,

დაგაბნიო კისერზე
ლექსთა მარგალიტები.
ოღონდ მომეც უფლება,
რომ თამამად გეწვიო,
დაგიკოცნო ხელები,
შენს სიყვარულს ვეწიო.
მაგრამ ვხვდები, ძნელია,
ყოველივეს გაგება,
არა უშავს, ძვირფასო,
მოქარგულო ჰანგებად.
ბედს ამჯერად ვრიგდები,
დარდებს გულში ჩავიკლავ
და იცოდე, ოდესღაც
მკერდში მაგრად ჩაგიკრავ.

ხმა გავიგონე

შენი ხმა გავიგონე,
ხმა ძალიან საამო,
სიხარულის წამებო,
ბედნიერო საათო.
ნაზად შემომაფინა
გულს ოცნება ცისფერი,
თვალწინ გადამიშალა
შენი გედის კისერი.
იქნებ სიყვარულისთვის
სიახლოვე გეკადრა,
ჩემი ტანჯვა-წვალება,
კარგო ასე გეკმარა.
ნურაფერი გაშინებს,
მოცქრიალდი თამამად
ეჭვს და მიუნდობლობას
ნუ გაიხდი საბაბად.

სპეტაკი მაქვს გრძნობები,
სულში ნათლის სვეტებად,
სადაც ულამაზესი
შენი ტრფობა ეტევა.
სწორედ ახლა მჭირდება,
თანადგომა ნუგეში,
თორემ ამოვისვრები
ტალახსა და წუმპეში.
რომ მიშველი, პატარავ
მწამს, სიკეთის ძალისა,
მოდი, რატომ მაწვალებ
იმედი ხარ ხვალისა.

მალე მოიცელები

მსურს მოვიდე შენს სახლთან,
გიგალობო სინაზით,
ოღონდ მაშინ, იცოდე,
არ მომექცე სიბრაზით.
თორემ მუზებს დამიფრთხობ
და გამიფრენ შორეთში,
სევდა დაისადგურებს
ტრფიალების მორევში.
დაწერილი ლექსები
ცეცხლში დაიწვებიან,
უფერული ცხოვრების
დღენი დაიწყებიან.
ვიცი, არ გამიმეტებ,
გულკეთილო ასულო,
დასაწყისო სიცოცხლის,
ჩემო ტკბილო სასრულო.
შემიფარე, მიმიღე
სულის ლამაზ ნაკადში,

გამახვიე მცივანი,
თბილ ფიქრების ნაბადში.
განა, რას დაგიშავებ,
მქვია შენი მგოსანი,
გვერდით გადაგეშლები,
ვით ფაქიზი სოსანი.
ჩემი სურნელებისგან
მალე მოიცელები
თბილად დამეფინება
მიმზიდველი ხელებით.

არ დარაზო

უცებ გამომეცხადე,
ანგელოზი ფრთიანი,
ლამაზი და ბრწყინვალე,
ჩამოქარგულ თმიანი.
გულში გამოიდარა,
გაქრა ძველი ნაღველი,
სიჭაბუკის დღეების
სისასტიკით დამღლელი.
სულ სხვა სითბო ვიგრძენი,
სულ სხვაგვარი დიდება,
ახლა მომეტებულად
შენთან ყოფნა მინდება.
რა ვქნა, საით გეძიო,
ვერ მივაგენ მისამართს,
მაგრამ მაინც მიუვა
მისავალი მისავალს
და პოეტის გახდები
მე რწმენა მაქვს ასეთი,
ბრილიანტად შემკული,
ოქროდ დანაფასები.

განა რამეს ცუდს გიმხელ
სიკეთით ვარ აღძრული,
შენი მშვენიერება
სხვაგვარად მაქვს აღქმული.
მიხვდი თავად, მგონია,
რა სიყვარულს გთავაზობ,
ოღონდ გულის კარები
იცოდე, არ დარაზო.

შეჩვევა და ეჭვი

პაწაწინა გოგონა
მომაშუქე თვალები,
სახის მშვენიერება,
ვით ნატიფი კალები.
დაე, ვიყოთ ორივე,
ერთიანი არსება,
ისეთი სიყვარულით,
ვერ გვინახონ მსგავსება.
მომაწოდე ხელები,
თორემ გარბის სწრაფად დრო,
მინდა ჩემი ოცნება
შენი მოსვლით გავბადრო.
რათა ბედნიერებამ
ჰპოვოს თავის ადგილი,
სულში ამიშრიალდეს,
როგორც ნაზი მანდილი.
ვარ მარადის ლოდინში,
ვერიდები ქალწულებს,
რომ არ ჩნდები არსაით,
უშენობა მაწუხებს.
ფარვით გეალერსები,
გქვია სხვებში რჩეული,

ჩაგემკვლელე ძალიან
შენზე ვარ შეჩვეული.
მაღლა ამოსაფრენად,
ნეტავ ფრთები მომეცეს,
მაგრამ ვაი, თუ შენი
გული მკაცრად მომექცეს.

დაშორება

თეთრი ღრუბლები ქარს მიაქვს
შორს,
და ბედიც მკაცრად გვაშორებს
ორს.
მაგრამ რა ვუთხრა სწრაფმავალ
დროს,
მომენატრები ძალიან
როს
გული სხვა ცისფერ ოცნებას
შობს,
ყველაზე ახლოს სიზმრებში
გგრძნობს,
გეალერსება და ვეღარ
გთმობს,
იქნებ მოხვიდე თვითონვე
გთხოვს,
ვემშვიდობები თითების
ბროლს,
ვუგზავნი ამბორს, როგორც ჩემს
ტოლს,
ციდან დის წვიმა და ვკარგავ
გონს,
ფიქრნი კი თმებზე ვერცხლისფრად
თოვს.

ნუ დამივიწყებ

დამიჯერე, სულ სხვაა
შენი თვალთა კვირტები,
როცა ულამაზესო
შორიდან გაკვირდები.
ტრფობის ალი მედება
და თითქოს ვითენთები,
ახალგაზრდა ჭაბუკი
ნელ–ნელა გითეთრდები.
ალბათ ძალზე გწადია,
რომ მე მოხუცს მოვგავდე,
ყოველ ღამე სარეცელს
მოუსვენრად ვბორგავდე.
არა უშავს, მოვითმენ,
ოღონდ ბედი მწყალობდეს
და მალე შემაერთოს
ნაზთმებიან მგალობელს.
რადგან სათნოდ შევნატრი,
უკვე დიდი ხანია,
შემეყარა სენივით
სიყვარულის მანია.
ახლა როგორ მოვიქცე,
დაშორება ძნელია,
ვიცი, წუთისოფელი
ამაო და ბნელია.
ცხოვრებაში ამიტომ
სინათლისკენ მივიწევ,
მწამს მივწვდები ოდესღაც
გვედრებ, ნუ დამივიწყებ.

თვალის შევლება

უშენობა ცის ნამო,
რა ვქნა, არ შემიძლია,
უფრო მეტი ვაება,
ტრფობისგან შემიგრძვნია
ჩემო მშვენიერება,
განა რამეს გაყვედრებ,
მიყვარხარ და ამიტომ
ღმერთს ზეცაში გავედრებ.
მინდა სულ კარგად იყო
სიკეთისგან ტკბებოდე
და ცხოვრების მანძილზე
მზეებრ იხატებოდე.
გულს სათუთად ათბობდე,
სიმღერათა ჰანგებით,
და მხიბლავდე მარადჟამს
საუცხოო გაგებით.
სხვას არაფერს გისურვებ,
მოგბეზრდები, მგონია,
ვხვდები, ჩემი ოცნება
რომ ძალიან შორია.
მაგრამ მაინც ვოცნებობ,
არ ვნებდები ქარიშხალს,
შევსვამ შენი გულისთვის,
თუნდ უმწარეს დარიშხანს.
ოღონდ ახლოს გიხილო,
ერთხელ თვალი შეგავლო,
რა იქნება, პოეტი
გაახარო შექალო.

გაიშალე თმები

ო, ეს ღიმილი და სიხარული
შენი სახიდან მოედინება,
რა პატარა ხარ, ტურფა ასული,
მზეს სიახლოვეც მოერიდება.
გაიშალე, გაიშალე
თმები,
გამოფრინდი ჩემსკენ ნაზი
ფრთებით,
ანგელოზო მაღალო და
წმინდა,
მენატრები შენთან ყოფნა
მინდა.
ვეხალისები უღრუბლო ტაროს,
ოცნებაც ცისკენ მიმართულია,
შენში ლამაზი სიცოცხლე ხარობს,
შენში ლამაზი სიყვარულია.

პოეტის გული

პოეტის გული ეხალისება
შენს დაუვიწყარ ლამაზ ხატებას
და სიყვარულის შუქით ივსება,
რაღაც ზეციურს გრძნობს აღმატებას.

ასე ნანატრის გამოჩენამდე,
ყოველთვის, ყველგან ტანჯვას ვპოვებდი,
მინდა იცოდე, კარგო, შენამდე,
სულ ეკლიანი გზებით მოვედი.

თეთრი პერანგი

თეთრი პერანგი,
სილამაზეა,
ბრწყინვალე არის,
როგორც ეს მზეა.
რა ვქნა, ვერაფრით
ვერ ვიშლი ცქერას,
აყოლილი ვარ,
ამ გულის ძგერას.
ვოცნებობ მარად,
უსაყვარლესო,
და შენს სურათზე
ბაგით ვალერსობ.
მინდა მოგართვა
გაშლილი ვარდი,
თუმცა ფარულად,
მაინც მწვავს დარდი.
რომ იქნებ მარტო
დამტოვო სუსხში,
და გაიხაროს
ეშმაკმა სულში.
მაშინ დადგება
დღეები მწარე,
დამიბნელდება
მიდამო, მხარე
და გავეკვრები
ნატანჯი ჯვარზე,
მაგრამ იცოდე,
არ გაგცვლი სხვაზე.

მშვენიერებავ

მშვენიერებავ პიანინოთა,
გალამაზებავ დღეთა ქარგებით,
დაგვირგვინებავ თითებით ნოტთა,
ახმიანებავ გედის ჰანგებით.
სულ სხვაა, მაინც, შენებრ მღეროდეს,
ვინმე მხარეში სასწაულებით
და ვარდებივით სინაზით კრთოდეს,
ასხივოსნებდეს ასე სრულებით.
სიწმინდის გრძნობა დაუთვლელია,
როცა სიყვარულს ენანავები
და განშორება რარიგ ძნელია,
შეუბრალებელ, მკვლელი მკლავებით.
გულის ღელვაა, სულის განცდაა,
მეტი არარა, სინამდვილეში
და ოცნებებით ფენილი ცაა,
ამ აღელვებულ სიყმაწვილეში.

მსურს განვიცადო

საუცხოოა
თითები თლილი,
ნაზია ველი,
ზღაპრად გაშლილი,
რომელიც მხოლოდ
ჩვენ გვიცდის მარტო,
დაბრუნდი მალე,
გთხოვ, ანდამატო.
იქ ყვავილები
იქნება მრავლად,
სურნელებაში
მოგვიწევს გავლა.
დავკრიფოთ ერთად,
შევკრათ კონებად,
გადაგვექცევა
სხვა მოგონებად,
სხვა სიხარულად,
სხვა აღმაფრენად,
რომ ვერასოდეს
წარმოთქვამს ენა.
ლექსის ფურცლებით
შემოგხვევ სარტყელს,
ჩავეკონები
თვალების სარკმელს.
თუნდ იყოს წუთი,
ოჰ, ღმერთო ჩემო,
მსურს განვიცადო
ბაგეთა გემო.

ბედნიერი ვარ

ბედნიერი ვარ, არფერს ვჩივი,
თუმც, ასაკი მაქვს მოძალებული,
შემომაშუქე ცხოვრების სხივი,
ასე ძალიან მონატრებული.

აღელვებული შევიქენ მშვიდი,
უიმედობა გადამეცალა,
მოგონებებში განა წავშლიდი
ზღაპარს, მოფრენილს პირველ მერცხალად.

მადლობას გიხდი, მადლობას უღრმესს,
ყველაფრის გამო, ცოცხალო ტილო,
სხვებისთვის მელანს მუდამ დაუღვრელს,
ახლა დაქარგვას ლექსებით ვცდილობ.
ვარდად იქეცი გულის საცავში
და იყვავილე გრძნობით დამწველმა
ჰოი, მშვენებავ, აქაც და ცაშიც,
იხაროს შენმა აკვნის დამრწევმა.

დრო სიამეში

მე კმაყოფილი დავრჩები იმით,
თუკი მიმიღებ უცხო კავალერს,
შეგხვდები დარბაზს დიდი ზეიმით
და სიყვარული ბევრს დამავალებს.

გაიმართება ლამაზი ბალი,
გამოგიწოდებ ხელებს ინფანტას
და ბრილიანტის მრავალი თვალით
შეემატება ნათელი ფატას.

ერთად ვიცეკვებთ ორივ ღამეში,
მოგპარავ რიდეს, წამოვალთ ოდეს
და გატარებულს დროს სიამეში
არ დავივიწყებთ ჩვენ არასოდეს.

არაფერი სჯობს

არაფერი სჯობს, როცა შენს გვერდით
მშვენიერება აციმციმდება,
ეს ჰგავს ვედრებას მომღერალ გედით,
სიხარულით, რომ საზღვარს სცილდება.

მას ხომ სიცოცხლე უნარჩუნდება,
ზეცაში თაღებს ენანავება
და სიყვარული შორით ბრუნდება,
გადაშლის თეთრ ფრთებს ტბაზე ნავებად.

გამეტებაა თავის მკვლელობა
მაშინ თუ სატრფოს გულში გაივლებს
როგორც ქალწულთა მიმზიდველობა,
დაეფინება ზოგჯერ აივნებს.

დაელოდება ზღვა სიმშვიდეთი,
სხვა გარინდებით მოიცელება,
შემოფრინდება, ვიდრე ის ერთი,
გადაიღვრება მანამ ცრემლებად.

ვხარობ

ვხარობ, რადგანაც
გული გენდობა,
შეჰყვარებია
შენი გედობა.
ფრთებად გაშლილი,
უმშვიდეს ტბაზე
ამაღლებული
მარადის სხვაზე.

მიუღწევი ხარ

მიუღწევი ხარ, როგორც ცა ლურჯი,
დიდი ზღვასავით დაულახველი,
გაგალამაზა განგებამ ფუნჯით,
გაგხადა ასე სხვათათვის მწველი.
მინდა ჩემს გულში შემოგაჩვიო,
პატარა მტრედო, უმანკო ფრთებით
და სიყვარული შემოგაფრქვიო
ნაოცნებარი თეთრი ვარდებით.
ვდგავარ სარკმელთან, გავყურებ სივრცეს,
თითქოს ზღაპარში მგონია თავი,
მზადა ვარ, შენთვის რომ სული მივცე
და წაგიყვანო მოქარგულ ნავით.
შემოგახვიო გრძნობები ვაზად,
შევსვათ საამო, ტკბილი ნექტარი,
ერთად გავლიოთ სიცოცხლე ნაზად
და მასმენინო ხმები ნეტარი.

პოემები

გ ე დ ე ბ ი

ღამეში მთვარე
მინათებს ბილიკს,
გულში მეღვრება
გრძნობები თბილი,
რადგან სიმშვიდე
უსაზღვრო სამნად
გადაეფინა
მიდამოს საბნად.
მივიწევ ჩემთვის
უბრალო ადგილს,
სადაც ცხოვრება
შორდება ნამდვილს,
მხოლოდ სულია
მარტოდ შთენილი
მრავალ ფათერაკს
გადარჩენილი.
გიყვებით ვინმე
ერთ მოხუც ქალზე,
რომლის სისაწყლეც
ცრემლს მოგგვრით თვალზე.
გრაცია ჰქვია-
მიუკარები,
მაგრამ მისვლისას,
სახლის კარები
გამიღო სწრაფად
და სიხარულით,
რადგან იცოდა
მიზეზი სრული.
შევატყობინე
სურვილი წინათ
და თანადგომა
გამოიჩინა,
რომ ლამაზ ამბავს
ახდიდა ფარდას,
არ უამბობდა
არვის ჩემს გარდა.
მადლობის მეტი
აბა, რა მეთქმის,
ო, შემწეობა
ჰქონოდეს ღმერთის!
მიმიღო გახდა,
როგორც მშობელი,
სიყვარულის და
სითბოს მყოფელი.
დაიწყო თხრობა,
გადვიქეც სმენად,
ნიავის შრიალს
აუწყო ენა.
თითქოს მუსიკის
მისადაგებით
ჟღერდა სიმღერის
ტკბილი ჰანგები:
საუკუნეებს
მოითვლის სწორედ,
გარდახდენილი
ტრფობის სიშორე.
მინდა სიტყვებით
შევამკო ერი,

პატივმოყვარე
და ბედნიერი.
გადაშლილია
სინარნარეში,
ხვავის, ბარაქის,
ტურფა მხარეში
მადლი ტრიალებს
ჩაუქრობელი
და ამიტომაც,
შეტრფის ყოველი.
უფრთხილდებიან,
იცავენ დიდად,
გალაღებულნი
მცხოვრებნი მკვიდრად.
ძნელია მტერმა
დააზიანოს,
როს სიყვარული
ასე მზიანობს.
იტალიისთვის
ეს შესავალი
მიძღვნია ქებად
ვით წმინდა ვალი.
ჩემი გვარიც ხომ
იქიდან არის,
მაქვს წინაპრების
დანატოვარი.
მოვიხსენიებ
მათ წასულ სულებს
ომში გმირობით
განდიდებულებს.
გადმოიხვეწნენ
რომლებიც მერე
და ადათ-წესი
სხვა შეიფერეს.
გადავამეტე,
მგონი, ძალიან,
განა მგოსანო,
მისთვის გვცალია?!
ჯობს მოვიკრიბო
ფიქრები წყობით,
შევუდგეთ საქმეს
პირველ გაცნობით.

I

ერთ დროს მეფობდა
მეფე ფილიპო,
იტალიისთვის
გაჩენილიყო,
რადგანაც ბევრჯერ
დაიხსნა იგი,
არ შემოუშვა
მომხდური შიგნით.
მეომრის ნიჭი
დაჰყვა ძლიერი,
ჰქონდა უდრეკი
სახის იერი.
ამიტომ ხალხმა
უწოდა მხსნელი,
გამორჩეული
კაცის სახელი;

მეჯლისს აწყობდა
ფილიპო მაშინ,
კმაყოფილებით
დიდ განცხრომაში
და ალექსანდრა
სინაზით მკრთალი
დაუმშვენებდა
გვერდს დედოფალი.
გამმეტე იყო
და მწყალობელი,
ჩაგრულებისთვის
ჩუმი მლოცველი.
უხვად გასცემდა
მათთვის საჩუქრებს
გაუმართავდა
გულთბილ საუბრებს.
ესმოდა კარგად
წუხილი სხვათა,
ენამებოდა
ცრემლებით კალთა.
დედოფლობაში
ასე მნათობდა,
თითქოს მზესავით
ირგვლივ ათბობდა.
თუმც დავუბრუნდეთ
სანატრელ ნადიმს
გამოვლინებას,
ვით სიდიადის,
მაშინ დარბაზში
დიდებულები,
წარმოდგენილნი
იყვნენ სრულებით.
ცეკვავდნენ ერთად,
იხდენდნენ სამოსს,
მოიგონებდნენ
ამბებს საამოს.
ანაზდეულად
მიწყდა ხმაური,
ყოვლის მომცველი
აურზაური.
შემოდიოდა
პრინცესა ნაზი,
ფეხქვეშ ეფინა
მას ფიანდაზი.
შესციცინებდნენ,
ხოტბას ასხამდნენ,
ცოტაღა აკლდა
ტახტზე ასვლამდე.
შესრულებოდა
თხუთმეტი წელი,
მოწიფულობის
ვარდი დამწველი.
ალერსიანად
აფრქვევდა ღიმილს,
სურნელოვანი
ბაგენი იმის.
მარტინა ერქვა
ნორჩს, ტანად ალვას,
დაატარებდა
თილისმად კრძალვას.
უმანკო იყო,
ვით ღვთის ტარიგი,

ამკობდა კაბა
მერე, რარიგი.
ვერვინ უძლებდა
ცქერით ცდუნებას,
უდღეგრძელებდნენ
შემქმნელ ბუნებას.
განახლდა ისევ
ლხენა ქებული,
მცირედი ხანით
შეჩერებული.
ეშხში შესულებს
ღვინის სმა ძლევდათ
და უკანასკნელ
ძალებს ართმევდათ.
ამასობაში
ჩამოწვა ბინდი
სტუმრად მოვიდა
მაშინ რაინდი.
ბრწყინვალე სახის
მქონე ჭაბუკი,
შეუპოვარი,
როგორც ქარბუქი.
განათლებული,
გამგები, ზრდილი,
თავაზიანი,
კარგად აღზრდილი.
დარჩენილიყო
დედ-მამით ობლად,
მხოლოდ ჯუზეპე
მიაჩნდა მშობლად,
რომელმაც იგი
ბავშვი გაზარდა
უძღვნა ცხოვრება
არას დაზარდა.
და ამიტომაც
სახლ-კარს ანდობდა,
ერთგულებისთვის
მუდამ მადლობდა.
ალბერტო, აქეთ,
მოუჯექ სუფრას!
შესძახა მოსულს
მეფემ გულსუფთად.
გადააწოდა
სასმისი სტუმარს,
თან სთავაზობდა
უამრავ ნუგბარს.
მაგრამ ალბერტოს
მღელვარე სული
დაჰფარფატებდა
თავზე ასულის.
მიახლოვება
ძალზე ეწადა,
მორიდებულად
კიდეც ეცადა.
თავშეკავებამ
იმარჯვა მასში,
ჩამოჯდა სკამზე
მოცული ნავსში.
თუმცა სიწითლემ
გადაჰკრა ფერად
და შეეშალა
ხელი ამჯერად.

გულს შემოაწვა
ლოდებად სევდა,
რაღაც რომ ჭირდა
ყველა ამჩნევდა.
ვერ გაებედათ
ეკითხათ რამე;
მოუახლოვდათ
მათ შუაღამე.
ნელ-ნელა დაშლა
იწყეს ხალისით
დამთავრდა ჟამი
კარნავალისი.
ბოლოს ალბერტომ
შეავლო თვალი,
წუთისოფლისგან
შეიგრძნო ბრალი.
ვერაფერს მიხვდა
მაშინ მარტინა
და რამაც გული
უფრო ატკინა.
ეს ყოველივე
იყო საძნელო.
ამაზე მეტი
რა გავაგრძელო?
დარბაზის კიბეს
ნელა დაუყვა,
დაღლილობისგან
შეიქმნა უტყვად.

II

ვარსკვლავთა გუნდი
მოჩანდა ცაზე,
დაივანებდა
ირგვლივ სინაზე
და მოისმოდა
ფრინველთა ნარნარი,
ტკბილი გალობა,
ვით ხმები ქნარის.
რაინდმა სახლში
კვლავ არ მისულმა,
განმარტოება
სხვაგან ისურვა.
შეატრიალა
რაში ფიცხელი,
გადაიარა
მინდორი ვრცელი.
იცოდა ერთი,
ადგილი წყნარი
და გადაშლილი
ვარდთა ბაღნარი,
სადაც უყვარდა
ასე ოცნება
და სიხალისით
გამოცოცხლება.
თეთრი ცხენიდან
მარდად ჩამოხტა,
მოხდენილობით,
ძალიან კოხტად.
სურნელებისგან
წაერთვა ძალი

და შემოიხსნა
ქამრიდან ხმალი.
თავისუფალმა,
სულით მღელვარემ
გამოაღვიძა
ბაღი მთვლემარე.
შესძახა ვარდებს:
თქვენდა მშვიდობა,
დამიკარგია
ახლა რიდობა,
მოვსულვარ რათა
გითხრათ სათქმელი,
დავიწვა აქვე,
როგორც სანთელი.
ალბათ გახდებით
ჩემი მფარველი,
დარწმუნებული
პასუხს არ ველი.
მსურს მოგეხვიოთ,
მკერდში ჩაგიკრათ
და მწუხარება
ასე ჩავიკლა,
გამოწვეული
პრინცესას გამო,
ლამის ცრემლებით
მიწა დავნამო.
თორემ გაძლება
ძალიან მიჭირს.
მსხვერპლად ვიქეცი
შემომჩნდარ იჭვის
თუ გამიმეტებთ
წავალ ეული,
ვიქნები ქვეყნად
მუდამ წყეული.
დავიმალები
უდაბურ ტყეში,
ვინღა იქნება
ჩემი ნუგეში,
ანდა შევდგები
ბერად ტაძარში
გამოვეწყობი
მარტო ძაძაში.
მოვერიდები
სოფლიურ ზრუნვას
და შევეჩვევი
ზრახვათა თრგუნვას,
მაგრამ ეს ნიშნავს,
სისუსტემ მძლია
და დამარცხებულს
არად ჩამთვლიან.
მთავარი მაინც
მოწოდებაა,
გზის არჩევა და
მოწონებაა.
მაღალო ღმერთო!
ოდესღაც, ვინძლო,
მე მარტინასთან
ყოფნა შევიძლო.
აღმოხდა რაინდს
სიტყვები მძიმედ,
რაც უკანასკნელს
აძლევდა იმედს.

ალბერტოს წვავდა
დიდი ტრფიალი,
სიომ დაჰბერა
ვარდებს შრიალით,
სახეს შეეხო
საამო ქროლვით,
მოჰგვარა ძილი
მონანულს ლტოლვით
და ჩააძინა
ბუნების ხიბლში.
მრავალნაცადი
ჭირსა თუ ლხინში.

III

გამოაბრწყინა
მზემ ცის თაღიდან
და ლამაზ მხარეს
სხივებს აღვრიდა.
ღამეს პირბადე
შეხსნა აისმა
და ჟრიამულის
ხმები გაისმა.
დილა კი დადგა
პატარძლის მსგავსი
მომხიბვლელობით,
თავის სისავსით.
ალბერტო იწვა,
არა ეხურა,
ვარდის ფურცლების
ნამი ესხურა.
გამოიღვიძა
სიზმარში მყოფმა,
დაასხა უცებ
თავს ცივმა ოფლმა.
წამოიმართა
ვაჟკაცი ფეხზე,
ხალისი კრთოდა
იერსახეზე.
ცხენის სადავე
ხელში ეჭირა
ღმერთს მშვიდობისთვის
ლოცვა შეწირა.
ეწადა ქროლვა
ქარივით ველზე,
ერტყა ქამარი
ოქროსი წელზე.
და სწორედ ამ დროს
მარტინა ეტლით
დასეირნობდა
ცის მონაწყვეტი.
სოფია ახლდა
გამზრდელი მისი,
ყოვლად კეთილი
და ქების ღირსი.
თავდადებული,
მოკრძალებული,
ოღონდ ასაკით
მოძალებული,
გათეთრებოდა
თმები მთლიანად,

იმზირებოდა
თუმც ეშხიანად.
ჩამოდიოდნენ
ლანდები გორით,
ცხადლივ შენიშნა
მეეტლემ შორით.
მიხვდა ყველაფერს
თქმა კი უჭირდა,
ცხენებს მსწრაფლ
შოლტი გადაუჭირა
და უპირველეს
სულსაც ერჩივნა,
ოღონდ მარტინა
გადაერჩინა.
ყაჩაღები კი
მოსდევნდენ უკან
გასაძარცვავად,
სანატრელ ლუკმას.
ბოლოს რჩეულმა
იმარჯვა მათში
წინ გადაუდგა
მათ ცხენებს რაშით.
უთხრა:- გადმოდით,
ეტლიდან ყველა!
გამომისხლტებით
ხელიდან ძნელად.
მომეცით მშვიდად,
სჯობს სამკაული
დღე გამითენდა
რა სასწაული.
და როს გამოჩნდა
პრინცესას სახე,
თითქოს წმინდანის
ხატება ნახეს,
დატყვევდა ცქერით
ყაჩაღთა ბანდა
და არაფერი
არ ჰქონდათ დარდად.
მხოლოდ სოფიოს
მოთქმა-გოდებამ
შეძლო რაინდთან
ხმის გაგონება.
დასახმარებლად
გამოემართა
აღმატებულებს,
როგორც ემართათ.
ვიდრე გონებას
მოკრებდნენ ძალით,
მეხად დაეცათ
ალბერტოს ხმალი.
ბანდის მეთაურს
გაუპო გული
გამოიყენა
ნიჭი მხედრული.
შემდეგ სხვებს მიდგა,
სისხლი ადინა,
ვერაგებისგან
იხსნა მარტინა.
ქალწული ნაზად
მხარზე ემთხვია,
ხოლო სოფიო
შემოეხვია.

მეეტლეს შიშით
დაბმოდა ენა,
ჭაბუკმა ხელით
წამოაყენა.
წავიდნენ ერთად
სასახლის კარზე,
მეფისთვის ეთქვათ,
რაც მოხდა გზაზე.
გაეგო ყველას
ამბავი მათი
გამოსულიყვნენ
დიდ–პატარათი.
ალბერტოს შეხვდნენ
მაშინ პატივით
ხალხს იზიდავდა
ანდამატივით.
ოდნავ შეცვლოდა
ასულს იერი,
კრთოდა ვარსკვლავად
ვით მშვენიერი.
მეფეს ეამა
და გაუხარდა
რაინდს მადლობა
გადაუხადა.
სიკეთისათვის
უქო მარჯვენა,
გამბედაობა
რადგან აჩვენა.
უბოძა მყისვე
საჩუქრად მშვილდი,
ჩაიკრა მკერდში
ვით თავის შვილი.
მორცხვად ეცვალა
გმირ რაინდს ფერი
წუთები ჰქონდა
რა ბედნიერი.

IV

ჯუზეპე ვეღარ
უძლებდა ლოდინს,
ფიქრობდა: ნეტავ
მომივა როდის,
რაიმე ხომ არ
შეემთხვა გზაში,
თავი ცოცხალი
რად მინდა მაშინ?
ცუდი ამბავიც
არვინ მაცნობა,
თუმც მწამს ალბერტოს
მე ვაჟკაცობა
სწორედაც ამ დროს
შეაღო კარი
და გადაკოცნა
სკამს ჩამომჯდარი.
უთხრა სიტყვები
სიამის მგვრელი
მოისათუთა
ასე გამზრდელი.
მოხუცის სახეს
შეატყო დარდი,

მოკიდა მხრებზე
ხელები მარდი
და ჩააცქერდა
ჯუზეპეს თვალებს,
გრძნობდა იმათში
მამობრივ ალერსს:
-ვიცი, გატკინე
ძალიან გული,
დაგტოვე მარტო
აღელვებული
მეძინა ტკბილად
ღამე სულ სხვაგან,
სიყვარულისთვის
გავხელდი რადგან.
გამინაპირა
ტურფას წყალობამ
მოვინახულე
ყვავილთ მრავლობა.
გთხოვ, პატიებას
და თანადგომას,
პატივისცემას
შენდამი რომ მაქვს.
კარგად მისმინე,
მსურს გამოგიტყდე
თუ, რაც გარდამხდა
ახლავ მოგიყვე:
დღეს შევეყარე
ბანდას ყაჩაღთა,
დაუნდობელი
ბრძოლა გაჩაღდა,
სულ ერთიანად
გავწყვიტე ყველა,
ჩემი ხმლის ვადამ
კვლავ მასახელა,
თურმე პრინცესა
შეეპყროთ ჩვენი
კეთილშობილი,
მშვენების მფენი.
სოფიაც იყო,
შველას ითხოვდა,
გამწარებული
სახეს იხოკდა.
ჩამოვაშორე
გზად განსაცდელი
და ავისრულე
მე საწადელი
ბედნიერება
შევიგრძენ დიდი
რასაც ამდენი
ხანი ვუცდიდი.
ეს ყოველივე
გაიგო როცა,
ფილიპომ ჯილდოდ
მშვილდი გადმომცა.
შენ გეუბნები
ქვეყნად ჯერ უთქმელს,
გპოვებ ერთადერთ
მესაიდუმლეს,
მარტინა მიყვარს
მთელი არსებით,
ჩემს სულზე მეტად
დანაფასები.

რარიგ ავუხსნა
ტრფობა პატარას,
რამდენ თეთრ ღამეს
გამომატარა...
ვიდრე მოყოლას
გააგრძელებდა
უცებ ჯუზეპეს
დაეცა ელდა,
ძირს გადავარდა,
ფერი წაერთვა,
თითქოს უნდოდა
რაღაცა ეთქვა.
ძლიერ შეშფოთდა
მხედველი ამის,
ცრემლები წასკდა
ალბერტოს ლამის
და ჭიქით, სავსე
შეასვა წყალი.

მოსულიერდა
უმალ საწყალი
და უმადლოდა
შვილობილს ამაგს,
ეღიმებოდა
წვერებში ჭარმაგს.
სიკეთისათვის
ჩუმად ლოცავდა,
მთრთოლვარე სიტყვებს
სიბრძნე მოსავდა.
რაინდს იმედი
გაუჩნდა გულში,
ზღვარი არ ჰქონდა
მას სიხარულში.
გაწბილებული
დაწყნარდა უკვე,
რადგან გამზრდელი
შეიქნა უკეთ.

V

ერთ დღეს ფილიპომ
დედოფალს უთხრა:
-შეგთხოვ, სახეს ნუ
შეიცვლი მწუხრად.
მინდა, ძვირფასო,
ჩვენი ანგეში
რომ გავაგზავნოთ
შორ საფრანგეთში.
იქაურ წესებს
გაიცნობს კარგად
იქნება ზრდილი

სამეფოს კარად,
და ეყოლება
მრავლად ფარეში,
ზღვა სიყვარულის
უცხო მხარეში
გახალისდება
მისი ბუნება,
სამიოდ თვეში
დაგვიბრუნდება.
დესპანის პირით
გავაცან თხოვნა,

რაც ფრანგთ ხელმწიფეს
ესიამოვნა
მიღებისათვის
დასტურს იძლევა,
უარის შეთვლა
არ შეიძლება.
ცუდი რა არის
ამაში ნეტავ?
სიკეთის გარდა
ვერაფერს ვხედავ.
ვიცი, მარტინას
მოეწონება
და იზეიმებს
ბავშვის გონება.
თქვი თუ რაიმე
გაქვს შენ სათქმელი,
გისმენ, სიცოცხლევ,
მე პასუხს ველი.
ალექსანდრამ კი
დაუკრა კვერი,
გამაოგნებელ
მიმნდობი მზერით,
თუმცაღა გულში
ფიქრობდა სულ სხვას,
თითქოს ყოველი
მოედო სუსხად.
შეკამათებას
არჩია თმენა,
ჩამოიშორა
უმალვე წყენა
და სჯა-ბაასი,

როცა დასრულდა
ორივე ერთად
გაჩნდნენ ასულთნ.
მეფემ დაიწყო:
მიყვარხარ შვილო,
შენთვის სიკეთის
მოტანას ვცდილობ.
ხარ საფრანგეთში
სტუმრად წვეული,
როგორც მშვენებით
გამორჩეული
და გაემგზავრე
დასასვენებლად,
რომ გქონდეს მუდამ
გასახსენებლად.
ნიჭი გებოძა
ღვთისგან ზღაპრული,
იქნებ ისწავლო
კიდეც ფრანგული.
შეგატყობინეთ
ჩვენი განზრახვა,
მოვიწადინეთ
ამიტომ ნახვა.
მარტინამ მამას
შუბლზე აკოცა,
ცოტა არ იყოს,
თქმულით გაოცდა
და გამოხატა
თანხმობა ასე,
პატიოსნების
სინათლით სავსემ.

შველის ნუკრივით
ჩაეკრო დედას
დაიფარავდა
იმ მცირედ სევდას,
რასაც მშობლისგან
ჰქვია მოწყვეტა,
აღუწერელი,
საძნელო მეტად.
ალერსისათვის
ხანი არ იყო.
სოფია უკვე
კარს მომდგარიყო.
ჰქონდა ნივთები
გამზადებული,
თან წასაღებად
გადადებული.
გამოთხოვება
მან რა იხილა,
გამოტრიალდა
უმალვე ფრთხილად
და დაიცადა
დერეფანს ვიდრე,
გამოვიდოდა
ტახტის მემკვიდრე.
წინ მოელოდათ
გზა მომქანცველი,
თან გაიყოლეს
ათამდე მცველი.
ნაპირებს შლიდა
ზღვა ბობოქარი,
შეუბრალებლად
დაჰქროდა ქარი
მთელ იტალიას
მტვერში ახვევდა,
ტანმაღალ ხეებს
ტოტებს ამსხვრევდა
და ფრიალებდნენ
თეთრი აფრები,
როგორც თოლიის
ფარფატა ფრთები.
იღრუბლებოდა
ლურჯი ცა ცუდად,
როცა ხომალდი
ზღვაში შეცურდა.

VI

წვიმის წვეთები
ცვიოდნენ ციდან
საცერის მსგავსად
ცრიდა და ცრიდა.
ისმოდა ხმები
ჭექა-ქუხილის,
დაგროვებული,
როგორც წუხილი.
ჩამოაფინა
ზეწარი ღამემ
და უწინდელი
გაჰქრა სიამე,
რასაც ალბერტო
უფრთხილდებოდა,

ახლა სულ სხვაგან
უფრინდებოდა.
მოწონდა ძალზე,
თუმცა მალულად
ესახებოდა
დიდ სიყვარულად.
ერთადერთობა
მაშინ იწამა,
როდესაც შეხვდა
სწორედ იმ წამად.
უნდოდა მისთვის
დაეთმო სული,
თმებს შეხებოდა
ნაზი ქალწულის,
მაგრამ ვერაფრით
ვერა ბედავდა,
დიდ სასახლეში
მხოლოდ ხედავდა
მიეცემოდა
მცირე ნუგეში,
ესეც წაერთვა
სიჭაბუკეში.
დარჩა ვნებული
სევდის ამარა
და ცხედარივით
დაასამარა.
არ მოუვიდა
თვალებზე ძილი,
ახსოვდა სატრფოს
თეთრი აჩრდილი,
რომელიც ახლოს
ელვარდებოდა
ასე ყოველგან
ელანდებოდა,
ალბერტომ იწყო:
ბედო მსჯი მკაცრად
თავს მაგრძნობინებ
ფერფლად და ნაცრად,
გინდა სიცოცხლე,
რომ გამიმწარო
ახალგაზრდული
მჩქეფრე წყარო,
რომლის დინებას
ზღუდავ ურჩხულად
მომეპარები
უკან უჩუმრად.
უიმედობას
მუდამ მიმზადებ
და მიშლი მისვლას
დიად მიზნამდე.
ჰოი,რარიგად
მიღელავს გული,
ცუდ ვარსკვლავზე ვარ
დაბადებული,
მიხდება ტანჯვის
რწმენით ატანა.
უძლურ იქნება
მაინც სატანა,
რადგან სიყვარულს
იფარავს ღმერთი,
მომტევებელი
ცოდვების ერთი.

შენ კი, მარტინა
წასულხარ საით?
არარა უთხარ,
საბრალო რაინდს,
მოულოდნელად
დამტოვე მარტო,
მზეო ნანატრო
ყოველი მხრიდან
შემიკარ გზები
გადაგილახავს
უცხო საზღვრები.
ღრუბლად განავდი
ზღვის სილურჯეში,
ცრემლი მადგება
თვალთა გუგებში.
ამ ამინდივით
ვდგავარ და ვტირი,
უსაშველოდ ჩანს
დახსნის ნაპირი.
მე უზრუნველად
თბილ სახლში ვიცდი,
ვინ იცის, იქნებ
მოხიბლოს პრინცი
ხელი მოთხოვოს
მას ცოლობაზე,
გაეარშიყოს
ცეკვის დროს, ბალზე.
ბავშვურ ასაკით
იგი აცდუნოს,
ტკბილი სიტყვებით
მთლად მოადუნოს
და გაახვიოს
ვნების ქარ-ცეცხლში,
ამბორის ყოფით
შევიდეს ეშხში
და უფრო მეტად
დაუახლოვდეს,
თუ მისცემს ნებას,
თანხმობის ოდეს.
მიჯობს, ფიქრები
განვაგდო მალე,
ვიდრე ჭკუიდან
მე შევიშალე.
მოგიალერსო
ძალიან მინდა,
მოვგვარო თრთოლვა
ბაგეებს წმინდას,
მწამს შენი კდემის
და ვარ მიმნდობი,
ძვირო მარტინა
იყავ მშვიდობით.

VII

სიმშვიდეს ზოგჯერ
ხმაური არღვევს
მტრის შემოსევით,
ცხოვრებას ამღვრევს.
უნდა შეგეძლოს,
გაწირო სული,

სამშობლოსათვის
მოვლინებული
და წინ აღუდგე
ძალმომრეობას,
მარად იცავდე
ჩვეულ ზნეობას.
რეკდნენ ზარები
მალიმალ მაშინ,
იყო მზადება
იტალიაში.
კარს მოდგომოდნენ
უცხოელთ ტომნი
შეუბრალებლებს
ეწადათ ომი.
მეფემ შეკრიბა
თავისი ჯარი
უთხრა: გფარავდეთ
თქვენ ღმერთის ჯვარი!
განსაცდელშია
დღეს დიდი ერი,
მადლშემოსილი
და მშვენიერი.
ვიბრძოლოთ სისხლის
ბოლო წვეთამდე,
ვიდრემდე საზღვრებს
გადმოკვეთავდნენ.
თორემ მომავალს
რა პასუხს გავცემთ,
გვეპატიება
ღალატი არცერთს.
მე მაქვს იმედი
თქვენი ძალისა,
ხართ ახლანდელი
შუქი ხვალისა.
ქვეყანას უძღვენთ
გულის ფიქრები,
ხელში ხმალით თქვენს
გვერდით ვიქნები.
მამაშვილურად
მოავლო თვალი
ჯარს ჩაუყენა
ორი სარდალი
ალბერტოსა და
ანდრეას სახით,
რჩეულნი ნიჭით-
სხვა გამჭრიახით.
ანდრეა გახლდათ
ღონით ნაქები
და ჩვენს რაინდზე
არანაკლები.
ბეჭგანიერი,
ტანად აყრილი,
ოღონდ ქალებში
დიდი გარყვნილი.
სხვა მხრივ უზადო,
სახელოვანი,
საუბარის დროს
ტკბილად ხმოვანი.
შემდეგ ამისა,
გაჩაღდა ბრძოლა,
მთლად აიტანათ
სიკვდილის ძრწოლამ.

ისმოდა ირგვლივ
დაჭრილთა კვნესა,
უსწორდებოდნენ
უსასტიკესად,
უცებ ალბერტო
გაიჭრა ველად,
ეძგერა შუბით
მომხდურთა ბელადს,
მაგრამ ყოჩაღად
ცხენით გაუხტა
და შემართული
ჟინით დაუხვდა,
რაინდმა ბევრი
აღარ აცალა,
თავი მხრებიდან
გადააცალა.
ამის მომზირალ
იტალიელთა,
ყიჟინა დასცეს
ძლიერი ერთად.
მტერს დაერივნენ
გზადაბნეულებს
და უსერავდნენ
ხმლებით სხეულებს.
ამ დროს მოვიდა
მეფე დაღლილი,
სისხლში მოსვრილი
ოფლად დაღვრილი.
აკოცა რაინდს
გახარებულმა
დაუოკებლად,
დახარბებულად.
სიმამაცისთვის
მეფემ იდროვა,
ქება-დიდებით
დააჯილდოვა.
და რა შენიშნა
მოპყრობა ძმური,
ანდრეა გაწყრა
აღივსო შურით,
ცუდი აზრები
გაუჩნდა თავში,
მოწყდა ადგილზე
მუხლმაგარ რაშით.
მარცხი იწვნიეს
მტრის ურდოებმა.
დაისადგურა
კვლავ მყუდროებამ.
ტყვე და ალაფი
იყო მრავალი
წამოსაღები,
ვით მოსავალი.
გამარჯვებისთვის
ყველამ იხარა,
ხალხმა ზეიმი
გადაიხადა.
მოიხსენიეს
დაღუპულები,
ახალგაზრდები
თითქმის სრულებით.

VIII

როცა ასულის
გაქვს მონატრება,
გული იმაზე
ოცნებით ტკბება.
გინდა მოძებნო
შეყვარებული
ვარდთა მშვენებას
შედარებული.
და შეუერთდე
ფაქიზ ბაგეებს,
სხვა სიხალისე
შეჰმატო დღეებს.
ალბერტო იყო
დაღონებული,
სატრფოსგან სულით
დაობლებული,
ვერ ისვენებდა
იგი ერთ ალაგს,
თავს მოთმინებით
ატანდა ძალას.
თითქოს გაეხსნა
გონების თვალი
და გამოძებნა
გამოსავალი:
ტანთ გადაიცვა
ძალიან ძველი,
ჩამოკონკილი
შესამოსელი.
მური წაიცხო,
გაშავდა სულმთლად,
სახის იერი
დაკარგა სუფთა.
მათხოვარივით
შეიქმნა უცხოდ
გამოიპარა
სახლიდან უხმოდ.
გაუყვა ზღვისკენ
მიმავალ შარას,
გზად წინ მარინა
გადაეშალა,
ხომალდი ნახა
ნაპირთან მდგარი,
გასწია მისკენ
ნაბიჯით ჩქარით.
და რა გაიგო,
საფრანგეთს მიდის,
გაიხალისა
გულმა რაინდის,
ვაჭრებს გაჰქონდათ
ტვირთი ურიცხვი,
მოგებისა და
ფულის გულისთვის.
მგზავრობის ოქრო
გადასცა თვითონ,
ხომალდის უფროსს
საბრალომ ვითომ.
ალბერტომ სწორედ
მოუსწრო დროზე,

მოიკალათა
საწყლად კიჩოზე.
ისევ იმედის
სხივით აღტკინდა,
რომ იხილავდა
მალე მარტინას.
დაიწყო ღამემ
ნელა დაშვება,
ვარსკვლავთა ცაზე
აკაშკაშება.
დასჩერებოდათ
მთვარე ზემოდან
ყოველი მგზავრი
ძილს მისცემოდა.
უცებ ავარდა
ცეცხლი ბრიალა,
საშინელება
დაატრიალა,
მოედო აფრებს
სისწრაფით ალი
ყვიროდა ხალხი
ძლიერ შემკრთალი.
და შეეცადნენ
ჩაქრობას ხელით,
მაგრამ არსაით
ჩანდა საშველი.
ქარი დაჰქროდა,
ძალზე ციოდა,
ზოგი შიშისგან
ზღვაში ცვიოდა.
იძირებოდა
დიდი ხომალდი
ხისგან ნაგები,
სავსე ხორაგით.
ალბერტო მკერდით
აპობდა ზვირთებს,
სურდა შეყროდა
სულიერს ვინმეს,
თუმცა ვერავინ
დალანდა მაშინ,
რომ გამოედო
თავი დახსნაში.
რაინდმა მკვირცხლად
და მამაცურად,
იტალიისკენ
უკან გასცურა.
იცურა ასე
დილამდე ბნელეთს,
ბოლოს მიადგა
სანატრელ ხმელეთს.
თუმც გადარჩენილს
ტირილი ძლევდა,
დაღუპულთ გამო
შეიპყრო სევდამ.

IX

სძულს სიყვარული
ეშმაკს და ბოროტს,
არ იცი, როდის
მოგიღებს ბოლოს.

გაგინაპირებს
წუთისოფელში,
ბასრი ბრჭყალებით
წაგიჭერს ყელში.
გგონია, თითქოს
ხარ, როგორც მკვდარი,
მოგეხურება
მომავლის კარი.
გამართლებაა
ყველაფრის არსი,
ბედნიერების
სინათლის მსგავსი.
ალბერტომ ხის ტოტს
ბაწარი მოჰკრა,
და განიზრახა
მან თავის მოკვლა.
ნახა ადგილი
მთლად უკაცური,
ელოდებოდა
სადაც საცდური.
საბრალობელად
ამოიკვნესა,
რომ შეარყევდა
პიტალო კლდესაც.
ვიცი, ვიქცევი
ახლა ლაჩრულად,
საკუთარ სულსაც
ვწირავ მზაკვრულად
და ჯოჯოხეთში
წარწყმედა მელის,
იქ რაინდობა
ველარ მიშველის.
მარტინა, ნაზო,
რარიგად გელტვი
მიყვარხარ ძლიერ,
შორიდან გეტყვი.
თუ ვინმე მნახავს,
დამასაფლავებს,
შენ, კი იქნები
მშვიდად საფრანგეთს.
სჯობს გავეცალო
ტანჯვა-წვალებას,
ღმერთს ვთხოვ, შენდობას
და შეწყალებას.
ვიდრე ბაწარში
თავს გაუყრიდა,
უცებ მოადგა
ვიღაც უკნიდან.
აჰ,თურმე სად ხარ,
იმდენი გძებნე,
რომ დაიღალა
კიდეც ჯუზეპე.
შვილო, ალბერტო,
ნუ იზამ ამას!
პატივი ეცი
გაწეულ ამაგს.
გონებას უხმე
გვედრებ, დაწყნარდი,
ვინ არ ყოფილა
ტრფობით დამწვარი?
მაგრამ იცოდე,
შენ მეტი მოგდის,

ფარვით სიკვდილი
არჩიე ლოდინს.
უსაზღვრო ძალით
შენზე შემყვარეს
სწორედ შემთხვევით
გადაგეყარე.
დამემორჩილე,
მომეცი ხელი,
თანხმობის ნიშნის
გამომხატველი.
უთხრა: მოძღვარო,
ღალატით გცოდე,
როგორ განვიცდი,
ნეტავ, იცოდე.
გამოვიცვალე,
დავკარგე რწმენა,
ამიტომ ხალხში
მძაგს გამოჩენა
და სიმარტოვეს
ძმობა შევფიცე,
ლამის ჭაბუკი
მოხუცად ვიქცე.
ხედავ, დავმარცხდი,
უძლური მქვია,
ალბათ ჩემი მზე
ამოვა გვიან.
ვერ გავიარე
ბეწვის გზა ვიწრო,
მუხლმოდრეკილმა
ქვითინი იწყო.
წამოაყენა
ჯუზეპემ იგი,
გადაიარეს
ხეების რიგი.
დიდებულია
განგება მართლაც,
ამბავი კარგად
რომ წარიმართა.

X

ხომალდი მიდგა
ფრანგების მხარეს,
შეხვდნენ ზეიმით
და გაიხარეს,
რადგან ხედავდნენ
იშვიათ ლამაზს
მათ წინ გადაშლილ
ვით იასამანს.
ბანოვანებს კი
იპყრობდათ ბრაზი,
თითქოს ერთთავად
გაესვათ ხაზი.
სასახლის კარზე
გამართულ ბალებს
სხვა აღტაცება
მოსავდათ თვალებს.
მამაკაცთათვის
რხეული ტანი
იყო საძნელო
გადასატანი,

მაგრამ რაიმეს
ვინმე ეტყოდა?!
როდესაც პრინცი
ლუი შეტრფოდა,
თუმცა უძლებდა
ამას მარტინა
თავს არიდებდა
ძალზე მარტივად;
დარბაზს აკრთობდა
მუსიკის ხმები,
გადაფენოდა
სხივებად თმები.
შუქს ჭაღებისას
აირეკლავდა,
შეუდარებლად
წყვილი ცეკვავდა.
– გადაიღალეთ
უტყუარია
იქ, სადაც თქვენი
ბუდუარია,
მიმართა პრინცმა:
მიბოძეთ ნება,
გავკადნიერდე,
გავბედო ხლება?
–არა, გამზრდელი
ჩემი, სოფიო
ის მიმაცილებს
უკან მყოფიო.
მსუსხავ პასუხზე
დაეტყო წყენა
ვერარა უთხრა,
დაება ენა.
გამოტრიალდა,
დამწუხრებული,
ქალის მოხიბლვით
დარწმუნებული.
მასში ხედავდნენ
მომავალ სარძლოს
წვეული სულ სხვას
ფიქრობდა ამ დროს.
ყველაფერს კარგად
აკვირდებოდა
ირგვლივ სიბილწე
გაკვირვებოდა.
მთლად დაეკარგა
ელიტას რიდი,
ხალხი მოჩანდა,
ვითარცა ფლიდი.
უნდოდა წასვლა
სამშობლოს მალე
შეახსენებდა გულს
სივალალე.
არ შორდებოდა
ლუი – მხლებელი
ვარდებითა და
ნელსაცხებელით,
მსგავსად ბავშვსავით
მხარში დასდევდა,
კორიანტელად
სიტყვებს ასევდა.
თხოვდა ცოლობას,
იღებდა უარს

და უხურავდა
ცხვირწინ ბუდუარს.
ასე გაგრძელდა
ყოფნით თვე სამი
გამომგზავრების
მოვიდა ჟამი.
სტუმრობა მეტად
გამოდგა მარგი,
ლაპარაკობდა
ის, როგორც ფრანგი.
განაცვიფრებდა
დედოფალს, მეფეს,
წარჩინებულებს,
მსახურთ თუ სეფეთ.
ბოლოს ფრანგების
მთავარმა სთხოვა:
–თქვენი მშვენება
მწამს, რომ ჩამოვა,
გაგვახალისებს,
ბედნიერს გაგვხდის,
მოგელოდება
მემკვიდრე ტახტის.
ღმერთი შეგწევდეთ
და ჩემი ლოცვა!
ასულს ხელებზე
დაუწყო კოცნა.
დაემშვიდობა
მასპინძლებს დილით
უნდა გაევლოთ
ზღვით ზღვა მანძილი.
პრინცის მწველ გრძნობებს
გაიყოლებდა
სულს მხოლოდ ცქერით
დაიოკებდა.

XI

გამოხდა ხანი
და ასე ნანატრს
ვერ იჯერებდა
ალბერტო ნანახს.
ჩამოსულიყო
მისი მარტინა,
სიხარულისგან
ლამის ატირდა.
არ ჩაუვლია
სინანულს უქმად
და ღმერთმა ახლა
უძღვნა საჩუქრად.
მერე რარიგი
შუქი მოჰფინა,
შეყვარებული
უკან მოფრინდა.
მოულოდნელად
შორეულ მხრიდან,
ვისაც ჭაბუკი
ძვირფასად თვლიდა.
აღარ იცოდა,
რა ექნა, მიჯნურს,
გვერდი ექცია
ახლოში მისულს?

მაგრამ თვალების
მწველი სხივები,
აღივსებოდნენ
უცხო ხილვებით.
გულის წიაღში
ნდობით აღწევდნენ
და აკვანივით
ასე არწევდნენ.
განუშორებელ
სიამეს თხოვდნენ,
გრძნობები თეთრი
თოვლივით თოვდნენ,
უხმობდნენ სატრფოს
ჩუმი ალერსით,
შეეხო ხელი
უმხურვალესი.
სწორედ მარტინას
სიმწიფის დღიდან,
ალბერტოს მისი
სინაზე ღლიდა,
ოღონდ ეს დაღლა
იყო სხვაგვარი,
როგორც ნასროლი
ტრფობის ლახვარი,
რომლის აცდენაც
ძალზე ძნელია,
ამ დროს ხომ ყველა
დაუცველია.
და უნდა გახდე
მსხვერპლი ჩვეული
ანგელოზისგან
გამორჩეული.
მარტინა იდგა
გრძელ აივანზე,
ამღერდა უცებ
სანუკვარ ხმაზე,
თითქოს მიდამო
გადიქცა სმენად,
მიანდო ქალწულს
მაღალი სცენა.
ბაგენი რითმებს
აქსოვდნენ თვლებად,
ყვავილების ბაღს
მოჰგვარა თვლემა.
რაინდმა უხმოდ
გაცლა არჩია,
პრინცესამ მაინც
ვერ შეამჩნია:
სწორუპოვარი
ჰყავს ვინმე ალბათ,
მისთვის გავმხდარვარ
მიჯნური ყალბად.
გადაავიწყდა
სიკეთე ძველი,
რომ შევიჩვიო,
ამაოდ ველი.
უსასრულოა
ტკივილი ჩემი,
დავიარები
ნატანჯ-ნაგვემი.
გზა საშველისა
ბუნდოვნად მოჩანს,

სიცოცხლე უკვე
გათავდა, მორჩა.
სული კი მიდგას
თუმც მქვია მკვდარი,
ღამედ მქცევია
მზიანი დარი.
თუ ჩამოვიდა,
რა შეიცვალა?
დაღონებისგან
წამერთვა ძალა,
თქვა და სახლისკენ
სწრაფად გასწია
დაშორდა თავის
ლამაზ ღაწვიანს.

XII

პოეზიაა
სულის საუფლო,
სად სიყვარულის
მუზა საუბრობს,
იგი გიხატავს
საოცარ დღეებს,
ოცნებით გიშლის
ცისკენ კიდეებს.
მოსაღამოვდა
და ცაზე გაჩნდა,
ურიცხვ ვარსკვლავთა
ლამაზი ფარჩა.
თეთრ სასახლეში
სანთლები ენთო,
მიმზიდველობა
სუფევდა ერთობ.
მარტინა მარტო
იყო ოთახში,
რადგან ვერ გაძლო
სტუმართ შფოთვაში,
წიგნი აიღო,
შეუდგა კითხვას,
და კითხულობდა
ძალიან დიდხანს.
მერე მოედო
თვალებზე ბანგი,
ჩაიცვა კოხტა
ღამის პერანგი.
ფარდა ფარავდა
გაღებულ სარკმელს,
იმზირებოდა
პრინცესა სარკეს,
იშლიდა დაწნულ
დალალებს ხელით,
მშვენიერება
აუსახველი.
ამ დროს უეცრად
შეირხა ფარდა
ვერვინ შეიცნო
ნიღბოსნის გარდა,
რომელიც ურცხვად
მისკენ იწევდა,
მარტინას გულში
კი შიშს იწვევდა.

ქალწულს სახეზე
ღელვა დაეტყო,
თუმც დამშვიდებით
უთხრა ალბერტომ:
-რა საჭიროა
ამდენი დრტვინვა,
ახლავე,გედო,
 გაგიმხელ ვინც ვარ.
არ დაიყვირო,
წინასწარ შეგთხოვ,
გქვია ძალიან
კეთილი შენ ხომ.
მსწრაფლ ჩამოიხსნა
სამოსი შავი,
წარმოაჩინა
ჭაბუკმა თავი,
მაგრამ მარტინა
ძლიერ განრისხდა,
ასე სტუმრობა
იუკადრისა.
ყველაფრის შემდეგ
იცვალა გვერდი,
ბრწყინავდა შუქზე
კისერი გედის.
რაინდს საქციელს
არ უწონებდა
და წასასვლელად
მოუწოდებდა.
-მომეხურება
ვიდრე სარკმელი,
მე უნდა გითხრა
ჩემი სათქმელი.
ფარული ზრახვა
გაგანდო მალე,
თუკი მომაპყრობ
შვლის ნუკრის თვალებს.
უკან დამყვება
შენი ხატება,
ახლოს არის და
სულ მენატრება.
ალბერტოსათვის
ხარ სასურველი,
ვით საუცხოო
ვარდთა სურნელი.
და ლამის, ნაზო,
გავეკრა ჯვარზე
რა ვქნა, მითხარი,
ვერ ვფიქრობ სხვაზე.
იქნებ გამიგო
და შემივრდომო,
გაწამებულთან
ყოფნა ინდომო.
ამოვეპარე
აქ კარისკაცებს,
ნუთუ, ძვირფასი,
მეფესთან გამცემს!
მარტინა კდემით
მკერდზე მიეყრდნო,
გამბედაობა
ამისა ეყო.
გადაეხვივნენ
ერთმანეთს გრძნობით,

შარბათის მსგავსი
ბაგეთა თრობით.
ბოლოს ალბერტომ
შეხედა მწველად,
სასახლის კედელს
დაუყვა ნელა.

XIII

მოჯნურის გულში
დადგა აისი,
ვით გაზაფხულის
ნაზი მაისი.
განაგდო ძველი
დარდი და სევდა
ის შეყვარებულს
წერილებს წერდა.
უძღვნა მრავალი
ლამაზი ლექსი
გამოწვეული
დიდი ალერსით,
გაუგზავნიდა
ჯუზეპეს ხელით,
რომ არ ჰყოლოდა
ვინმე მნახველი.
დაწერა ერთხელ
წერილი გრძელი,
იმედისა და
რწმენის აღმძვრელი.
უთხრა: გამზრდელო,
პატივი მეცი,
ჩემს შეყვარებულს
ეს გადაეცი!
კარგად არჩიე
დრო და ადგილი,
სიახლოვეში,
როცა ჩაგივლის.
სასახლისაკენ
გასწია ლხენით,
ჯუზეპემ თავის
ფეხმარდი ცხენით.
წუთისოფელი
სანდო როდია
და ანდრეასაც
თურმე ცოდნია,
რომ წერილებით
ჰქონდათ კავშირი,
ალბერტოსა და
მარტინას ხშირი,
რადგან პრინცესას
ყვარობდა თავად
მტრულად განეწყო,
შეიქმნა ავად.
და გაითენა
დღე საზარელი,
ჩუმად გზად დახვდა
გამოჭრა ყელი,
დააგდო იგი
მცხუნვარე მზეში,
უპატიოსნო
ვითარცა ლეში,

ასე დაუსვა
კავშირს წერტილი,
დაანაკუწა
მისი წერილი.
პირუტყვთთა მწყემსი,
ამის მხილველი,
რაინდთან გაჩნდა,
როგორც ფრინველი.
აკანკალებით
ამცნო მომხდარი,
თვალებზე ცრემლი
ჰქონდა მომდგარი.
დაუსახელა
კიდევაც მკვლელი,
საზიზღარი და
სისხლის დამღვრელი.
მწყემსს, დაბნეულმა
აჩუქა ვერცხლი,
ეწვოდა სული
უშრეტი ცეცხლით.
ალბერტო რაშით
გაქანდა იქით,
გარემოცული
უშავეს ფიქრით.
მივიდა ახლოს
და დაიჩოქა
ხმა ამაღლებით
დაიწყო მოთქმა:
იძინე, მშვიდად,
სათნო მოძღვარო,
შეყვარებულთა
გამო მომკვდარო.
ჩემი ბრალია
უბედურება
და მიმძიმს ახლა
შენი ყურება.
მემახსოვრები,
ჯუზეპე, მარად,
ცივ სამარემდე
ცოცხალის დარად.
შენ გამიწიე
მამობის ღვაწლი,
რა გამახარებს
არ ვიცი აწი.
გამომატარე
ბავშვობა ტკბილად,
სამაგალითოდ,
მივლიდი ფრთხილად.
მსურს ქედის მოხრა,
ყველაზე უმალ
შენს სულს მხურვალედ
შევვედრებ უფალს.
დამნაშვეს კი
უთუოდ დავსჯი,
სიმართლისა და
ხმლის ძალით განვსჯი.
თქვადა გარდაცვლილს
შეუდგა მხარი,
იყო ტანჯული
ნირზე წამხდარი.
მწუხარებისგან
დაიძრა ნელა,

მიაცილებდა
უკანასკნელად.
დაასაფლავა
სახლის მახლობლად,
დარჩა ალბერტო
სრულიად ობლად.

XIV

ალბერტო მგვრგვინავ
ნადირს მოჰგავდა,
მოუსვენრობის
გამო ბორგავდა
და მხოლოდ ერთი
რამე ეწადა,
ანდრეას გულს,როს
შეულეწავდა.
მის სულში ადგილს
მტრობა ჰპოვებდა,
სხავა გამოსავალს
არ უტოვებდა.
ეძებდა მუდამ
შემთხვევას მარჯვეს,
შესარკინებლად
კვესავდა მარჯვენს.
 აი, ერთხელაც
ანდრეა ველად,
მიაჭენებდა
ცხენს უზრუნველად.
იდგა საამო
სურნელი დილის
ხატოვანება
ვით ქალიშვილის.
ჩასაფრებულმა,
იგი რა ნახა
წინ გადაუდგა
მჭახედ დასძახა:
-შესდექ, ახლავე
მკვლელო რაინდო!
და ნუ გგონია
რამით დაგინდობ.
ყელი გამოჭერ
ჩემს გამზრდელ მამას,
ვერ გაპატიებ
იცოდე ამას.
უღირსი არის
კაცი შენებრი,
თუ შეგიძლია
აქვე შემები!
პასუხად უთხრა:
-არც მინდა წამი,
რომ ვათრევინო
ცხენს შენი გვამი.-
ეს თქვა და სწრაფად
ხმალი უშიშვლა,
გასატიკებით
ეცა უშიშრად.
ხმალი ხმალს ბასრი
პირით ხვდებოდა,
ცხენებს ჭიხვინი
აღმოხდებოდათ.

თითქოს დაიწყო
მიწამ ზანზარი,
ხმები ისმოდა
ძალზე საზარი.
ბედს არა წყვეტდა
საქმე ადვილი,
მეტოქეობა
იყო ნამდვილი.
თავი იჩინა
აქ დაღლილობამ,
ალბერტოს ხელზე
აჩნდა ჭრილობა,

მაგრამ სიმარდით
აჯობა მაინც
და წააცალა
თავი ცუდ რაინდს.
გამარჯვებული
გზას განაგრძნობდა
ქვეცნობიერად
რაღაცას გრძნობდა,
რომ მოელოდა
დღე საშინელი,
სევდის მომტანი
დასაჩივლელი.

XV

სამეფო ტახტზე
იჯდა ფილიპო,
თითქოს ზეციდან
დამეხილიყო.
მომხდარით, მწუხრად
იცქირებოდა,
ფიქრების ზღვაში
იძირებოდა.
წარმოდგენაც კი
უძნელდებოდა,
გული სიბრაზით
უძგერდებოდა,
როს განრისხება
ძალზე შეეტყო,
ბრძანა ალბერტო
მცველებს შეეპყროთ.
რაინდი მარტო
ვიდოდა გზაში,

გათოკეს უცებ
დიდი განგაშით.
შეეძლო თავის
დაღწევა უცბად,
თუმც სასახლემდე
იარა უბრად.
ანდრეას მკვლელი
მიჰყავდათ მცველებს ,
მოსაჩვენებლად
უგრეხდნენ ხელებს.
ფილიპო ფეხზე
წამოიმართა,
დარცხვენილ ჭაბუკს
ასე მიმართა:
-რატომ მოკალი
ჩემი სარდალი?
ძლევამოსილი,
გმირის სადარი.

მხედრებმა ნახეს
ველად ცხედარი,
ნადირთა ხროვა
იყო შემდგარი,
გაუძიძგნიდნენ
საბრალოდ სხეულს
ანდრეას, გვარში
უდავოდ რჩეულს.
ყველაზე მეტად
თქვენ უნდა გეძმოთ
ერთმანეთისვე
ტკივილი გეგრძნოთ.
თუმც პირველობის
სწრაფვამ დაგძლია
და მოეკიდე
საქმეს ღვარძლიანს.
ძლიერ მიყვარდით
რომ ვერ გარჩევდით,
მე მადლიერი
ვიყავ გამჩენით.
სამშობლოს მუდამ
ედექით მხარში,
ვხარობდით თქვენით
შესული ხანში.
დავამყარებდი
იმედებს დიადს,
ასახელებდით
კვლავ იტალიას.
მოვტყუვდი როგორ,
გავუფერულდი
ბოროტი საქმით
გავუბედურდი.

სასჯელს მოგისჯი
სასტიკს ყველაზე,
და ჩამოგახრჩობ
სახრჩობელაზე.
ვეღარაფერი
ვეღარ გიშველის,
შენს ბოლო პასუხს
ფილიპო ელის.
უთხრა: -ალბერტომ,
მეფევ, ვარ ღირსი,
რომ დამიბნელდეს
სინათლე დღისი,
ჩამომაშორო
ნანატრ წყალობას
და პატიოსან
წარმომავლობას.
გთხოვ, ნუ იქნებით
ძალიან მკაცრი,
რადგან ხართ ბრძენი,
კეთილი კაცი.
რა დაუშავა
ანდრეას ნეტავ,
ჩემი გამზრდელი
რომ გაიმეტა?
მუხანათურად
დაესხა თავზე
გამოჭრა ყელი
ზედ შუა გზაზე
და რაინდობის
დაგმო წოდება
განა ამართლებ
მის შეცოდებას?!

ამიტომ სამტროდ
გადავეკიდე,
სამაგიერო
მივუზღე კიდეც.
მეფემ მიუგო
ცივი უარი
დაჰკარგა საღად
განსჯის უნარი.
და მაშინ დახნა
აღმართი ძალამ,
როცა ციხეში
ჩაგდება ბრძანა.
დაუსვა ხუთი
დარაჯი ახლოს,
ციხის ცივ ოთახს
ისეც უსაფრთხოს,
სადაც სიბნელე
მყოფობდა თითქმის,
ჭირდა თვალებში
მიტანა თითის.
რამდენიმე ხნის
სიცოცხლე ჰქონდა,
მაგრამ ალბერტო
არც კი ფიქრობდა.
ოცნებით ტურფას
თავს ევლებოდა
ბედის ხიდი კი
ქვეშ ეცლებოდა.
მარტინა ლამაზ
სახეს იხოკდა
თავში სიმწარით
ხელებს იმხობდა
მწუხარე, ცრემლებს
ვერ იკავებდა
ნათელ ოთახის
იდგა კარებთან.
მამის სიტყვები
ისე ესმოდა,
თითქოსდა ვინმე
ისარს ესროდა.
არ შორდებოდა
სოფიო გვერდით
უთხრა: ვაება
გეყო, შეჩერდი!
იმედის სხივი
ნუ ჩაგიქრება
შენ დაგიჯეროს
მეფემ იქნება.
თვითონ იტვირთე
შუამავლობა
ალბერტოსათვის
თხოვე წყალობა.
ახლა იქცევა
ძალიან ავად
ნახავ, მოლბება
ცოტა დრო გავა.
ეჩვენებოდა
ამაოდ რჩევა,
იცოდა მშობლის
ურყვი ჩვევა.

XVI

ერთხელ მარტინა
დასეირნობდა,
დილის სიოსგან
სიამეს გრძნობდა.
გაეშლებოდა
თმები ქროლვაში,
შეჩერდებოდა
ვარდთა თრთოლვაში,
განაზებული
თითებს უსვამდა,
ეფერებოდა
და წყალს უსხამდა.
იგი ბრწყინავდა
სითეთრით ეგზომ;
ლამაზი იყო
სასახლის ეზო.
ამ დროს უცნობი
მოადგა ჭიშკარს,
არ იძლეოდა
სანდობის ნიშანს.
ჰქონდა კუპრივით
შავი იერი,
გეგონებოდათ
მართლაც ცბიერი.
მცველებს უშიშრად
მიუახლოვდა
და იქ პრინცესას
მიყვანას თხოვდა.
მაგრამ ისინი
გამოხელებით,
მოიშორებდნენ
მძლავრი ხელებით.
თუმცა მარტინას
ხმაური ესმა
გამოირბინა
უსათნოესმა.
ჰკითხაცნობისთვის
მცველებს ამბავი
მანახეთ კაცი
არის აბა, ვინ?
იქნებ რა უნდა
თქვენ მოსვლას უშლით,
გახსენთ ჭიშკარი
და შემოუშვით!
უცნობმა თავი
მდაბლად დაუკრა,
პრინცესას ლხენით
მისდია უკან.
როს განაპირდნენ,
მისცა წერილი,
მგზავრობისაგან
გადაფერილი.
იდგა ძეგლივით
ხმას არ იღებდა,
უხერხულობდა
თავს არიდებდა.
ბოლოს უსურვა
მშვიდობა გზისა,

მომეტებული
წყალობა ღვთისა.
თავის ოთახში
გამოიკეტა,
რომ წაეკითხა
წერილი კენტად.
და ინტერესით
დაჯდა სასთუმალს,
გახსნა დაუწყო
მოწერილს უმალ:
,,მოგესალმები,
მარტინა ტკბილო,
შენს ყურადღების
მიპყრობას ვცდილობ.
ტანჯვაა ჩემთვის
ყოველი წამი,
რადგან მომხიბლე
თვალ-წარბ-წამწამით.
ძვირფასო, გეტრფი
მიყვარხარ ძლიერ,
გრძნობათა ტალღებს
ვერაფრით ვძლიე
და სულ პირველად
გიხილე, როცა
მომინდა შენი
სინორჩის კოცნა,
მაგრამ მაშინვე
არა მითხარი,
რითაც უმეტეს
ტყვედ დამიპყარი.
გთხოვ, პატიებას
მე ბოდიშს გიხდი
და შენს წინაშე
შორით ქედს ვიხრი.
იქნებ გამიგო
გახდე საფარი,
შევქმნათ ცხოვრების
კარგი ზღაპარი.
მარტინა განა
რაიმეს ვტყუი,
საფრანგეთიდან
გწერ პრინცი ლუი”.
ასე ძალიან
გათავხედება
გულზე წვეტიან
ეკლად მედება..
უსირცხვილოა,
რატომ მეძახის
მოყვარულია
ბევრი მეძავის.
ღამეს ხალისით,
რომ უწყებს ლოდინს
და სიბილწისთვის
ამზადებს ლოგინს.
ეს მიაჩნია
მუდამ საქებად,
სიყვარულს მასში
რა ესაქმება?
რადგან პრინცისგან
ღალატი მელის
დარჩება პასუხ-
გაუცემელი.

მხოლოდ ალბერტო
მაწევს დარდებად,
სხვა ტრფიალება
წარსულს ბარდება.

ალი ავარდა
და წაეკიდა
დაწვა რომ არვის
არ წაეკითხა.

XVII

მეფეს უნდოდა
ძალიან გულით,
ტახტზე დაესვა
თავის ასული.
და იტალია
ერთად ემართათ,
როგორც მემკვიდრეს
ნამდვილს ემართა.
გამშვენდებოდა
დედოფლობაში,
ბევრს ისწავლიდა
ჯერ კიდევ ბავშვი.
ოღონდ დიდებულთ
შეკრებდა დარბაზს
და გააცნობდა
სანატრელ ამბავს.
მარტინაც მამას
თავს არწმუნებდა,
თუმც ეს სრულიად
არ აწუხებდა.
ერიდებოდა
დიდებას, პატივს,
ეძებდა მუდამ
ცხოვრებას მარტივს.
ნეტავ ადგილი

მშვიდი ენახა,
მზად იყო ზღვებიც
გადაელახა.
ბევრი ფიქრისგან
მოვიდა გონზე
და აი, რა ქნა
ერთ საღამოზე:
ცად ვარსკვლავებმა
როს იწყეს კრთომა,
სკივრიდან ოქრო
აიღო ბლომად.
გამოეთხოვა
ნათელ სასახლეს,
აუყვა ჩუმად
ციხის ასახვევს.
დროდადრო იგი
გზად ისვენებდა
სოფიას გამზრდელს
გაიხსენებდა.
მოიგონებდა
მზრუნველ დედ-მამას,
და გატარებულ
წლებს მათთან ლამაზს,
რომ სიყვარულმა
გაჰყარა გზებით,

დიოდა თვალთა
ცრემლები გზნებით.
მარტინამ ციხის
დარაჯთ მოუხმო,
დაყ ველაფერი
სწრაფად მოუთხრო,
რომ რაინდისთვის
ეხსნათ კარები
გაქცეულიყვნენ
მათ დახმარებით.
ჩამოურიგა
ოქრო ქისებით
დაუთვლელად
და გახალისებით.
შეცბა ალბერტო,
იცნო შორიდან,
თქვა: ნუთუ სატრფო
ჩემთან მოვიდა.
ამას რას ხედვენ,
ჩემი თვალები!
მარტინა იდგა
შავდალალებით.
ისე ალერსით
ელიმებოდა,
ქვეყნად მეტი რა
ელირებოდა.
გადაეხვივნენ
ერთმანეთს მძლავრად,
ამოიყარეს
რაც ჰქონდათ ჯავრად,
დატკბა ორივე
მცირედი ხანით,
შემდეგ გაუდგნენ
გზას ჩირაღდანით.
ზღვისკენ გასწიეს,
რომლის ტალღები,
ჩნდებოდნენ,
როგორც ბაირაღები,
ჰპოვეს ნაპირზე
პატარა ნავი,
იგრძნეს ტკივილი
აუწონავი,
რაც გამგზავრებას
ყოველთვის ახლავს,
ადამიანებს
ცოცხლადვე მარხავს.
მაგრამ როდესაც
უკანასკნელი,
დამშვიდობება
მხარესთან გელის,
სულმწარე გრძნობა
დაისადგურებს,
ამოგვარდება
გული საგულეს.
გადაიწერეს
პირჯვარი მაშინ,
განმარტოებით
შეცურდნენ ზღვაში.
უსვამდა ნიჩბებს
ალბერტო ძალით
თან მოჰყვებოდათ
ქარი შრიალით.

მარტინას ხელზე
თავი მიადო
დანარჩენი კი
უფალს მიანდო

XVIII

მდუმარედ იჯდა
ტახტზე ფილიპო,
სევდა მის გულში
გაჩენილიყო.
სად არ ეძება,
ზღვაში თუ მთაში,
თუმცა ვერსაით
მიაგნო მაშინ.
დედოფალს შავი
სამოსი ეცვა,
ლაღი ცხოვრება
სამსალად ექცა,
შეყვარებულთა
გაქცევის დღიდან,
სოფია თთქმის
სულ ცრემლებს ღვრიდა.
შემდეგ ამბობდნენ
ხალხთა ენები
დაბრუნდნენ უკან,
როგორც გედები,
ალბერტოსა და
მარტინას სახით,
ხშირად ჩნდებოდნენ
ლამაზ სასახლით.
ღამის წყვდიადში
მახლობლად ტბაზე,
ამღერდებოდნენ
სანუკვარ ხმაზე.
და ვინც უსმენდა
ძლიერ ტკბებოდა,
დარდებისაგან
იკურნებოდა.
ბოლოს კი გაჰქრა
ორივე ერთად
ალბათ, ზეცაში,
აფრინდნენ ღმერთთან.
-მეტი რა გითხრა,
ასე სრულდება,
განაგონარი
ძველი თქმულება,
თქვა და სიჩუმე
ჩამოწვა წუთად,
გრაციამ ხელი
მიიდო გულთან.
ცუდად შეიქმნა
ხუჭავდა თვალებს
და დაწვდა ხელით
წამლების აბებს.
დალია, ცოტა
გამომჯობინდა,
მე, მასთან ახლოს
მისვლა მომინდა.
– ავადვმყოფობ და
ვარ ფერმიხდილი,

მალე მეწვევა
ალბათ, სიკვდილი,
თუმც, არას ვდარდობ,
მიპყრობს სიამე,
რადგან ამბავი
უკვე გიამბე.
გადავიღალე,
წახვიდე, დროა,
არ დაივიწყო
გრაცია როა!
თითქოს რაღაცა
სულში ხუთავდა
ოხვრით და ვიშით
მძიმედ სუნთქავდა.
გადაუარა,
გამიქრა შიში,
ბუხარში შეშამ
უმატა შიშინს...
მე, ბევრზე ბევრი
დამცდა მადლობა,
დავლოცე მისი
მოხუცქალობა.
გამოვეშურე
სახლში ხალისით,
რადგან მომეცა
რწმენა ხვალისი.
და დაგიწერეთ
ასე პოემა,
სიყვარულისთვის
მღერალ პოეტმა.

თეთრი ასული

მზემ გაანათა მხარე,
თავის სხივებით მწველად,
ყვავილებს მოეფერა
გაშლილებს მინდორ-ველად.
და შეუმშრალა ცრემლი
უხვად დაღვრილი ღამით,
ააელვარა ყველა,
ქალწულთა სითამამით.
პატარძლებივით მორთო,
თითქოს უხდიდა ქორწილს,
თავებს უხრიდნენ ნაზად
მათზე მზრუნველს და მოცლილს.
გაეთამაშა ფურცლებს,
სიო ლაღი და გრილი
და სურნელება ირგვლივ
გადმოაფრქვია ტკბილი.
დაიწყო ზღაპრის თხრობა
განაზებული ენით,
ბუნება განაბული
უსმენდა აღმაფრენით.
ფრინველთა იწყეს ხიბლში
ჟღურტული ნანატრ ხმაზე,
შეკრეს კამარა გუნდად,
მოკრიალებულ ცაზე.
ტყის განაპირა იდგა
ქოხი ღარიბი ბიჭის,
იყო ტანადი, კოხტა,
და საოცარი ნიჭის.
სახელად ალექსანდრი
ერქვა დედ–მამით ობოლს,
ორივე ახალგაზრდა

გამოეცალა თოთოს.
და ასე დარჩენილი
გაზარდა ერთმა ქალმა,
სიცოცხლე დაუბრუნა
ზეციდან ღმერთის მადლმა.
ბედნიერებამ თუმც არ
გასტანა დიდი ხანი,
გადიაც გარდეცვალა,
გაუხდა დასანანი.
არავინ პატრონობდა,
სიმარტოვეში მყოფელს,
ცხოვრობდა შრომა–გარჯით
რუსეთის ერთ დიდ სოფელს.
ხასიათი კი ჰქონდა,
ძალიან მხიარული,
უყვარდა სატრფოს სახლის,
მახლობლად სიარული
და ჟანასათვის მისი
გული სიამით თრთოდა,
წარმოდგებოდა გოგო,
დიდგვაროვანთა შტოდან.
ამიტომ ცოტა კიდეც
ერიდებოდა ჭაბუკს,
მაგრამ რა უნდა ექნა,
გრძნობის სიმებით დაბმულს.
სიყვარული ხომ მარად
ამაღლებული არის,
მომტანი ქვეყანაზე,
ლხენის და სინარნარის.
ყველაზე სანუკვარის
მსხვერპლად გაღებას ითხოვს
გაბრწყინებული სახის
ანგელოზია თითქოს.

ღამე პირველი

როდესაც ღამის ფარდა
ვერცხლისფრად შეიმოსა,
ჭაბუკმა გადაწყვიტა,
თავის ჟანასთან მოსვლა.
სარკმელთან დადგა კრძალვით,
ნიღაბით შემკობილი,
მტანჯველ და მიუსაფარ,
სევდისგან შეპყრობილი.
აჩრდილის მსგავსად იყო,
ვერავინ შეამჩნია,
დალაგებული წყობის
სიტყვები შეარჩია:
ჩემი მფარველი გქვია,
ასულო თეთრზე თეთრო,
შენი ხატების წინ მსურს
ტრფობის კელაპტრად ვენთო
და არასოდეს ჩავქრე,
ვტკბებოდე, ასე ცქერით,
მიალერსებდე, ნაზო,
ხელებით მშვენიერით.
შეგწირავ წუთებს წმინდად,
ცხოვრებისათვის დიადს
და გაგიფანტავ, გწამდეს,
ამასოფლიურ წყვდიადს.
ოღონდ მიცანი მარტო,
სხვა სურვილი კი რა მაქვს,
აუცილებლად, ჟანა,
მე დაგიფასებ ამაგს.
გთხოვ, ჩავიძიროთ ერთად
ლურჯ სიყვარულის ზღვაში,

ყოველი მწუხარება
დაგვავიწყდება მაშინ.
მოგველოდება სწორედ
ნეტარებისგან შვება,
ჩვენს შორის აღმართული,
კედელიც დაიშლებ.ა.
რისიც იმედით ვხარობ,
მეძლევა ტანჯულს ძალა,
იქნებ ფიქრები ჩემი
სიმდაბლით შეგეწყალა.
ნუ გეგონება, თოთქოს,
რომ ვერთობოდე რამით,
მოხიბლული, ვარ ჟანა,
თვალების სიკამკამით.
რომელთა თილისმები
დატყვევებაა სულის,
შემომგზნებელი უშრეტ
ცეცხლის და ჟრიამულის.
საით გავწიო ახლა,
ჭეშმარიტებავ დიდო,
ატმის კვირტივით შლილო,
სათნოებისგან მშვიდო.
დამაწყებინე წერა
და მათქმევინე ლექსი
მუზების საუფლოში
მტკიცედ გაიდგი ფესვი.
ჯობს გაგეცალო თორემ
დამათენდება თავზე,
კადნიერობ და ლამის
უპასუხობით დავზრე.

ღამე მეორე

აი, გესტუმრე კვლავაც
კდემით და მოწიწებით,
ულამაზესო ქალო,
არასდროს მომწყინდები.
რადგან ხარ ერთადერთი
ჩემი პირველი ლტოლვა,
გულის წიაღში ნაზი,
კვალი რომ დამიტოვა.
შეუხებელი მუდამ
უმანკო ორი ტერფით,
წმინდანის სადარისო
გადამეტებით გეტრფი.
იქნებ, ვინ იცის, კიდეც
დაჰქროლოს ცივმა ქარმა
და წამიშალოს ხსოვნა,
გადამიქციოს არმად.
ამიტომ თავს გევლები
და ვეფარები ფარად,
ამაღლებული რწმენით,
მივიტან კუბოს კარად.
მხოლოდ სულ შენზე ვფიქრობ,
ჩემთან მოდიხარ გედად
და ვმხიარულობ მაშინ,
როცა სიზმრებში გხედავ.
ძალიან მენატრები,
მოალერსება მინდა,
ნუთუ გსურს, დავიჯერო,
მძლიოს ცხოვრების ბინდმა.
სიმარტოვეში დავრჩე,
ზურგი მიჩვენოს ყველამ,
მიუსაფარი შენით

გამინაპიროს ღელვამ.
მოგერიდება ალბათ,
გახდე მიზეზი ამის,
გთხოვ, მომანიჭე განცდა
უსაზღვრო სითამამის.
რომელიც წყვილთა შორის
დანაფასები არის,
სინათლის გაბრწყინებით
გამღები ზეცის კარის.
გრძნობები დაქარგული
მაქვს პატიოსან თვლებით,
თუმცა ლოდინით, კარგო,
გამთეთრებია თმები.
მოდი და ნახე თავად
მომწიფებულო წლებით,
ოთახში მოსაფრენად
მინდა შემებას ფრთები.
შემოგეხვიო სუროდ,
ჩაგიკრა მხურვალებით,
შვება მოვგვარო ტუჩებს,
ტანჯულებს მწყურვალებით.
მაგრამ მეშლება ხელი,
სხვა ხსნის გზა მეკარგება,
ახლა ღამეებს ვათევ
ძილი არ მეკარება.
ამპარტავნება ასულს
შეგეფერება განა?
გარეთ გამოდი, მალე
და ხმა გამეცი ჟანა.
თვალები ალექსანდრმა
მიაპყრო სარკმელს მაღალს,
ამაოდ იდგა შემდეგ,
გასცილდა ტურფას ბაღნარს.

ღამე მესამე

საღამო მშვიდობისა,
მშვენიერებავ, ქმნილო,
გაწუხებ მერამდენედ,
ასულო, ჩამოქნილო.
შენთვის იღვრება თაფლად
მრავალი სიტყვის წყება,
სიჩუმეში რომ სუფევ
გული ძალიან მწყდება.
ჰოი, არ ვიცი, როგორ
მომწონებიხარ ასე,
დამამშვიდებელ სახით
ღვთისმშობელს მიგამსგავსე.
მხოლოდ ამიტომ გავხდი
მხურვალე მოტრფიალე,
ჩამისრიალე თმები,
ალამად მოფრიალე
და სულს მოჰგვარე თუნდაც
მცირედი ნეტარება,
უცნობი არის, მაგრამ
სიამით გეტანება.
შენიდან შემიგრძვნია
სინათლე მომავლისი,
გიპოვე მონატრულმა
უდაბნოს ოაზისი.
სად მომდინარე წყაროს
ტუჩებით ვეწაფები
გახარებული ამით
სიცოცხლეს ვესწრაფები,
ნეტავ ვის მივაწერო
სიკეთის მომადლება?!

გამახსენდება ზოგჯერ,
ცრემლები მომადგება
და ვიწმინდები თითქოს,
გრძნობები ხელდებიან,
გიხმობენ, განატრულობენ,
უთეთრეს ხელებიანს.
თორემ, რა ვიყავ ადრე,
მარტო სევდა და დარდი,
ჩამოვიშორე ორივ,
რადგანაც შემიყვარდი.
არ გსურს, ლექსებით ქვეყნად
იდიდებოდე მარად?
შენი სახელის ხსოვნა
ისმოდეს მთად და ბარად?
მაშინ მოექეც ჩემსკენ,
წარმართი ნუ იქნები,
იცოდე, მოტყუვდები
სიცუდის გაფიქრებით..
ალბათ მიხვდები თავად,
რისთვის ვარ აქ მომსვლელი,
სხეულს მიფარავს მარტო
სიწრფელის სამოსელი.
თავადის შვილო კიდევ,
არაფერს მეუბნები,
რა გითხრა, აბა, მეტი,
ოცნებით გეუფლები.

ღამე მეოთხე

გეხმიანები, ჟანა,
ჩემო პატარა ქალო,
უკარებლობით ალბათ,
გინდა, რომ გამაწვალო.
მაგრამ სიცოცხლე, იცი,
წარმავალია მალე,
რა გამოგივა, თუკი
ყოველთვის დამემალე.
არ შემეგებე ლხენით,
როგორც ნიავი დილის,
თითების სილამაზე
და ტანი ალვად თლილის,
თვალების ბრწყინვალება,
შესადარისი მზისა,
თეთრი კისერი გედის
და თმები სინაზისა.
ბაგეთა ხატოვნება,
აყვავილებულ ატმის,
სინორჩე ღაწვებისა
და სახე ანდამატის.
ჰანგების ჟღერადობა
აღუწერელი ენით,
დამამშვიდებელ ძალის,
გარდმოვლენილი ზენით.
ღიმილი უკვდავების.
მკლავები ნარგიზების
ხილვების შემომფენი
და ჩემი გაგიჟების.
გული სარკეა შლილი,
სადაც გრძნობები ჩანან,
სად ისახება შენი

უმანკოება, ჟანა.
არ შეიძლება, მართლაც,
ასულის მიტოვება,
მინდა მივიღო ახლავ,
შენიდან სიტკბოება.
და ავისრულო ღამით
ნატვრა ძალიან დიდი,
გიჩვენო სიყვარულის
დაუვიწყარი ხიდი.
და ზედ ვიაროთ ორმა
გვექნება ცოლ-ქმრის როლი,
ვერას დაგვაკლებს კარგო,
გრიგალი მონაქროლი.
რადგანაც რწმენის ქონა
კაცთა დამხსნელი არის
მომცემი ცხოვრებაში
ციური სიანკარის.
თორემ სიბერე კარზე,
მომადგება და მერე
ხალისი წამერთმევა,
ძვირფასო, დამიჯერე.
ამიტომ სიკეთისთვის
მდაბლად დახარე თავი
ამპარტავნება დაგმე,
საშინელი და ავი.
გამიხდი მახლობელი
და საფარველი ფიქრთა,
ლოდები ჩამომხსენი,
რომ მაწვებიან ტვირთად.
ეჰ,უიმედოდ გიცდი,
მოვიდა შუა ღამე,
მიჯობს გავწიო სახლში,
ლოდინით გავეწამე.

ღამე მეხუთე

მოვედი შენთან, რათა
გითხრა სიტყვები გრძნობის
გამომიწოდე ხელი,
გამომხატველი ნდობის.
სათუთად ვეამბორო,
გულში ჩავიკრა, როგორც
შეეფერება ვარდის
უმშვენიერეს კოკორს.
ცრემლებით ვასაზრდოო,
სული დავბერო სიოდ
და ყველას დასანახად
გულ-მკერდზე მივიბნიო.
ქალწულთა მოხიბლვისგან,
თავი დავიცვა ასე,
ვერ ჩამომაცლის ვერვინ
ძლიერად შევითავსებ.
თუკი ოდესმე მაინც,
შეგვებრძოლება ეშმა,
განაცდევინოს მარცხი,
შენი თვალების ეშხმა.
და როცა გაიშლები
სურნელებაში ფენით,
სხვა ოცნებები მოვლენ
გახალისებულ დღენით.
ფურცლების სითეთრეში
ლექსებად დავიღვრები,
კალმით დაგიწერ იმდენს,
რომ კითხვით დაიღლები.
და გათქმევინებ ბოლოს
თანხმობას, გახდე ჩემი,
ფატას დაგადგამ თავზე,

შეგამკობ დიადემით.
სიყვარულია მარად
გადამრჩენელი სულთა,
რჩეული არის ვინაც,
ცხოვრებაშია სუფთა.
განა ეჭვი მაქვს რამის,
უბიწოების სვეტო,
მანათობელო გზისა,
ვარსკვლავო მონაწყვეტო.
ფიქრების ცისფერ ზღვაში
ნაზად მავალო ნავო,
სარკმლიდან გადმომხედე
რა უნდა დაგიშავო.
დამითმე წუთი თუნდაც
თხოვნა მექნება ერთი
და ვისარგებლოთ ორმა
ამ ღამის სიბნელეთი.
გავისეირნოთ ბაღნარს
სახეთა ბედნიერით,
ყვავილნი მძინარენი
გამოვაღვიძოთ მღერით
და როცა განმისვენებ,
წარბების სიმშვილდეში,
მერე დაბრუნდი უკან,
ოთახის სიმშვიდეში.
მგონი მიგიხვდი დუმილს
გაიფიქრებდი ალბათ
პოეტს მიიჩნევ მხოლოდ
შენი სიმდიდრის ხარბად.
ეს ტყუილია დიდი,
დასარწმუნებლად ძნელი,
წავიდე თორემ ღამეს
დღემ ახსნა საფარველი.

ღამე მეეძვსე

ღამეა საამური
ცას ვარსკვლავები ეკვრის
თუმც სიმშვიდეა, მტანჯავს
გულზე სიმწარე ეკლის.
თითქოს ვიცლები სისხლით
ნელ-ნელა თითო წვეთად,
უძვირფასესო ჟანა
რადგან არა ვართ ერთად.
გაუსაძლისი ხდება
ჩემთვის ყოველი წამი,
გამახსენდება როცა
ლამაზი წარბ-წამწამნი.
მაშინ არ ვიცი როგორ
დავიცხრო მღელვარება
დაუვიწყარი არის
თვალების ელვარება.
სიოდ რხეული ტანი
გრაცია სინატიფის,
სითეთრე საოცარი
დანამსგავსები ფიფქის
და ამდენ განიცადში
თუ რამე დამემართა
იცოდე, წინასწარვე
შენ დაგბრალდება მართლაც.
რად გინდა, ცოდვიანი
იარებოდე მძიმედ,
თავისუფლება გიჯობს,
პოეტს აძლევდე იმედს.
თორემ გამგები ჩემი

არავინ მეგულება,
მიტოვებული ბიჭის
მიგრძვნია შეძულება,
რაც სხვებისაგან მოდის.
მათ რას ვუშავებ ნეტავ,
და სულის გადარჩენას
სიმარტოვეში ვხედავ.
წუთისოფელში მხოლოდ
სიყვარულისთვის ვიცლი
და მისი სათნოების
ფასი ნამდვილად ვიცი.
კარგო, ნუ შეშინდები,
მოფრინდი უზრუნველად,
გამიცისკროვნე დღენი,
ტუჩნი შემახე მწველად.
მაქვს სასიკეთო ზრახვა
ბოროტებისგან შორი
და გავხდეთ ქვეყანაზე,
ორივე თანასწორი.
ძალზე ღარიბი მქვია,
მდაბიო, უქონელი,
მაგრამ მაქვს სიყვარული,
მარადის უქრობელი.
პოეტის ნათქვამ სიტყვებს,
კედლის შიგნიდან ისმენ,
გარეთ არ გამოდიხარ,
დუმილი გმოსავს ისევ.

ღამე მეშვიდე

ჩემი გრძნობები გგრძნობენ,
გოგონავ, მშვენიერო,
მინდა ძალიან ისე,
გული რომ შეგიერთო
და ჩამომდგარი ნისლი
გავფანტო ცხოვრებაში,
ვიპოვო დამშვიდება
მღელვარე გონებაში.
რადგან თუ შემასწარი,
ოცნების მშობელ თითებს
სახეზე შემოვიფენ,
როგორც უნაზეს ტიტებს
და სურნელების ტალღებს
ეზიარება სული,
დამეუფლება მაშინ
უზომო სიხარული.
იქნები თეთრი მტრედი
პოეტთან მონავარდე,
შემომცინებენ მარტოს
თვალები მოლაჟვარდე.
ჩაგაცქერდები შიგნით,
ორ ღრმა ტბას დავინახავ,
სიყვარულს საუკუნო
სიცოცხლედ დავისახავ.
მოგიძღვნი კარგო ლექსებს,
არ დავიშურებ არას,
რითმების თანაწყობა
სიამით გადაგფარავს.
ჩვენც სოფელ-ქვეყანაზე
დაგვაფასებენ მეტად,
ოღონდაც რა იქნება,

ჩემგან ნუ ივლი კენტად.
სიტყვები გამაგონე
ბაგეთა სიწმინდედან,
მომხედე, შემივრდომე
და გახდი ჩემი დედა.
რომლის მინამსგავს ალერსს
დავეძებ დიდი ხანი,
გამხდარა სიძნელეში
ობლობა ასატანი.
ამიტომ მინდა ვინმემ,
თავისი ბრწყინვალებით,
უშნოდ წინ აღმართული,
დაადნოს მყინვარები.
რადგან სიცივე ფარვით
დაუსრულებლად მოდის,
საით გავექცე უნდა,
გადაყოლილი ლოდინს.
განა მაქვს დასამალი
შენ მიმაჩნიხარ მხსნელად,
ახალგაზრდობის ცაზე
შვიდფერა ცისარტყელად.
ოჰ, მენდე, თბილო ჟანა,
გამოხსენ სახლის კარი,
მომეგებე და მკერდში
მხურვალედ ჩამეკარი.
სიყვარულს მოეც ძალი
შეასხი ლაღად ფრთები,
შემოვიაროთ ერთად
შორი ზღვები და მთები.
ღამის ჩამოშლილ ფარდებს
ფიქრებს საკმევლად ვუკმევ,
სიკეთით ბრძანდებოდე,
წავედი დროა, უკვე.

ღამე მერვე

ლამაზო დედოფალო,
მიმოქარგულო ნაზად,
ჰგავხარ მრავალი ვარდის
სურნელებაში ნაზარდს.
მაჩუქე ოცნებები,
ბედნერებავ, გულის,
ჭეშმარიტებავ ჩემო,
აკვანო სიყვარულის.
ხმა შემომფინე სხივად,
თორემ სიბნელე მაკრთობს,
დავიარები ისე,
რომ არაფერი მართობს.
ჩამიღიმილე ერთი,
სიცოცხლე დამიამე,
ბაგეებიდან ჩუმად,
მითხარი კარგი რამე.
რათა საკრავი სულის
აჟღერდეს სულ სხვა ტრფობით,
დადგეს დღეები მალე
შარბათის მსგავსი თრობით.
შენზე ვლოცულობ მხოლოდ
და ღმერთს გავედრებ ცაში,
სიზმრებში გეფერები
და მელანდები ცხადში.
ხარ ჩემი ანგელოზი,
თეთრი პერანგის მქონე
და სწორედ ამიტომაც
ძალიან მომეწონე.
ასაკით პატარაო,
ჯერ კიდევ ბავშვი გქვია,

რომელმაც ახალგაზრდას
სიმშვიდე დამირღვია.
გეპატიება განა,
მაყენებ ამდენ ვნებას,
ნუთუ არ გამოიჩენ
კეთილშობილურ ნებას.
გადავიწყებას მიმცემ,
ჭაბუკს ძალიან დაღლილს,
ამაოებად აქცევ
ცრემლებს უშენოდ დაღვრილს.
ვერ დავიჯერებ ამას,
ვთქვა, შემიძლია ფიცი,
მიტოვებისთვის მუდამ
იქნები გასაკიცხი.
ქვეყანას მირჩევნიხარ,
უნეტარესო ჟანა,
მწამს, გაზაფხულად მოვა.
გასაოცარი ხანა.
ამიფერადებს ბილიკს,
და გამოვყვები შენსკენ,
მაინც მოგნახავ, კარგო,
თუნდაც ჩავიდე ქვესკნელს.
წაგიყვან სიხარულით,
მორთულ-მოკაზმულ ეტლით,
მაშინ ცხენები მარდად
ვაქროლოთ განუწყვეტლივ.
ალბათ მიმიხვდი ყოველს,
მაგრამ სიჩუმე გიპყრობს,
თითქოს და გეგონება,
ოთახში არვინ იყოს.

ღამე მეცხრე

როგორ ხარ, უნაზესო,
ჩემი სიცოცხლის ლავრა,
დაუწყნარებელ გულში
მინდა ჩაგიკრა მძლავრად.
მაგრამ სურვილი წრფელი
ისევ სურვილად რჩება
და სიყვარულის გზაზე
უიმედობა ჩნდება.
დაახლოება შენი,
ყველანაირად ვცადე,
ღმერთი იქნება მოწმე,
რომ მართალი ვარ ცამდე.
სიტყვები დაგენანა,
ჩემთვის სათქმელად კარგო,
ალბათ ძალიან ნატრობ
აქედან დავიკარგო.
ჩამოგშორდები ახლავ,
არ შეგაწუხებ მეტად,
ვგრძნობ, გაჩენილი სევდა
თავს დამატყდება მეხად.
დაველოდები სიკვდილს,
სარეცელს მიჯაჭვული
და შენზე მოგონებით
დაიფერფლება სული.
გემშვიდობები, აბა,
სულ სიხარული გქონდეს
და ბედნიერი იყავ,
სხვას მითხოვდები ოდეს.
უცებ გაიღო კარი,
თავადის დიდი სახლის,

გამოჩნდა ბრწყინვალება,
თეთრი ასულის სახის,
გატრიალებულ ჭაბუკს
მოუხმო უტკბეს ხმაზე.
ნაზად და მოკრძალებით
ხელი შეახო მხარზე,
ნიღაბი ჩამოიხსნა,
ღელავდა მისი გული,
და ბოლოს, როგორც იქნა,
იხილა სიყვარული.
რომლისთვის ალექსანდრი
ასე რიგ ოცნებობდა,
ახლა სხვა სიხარულით
სხვა ხილვით ოცდებოდა.
არ უფიქრია ბევრი,
შემოეხვია გზნებით,
თითქოს აევსო სული,
მშვენიერ მიმოზებით.
მარადისობად ექცა
ტრფობის ყოველი წამი,
ბრწყინავდა ჟანას მკერდზე,
თვლიანი ყელსაბამი.
დედოფალივით იყო
მთვარიან ღამის შუქზე,
ცეცხლოვან მხურვალებით
დნებოდა ტუჩი ტუჩზე.
არვინ ახსოვდათ ქვეყნად,
გადაივიწყეს ყველა,
საამო ალერსისგან
ორივე მოიცელა.

(გარეთ გამოდიან ევგენი, ეფემია და მსახურები)

ევგენი

ჟანა და ალექსანდრი
რა დაინახა ერთად,
თვალებს არ დაუჯერა,
ღელვისგან ძლერ შეკრთა.
მამას პატივი ეცი,
ნუ გამამწარებ შვილო,
ჩემო პატარა ვარდო,
ედემში გადაშლილო.
ჩამოეხსენი, ჩქარა,
უპოვარსა და ღარიბს.
მისი სურვილი მხოლოდ
შენი სიმდიდრე არის
და ცდილობს შეგაცდინოს
ბავშვი ხარ უზაკველი,
შემოგხვევია, როგორც
პირდაბჩენილი გველი.
დაფიქრდი, სანამ დროა,
იყავ მომხმობი ჭკუის,
მიხვდები ყოველივეს,
რომ მართლა ურცხვად ტყუის.

ეფემია

დაბრუნდი სახლში, ჟანა
და გაახარე დედა,
გაფრთხილებ წინასწარვე
მომკლავს, იცოდე, სევდა.
ხარ უკეთესის ღირსი
გყავდეს მზრუნველი ქმარი,
რაში გჭირდება, მითხარ,
ასეთი აბეზარი.

ალექსანდრი

იგი ნამდვილად მიყვარს,
მაღალ ღმერთს გეფიცებით,
სიწმინდე მამოძრავებს,
თქვენ კი, უბრალოდ, ცდებით.
მე არაფერი მინდა
თუმც, სიღარიბე მომდგამს,
ამოვარჩიე ბევრში,
რადგან ანგელოზს მოჰგავს.
შეპყრობილი ხართ, გატყობთ,
მტანჯველ ეჭვით და შიშით
სანატრელ არსებასთან,
მიტომ ცხოვრებას მიშლით.
მიცქერით მიუღებლად,
ვიცი, განწირვა მელის,
ამაოდ მიიჩნიეთ
სიტყვები კარგი მთქმელის.

ჭანა

ალექსანდრია ჩემი
განმდიდებელი ენით,
მომავალ საქმროდ ვსახავ,
მიყვარს სპეტაკი რწმენით
და თუკი დამაშორებთ,
იქნება თქვენთვის ძნელი,
გაგითენდებათ დილა
ძალიან საშინელი.
რადგან დედავ და მამავ,
თავს მოვიწამლავ შხამით
და ერთადერთი შვილი
გარდაგეცვლებათ ღამით.

(ჟანა იღებს შხამს ჯიბიდან და უნდა მოსვას)

ევგენი

სიტყვებს წავიღებ უკან,
ოღონდ იცოცხლე, ღმერთო,
მერწმუნე, მზად ვარ, ჟანა,
ალექსანდრს ცოლად შეგრთო.
თუკი პირობას მომცემთ
იცხოვრებთ ჩემთან მაშინ,
გამახალისებთ ისე,
ფრენას დავიწყებ ცაში.

ეფემია

ევგენის ვეთანხმები,
გლოცავთ ორივეს გულით,
დაე, მარად და მარად,
ფეთქავდეთ სიყვარულით.

(გახარებულები ეხვევიან ერთმანეთს)

დასასრული

ერთ დღეს, როდესაც ზეცა,
იყო წყნარი და მშვიდი,
გადაიხადეს სოფელს
ქორწილი ძალზე დიდი.
უმშვენიერეს ჟანას
ამკობდა თავზე ფატა
მიმოდიოდა ხალხში
ვით მტრედი ფრთაფარფატა.
ბრწყინავდა თეთრ კაბაში,
მზისა და მთვარის მსგავსად,

ასეთი სინატიფე
არვის ენახა არსად.
დედ-მამას შეცინოდა,
ალექსანდრს ედგა გვერდში,
ხარობდა ყველა, მყოფი
მუსიკის მწველ ჰანგებში.
მრავალი წლის მანძილზე
ცხოვრობდნენ შეწყობილად,
სიკეთით, სათნოებით,
ბედნიერად და ტკბილად.

ნოველები

***

საოცრება ხარ უიშვიათესი ჩემი ცხოვრების გარიჟრაჟზე, რომელიც მოიტანე სიმშვენიერით, სხვებზე მეტად ამაღელვებლად და ნაზი გრძნობით. ამიტომაც ვიმყოფები მუდმივ განცვიფრებაში და ვნატრობ, მქონდეს ხილვა ისეთი, როდესაც სინამდვილეში მოხვალ, კარების ზღურბლს გადმოაბიჯებ და ბედნიერებას შემოიტან ვარდების დაფენით. და მე, მოულოდნელობით გარემოცული, შენს თვალთა სხივებს გულში გაჩენილ სევდის მორევს ამოვაშრობინებ, თეთრი თითებით სიყვარულის ტილოს დავაქარგვინებ, სადაც ორი არსების სახე იქნება ამოტვიფრული. გატარებ უმშვიდეს ბილიკებზე და სიკეთეს განგაცდევინებ ყოველ წამს თუ, რა თქმა უნდა, სურვილი გექნება ამაღლებული სიწმინდის გამოსავლენად.

***

ხარ განთიადი და პირველი სხივი გრძნობათა ხიდზე, რომელიც უხილავ დამაკავშირებლად იქცა ორს შორის. ხშირად წარმოვიდგენ ასე ოცნებით, თითქოს მოდიხარ შესახვედრად და მე ყვავილები მომაქვს უნაზესობის გადმოსაცემად, რათა განვიცადო მშვენიერება სხვა ნეტარებით, მოვეხვიო და მოვეფერო თეთრ თითებს გატაცებით, სიყვარულის სიტყვები დავქარგო და მოგიქსოვო ფიანდაზის მსგავსად, მაგრამ სამწუხარო ისაა, რომ ყოველივე ჰქრება სინამდვილეში და მარტოობა მიუფლებს ოთახში. მხოლოდ იმედი მრჩება გულში და აგრძელებს არსებობას სიცოცხლისათვის.იქნებ, ვინ იცის, მოხდეს სასწაული და დაბრუნდე, მაშინ ხომ ბედნიერება იზეიმებს ცხოვრების გზაზე, რაც უდიდესი ნიშანსვეტი იქნება ურთიერთგაგებისა.

***

ჩემი ნამდვილი მიზანი მხოლოდ გამოხატვაა პატივისცემისა და დაფასებისა, რასაც მსურს წერილებით მივანიჭო

მრავალფეროვნება და ჰარმონია სიცოცხლის ტკბობისა. დაე, ფურცლებზე ელვარებდეს გულის ფიქრებში ამოვლებული გრძნობის კალმით დაწერილი ასოები, ესეც კმაყოფილებას მომგვრის, სიხარულის განცდას გამიორკეცებს და ზღაპრულ ოცნებებში მანავარდებს. მაგრამ ოცნებასაც გააჩნია, თუ აუხდენელი დარჩა, მას გადაფარავს დავიწყების უნაზესი ტალღები, რომელიც წლების გავლის შემდეგ მრავლისმეტყველი ახმიანებით თავს გაგახსენებს და წარსულის სურათს დაგანახვებს შემოდგომის ფერებით შეზავებულს. და ეს ასე რომ არ მოხდეს, მინდა მხურვალე ცრემლებმა ჩამორეცხონ ცოდვათა მანტია სხეულიდან და ასე განწმენდილი შემახვედრონ უნატიფეს სიყვარულს.

***

ვარდებივით ანაზებ სურნელებას სიოს ქროლვაზე და გაზაფხულის ნაზი ფერებით ირთვები, როგორც დედოფალი, რომელსაც მხოლოდ კეთილშობილი რაინდი აკლია სიყვარულის დასაგვირგვინებლად. თუ მე მომენიჭება ესოდენ სანატრელი პატივი, შევეცდები ღირსეულად ვემსახურო შენს უბიწო კდემამოსილებას. ოღონდაც არსებობდეს წყვილთა შორის თანაზიარი ნება და ხელს ვერაფერი შეუშლის. გთხოვ, იფიქრო გულში და მისი სიღრმიდან ამოფრქვეულ გრძნობათა ლავას კვალი მისცე გონების წიაღში ნათელი განსჯისათვის.

დრო ფრთებშესხმული რაშია და მიჰქრის უსასრულო ლურჯ სივრცეებში. მხოლოდ მარადისობას შეუძლია შეაჩეროს მისი დაუოკებელი სწრაფვა. მარადისობა კი ჩვენი სიყვარულია.

***

ხომ არვინ გიფორიაქებს ნატიფ სულს, ასე ძვირფასს ჩემი ცხოვრებისათვის. იქნებ, გამანდო საიდუმლოდ, რათა დახმარება შემგთავაზო მეგობრის მსგავსად და ხელი გამოგიწო-

დო საიმედოდ. თუ ჩამთვლის ღირსად შენი კეთილშობილება დიდი პატივი იქნება, რადგან შევიგრძნობ არსებობის საჭიროებას წუთისოფელში და უსაზღვრო ბედნიერება მომიცავს.

ალბათ წერილების წაკითხვის შემდეგ გულს აჩუქებ ტრფიალებით აღვსილ რაინდს და შეხვედრას მოითხოვ, რათა უფრო უკეთ გაიგო მისი წარმომავლობა. მაშინ პაემანის ადგილი შეირჩევა ბუნების წიაღში, ტბის სიახლოვეს, სადაც გაგეფანტება ყოველგვარი ეჭვი და მოწმენდილი ცის სილურჯე დაივანებს შენს მოელვარე სხეულში.

***

იქნებ გაგიჩნდეს სურვილი გულის წიაღში სიყვარულის წარმოსაშობად და გამოსავლენად მწერლის გზაზე. გთხოვ, უარს ნუ იტყვი, თუნდაც იმიტომ, რომ წლები გაიპარება და დაიკარგება ლამაზი გაზაფხული, სულში ამოსულ ლურჯ იებად. იჩქარე და მალე დარწმუნდები ჩემს სიკეთეში და პატიოსნებაში, რომლებსაც ბრილიანტებად ვინახავ შეხვედრის დროს გადმოსაცემად. თუ, რა თქმა უნდა, უარს არ მეტყვი და მიიღებ საჩუქარს თეთრი თითების ხლებით..მაშინ შეერთდებიან უხილავად ფიქრები და იქცევიან მდინარებად გრძნობათა კალაპოტიდან. ჩავიძირებით ოცნებებში და დავინახავთ ყვავილებს, გადაფენილს მომავლის შარავანდედზე, წამები შეჩერდებიან და ჩვენ, ბედნიერებით ვძლევთ დედამიწის ბრუნვას.

***

ლამაზი ოცნება ხარ, რომლის ულურჯესი ფარდები შრიალით თავისკენ მიხმობენ და მაგრძნობინებენ ყველაზე დიდ სიყვარულს მოფერებით. და მეც, აყოლილი ფაქიზ ვნებას, თავდავიწყების მორევში ვეშვები ცაში მონავარდე ფრინველივით და შენს ხმას გალობით ვუერთდები განფენილ მიდამოში, სადაც სახის ნათება დღესავით ნათელია და მიმზიდ-

ველი საუცხოო თითების მიხვრა-მოხვრით გაიშვიათებული. გული იფერფლება მახსოვრობაში, სული მღელვარებს ნატვრაში და თვალები ილევიან სიშორეში. სიცოცხლე ძნელი იქნება გასაგრძელებლად, ვიდრე არ ვეამბორები და არ დავტკბები ბედნიერების ცქერით. ჩემი ბედნიერება კი შენ ხარ.

***

დილის ნიავი ხარ, რომლის დაქროლვას დანატრებული ვარ და ველი მოუთმენლად, რათა სიცოცხლე უფრო მეტად ლამაზი გახდეს. იქნებ სინაზისმომგვრელად გამოიელვარო, თანადგომა გაუწიო სულს და ზღაპრულ სივრცეებში ნეტარება განაცდევინო. ასე ხომ ოცნებას ფარდა აეხდება, სადაც გამოჩნდება ცხადში შენი სინატიფე, სითეთრეში გაბრწყინებული მზესავით, ურიცხვი ვარდი საუცხოო სურნელებით გადაიშლება, რადგან ჭეშმარიტება იზეიმებს სიყვარულში.

გთხოვ, ნუ დავიკარგებით დროის ლაბირინთებში, არამედ ერთმანეთი ვიპოვოთ და შევავსოთ ჩვენში არსებული სიცარიელე ურთიერთობით.

***

მინდა დიდხანს იცოცხლო და ბედნიერი იყო, როგორც შეეფერება შენს მშვენიერებას და აღმატებას. ალბათ არ არსებობს ჩემთვის სხვა გატაცება, სხვა გაოცება, თორემ არ ვიგრძნობდი თავს დავალებულად წუხილის მისაღებად. ამიტომ, იძულებული ვარ, ტრფიალების ტყვეობაში მყოფმა, მოგწერო შემამკობელი სიტყვები შორეულ ოცნებას, რათა ახლობელი გახდე და ზღაპრულ ფერიად იქცე ცხოვრებისეულ სინამდვილეში.

***

დაუვიწყარი ხარ ჩემს ოცნებებში, რომლის ფერი შენი მსგავსია მშვენიერებაში განსხეულებული. იქნებ მითხრა,

როგორ ხარ და ამით გული დამიმშვიდო, შენზე მხურვალედ მლოცველი ციურ თაღებში. მაგრამ ყოველივე პატივი მიუღწეველია უნაზესი თითებიდან მოვლინებული წერილით რაინდის სასთუმალთან, რომელიც ავადაა და ლოდინით იცრიცება შემოდგომის ფოთოლივით და რომელმაც არ იცის, როდის მოწყვეტს ქარი და წაიღებს სადღაც...

ვწუხვარ, სხვა მაცოცხლებელ ძალას რომ ვერ ვხედავ და ამიტომ მიპყრობს ერთადერთობის განცდა და ეს ერთადერთობა მხოლოდ შენ გმოსავს სულში, ბრწყინვალე ვარსკვლავო. ნეტავ მოწყდე შენს სამყოფელს, რათა მე გიპოვნო და სიყვარულით დაგიბნიო მკერდზე სამარადისოდ.

***

მინდა იგრძნო უსაზღვრო ლტოლვა გულისა და მიპასუხო იგივე ტრფიალებით სიყვარულში, გახდე უმეტეს მეგობარი, ვიდრე ახლა ხარ, დაივიწყო ყოველგვარი სევდა უიმედობით გამოწვეული და ერთად გავუყვეთ ყვავილებით მოფენილ ბილიკებს, რაც საბოლოოდ მიგვიყვანს გამარჯვებამდე. და ვიქნებით საოცარ ადგილას იქამდე, ვიდრე არ მოვა დრო, მარადისობაში გადასასვლელად. მაშინაც კი განუშორებლად მოვემსახურები შენს მშვენიერებას და აღვავსებ ზღვა სიხარულით.

***

მინდვრის ყვავილი ხარ, რომლის სილამაზე და სურნელება, ისეთი მომხიბვლელია, რომ ლამის სულმა დატოვოს სხეული და ცის ტატნობს სიხარულით შეუერთდეს. ამიტომაც გადავივიწყე ცხოვრებისეული შფოთი და ფიქრებით შენზე ვკეთილშობილდები. სიამეში გეჩურჩულები სხვა ოცნებით და ასე ვქარგავ მუზათა რიგებს, შთაგონებულს შენი სახის ბრწყინვალებით. როცა სრულდება ამდაგვარი წუთიერი ხილვა, ფურცლებზე გადმომაქვს განცდილი და ვწერ ტრფი-

ალებაზე იმ ორი არსებისა, რომლებიც ერთად არ არიან.

ძვირფასო, ძალიან მინდა მოგწვდე და მოგწყვიტო, იმედის მომცემად და დაუმჭკნარ ხატებად გაქციო, რადგან წმინდა სიყვარულით გასაზრდოებ ყოველთვის.

***

ჩემი ოცნება ხარ, რომლითაც უნატიფესი გახდა თითოეული წამი ცხოვრებისა და დასაფასებელი მრავალი ვარდის შემკობით. ამიტომაც მინდა წერილებში გამყოფო და გაღიარო ერთადერთ ქმნილებად, რაც მშვენიერებით გამოვხატე კიდეც. წარმოუდგენელია, სახის სინათლე თითქოს მზეა და თავის სხივებს მაფენს გულზე სიყვარულის ნიშნად და მე, დაპყრობილი ასეთი სურათით, ვეღარ გამოვსულვარ გრძნობათა ტყვეობიდან, მიჭირს, გავუძლო ვნების ტალღათა შემოტევას ფიქრების ზღვარზე და მგონია, გარდუვალია ჩემი ნაადრევი აღსასრული. ნუ იქნები ასეთი დაუნდობელი.

***

შენმა კეთლშობილების ძალამ განდევნა გულში შემოსული დარდი, სიმარტოვით გამოწვეული და გამმსჭვალა საუცხოო გრძნობით სიყვარულისადმი. დამანახა სამყაროს მშვენიერება ადრე, რომ მეგონა დაკარგული და გააღვიძა გაზაფხულის იებივით ოცნებები. სწორედ ეს ოცნებებია, რომ შეგნატრიან დღისით თუ ღამით, რათა სინამდვილეში მოევლინო ზღაპრული მზეთუნახავივით და შეუმსუბუქო ამსოფლიური მძიმე ხვედრი.

ვინ იცის, იქნებ ვართ ერთმანეთისთვის დაბადებულნი და უნდა დავკავშირდეთ ცხოვრებაში, მაშინ ნუ მომერიდები და შევხვდეთ წყნარ, მშვიდ ადგილას, სადაც მხოლოდ ჩვენ ორნი განვმარტოვდებით.

***

სიცოცხლევ სულისა და სილამაზევ ოცნებისა, ალბათ ნახულობ განმარტოებით ადგილს და უსმენ ბუნების ზღაპარს სიოს ჩურჩულში, ტკბები გაზაფხულის შემოსვლით აკვირტებულ ხეებზე.უნდა გითხრა, რომ თუ ეს ასეა, მაშინ გქონია პოეტური სინატიფის შეგრძნება და შეგძლებია მეტი სიახლოვის შეგრძნება მუზების მიმართ, რომლებსაც დავატარებ გულში შენს გამო. შვებას მგვრიან წერის დროს და ფიქრებს აკეთილშობილებენ. ამიტომ ვეფერები სიყვარულით და განუშორებლად ვიმყოფები იმედისმომცემად ცხოვრების ამაოებაში.

ახლა ჩემი ტანჯვა დაუსრულებელია, ხოლო დასასრული აუცილებლად იქნება შენით გახალისებული და გაბრწყინებული გვირგვინებით.

***

სინაზევ იებისა და ტრფიალებავ ენძელებისავ, რომელთა მოსვლაც გაზაფხულის მაუწყებელია ქვეყნიერებაზე, ხოლო ჩემს გულში სიყვარულისა. ამიტომ ვეხმიანები შენს მშვენიერებას და მინდა განვიცადო სიახლოვე ფიქრებში ნანატრი არსებისა, რათა შევმატო მეტი რომანტიკა ჩვენს უხილავ ურთიერთობას და ნათელი სულიერება მოვფინო შენს ფასდაუდებელ სიცოცხლეს მრავალი წლის მანძილზე. თუ, რა თქმა უნდა, ოდესმე აღგეძვრება სურვილი პოეტის ხილვისა და მისი ცხოვრების გზის გაფერადებისა ოცნებათა უსაზღვრო სივრცეებში.

***

გაზაფხულივით ამშვენიერებ ადგილს, სადაც იმყოფები და სიცოცხლეს ჰმატებ ყველაფერ სულიერს ყვავილების სურნელებით. ამიტომ ჩემთვის ძალიან მიმზიდველია შენთან სიახლოვე და მომტანი უსაზღვრო სიხარულის, რომლის გა-

მოც დაგეძებ და ვერ მიპოვნიხარ. ასე ლოდინით დაღლილს სევდა მიპყრობს და მიპირებს მატროობას სიყვარულის გარეშე, რაც ძალიან დამთრგუნველია და მიუღებელი ჩემი ცხოვრებისათვის. გწერ წერილს წერილზე, თუმც სინამდვილეში არაფერი ხდება ჩემდა სასიკეთოდ და სასიხარულოდ

იქნებ, თავად გეცადა გამონახვა წუთებისა, რომლებიც ერთმანეთს შეგვახვედრებდნენ და სიყვარულის ფერებით ცამდე აგვიტაცებდნენ.

***

მშობელი ხარ ოცნებისა, რომლის ტალღებში სიტკბოებით ვიძირები და ვგრძნობ შორეულ ალერსს თვალთა ტრფიალებიდან. მე მხოლოდ შენი შველა მინდა და სიყვარული, ამოსული გულის ედემიდან, ვით საკმეველი სურნელებაში გასივრცებული. ამიტომ გთხოვ, ხელი გამომიწოდე და დამაღწევინე თავი მარტოობას, რათა მხურვალე მლოცველი გავხდე იმ არსებისათვის, ვისაც სიცოცხლეს თეთრი ვარდივით ვაჩუქებ და შევმატებ მეტ მიმზიდველობას ცხოვრების გზებზე.

ალბათ მიხვდები ჩემს უზომო სიწრფელეს, სიტყვებით გამოხატულს წაკითხვის შემდეგ და ფიქრებში გააკეთილშობილებ მოსაწერ პასუხს.

***

შენ სიმღერებით ათბობ ყველაფერს და სიცოცხლით ახალისებ სევდიან გულებს, მაშინ დიდად დაფასებული უნდა იყოს შენი შემოქმედება და მრავალი ვარდით გამშვენიერებული, რომლის ნაკლებობასაც ნამდვილად არ განიცდი. ასეთ პატარა ასაკში უკვე მოიპოვე სიყვარული და სახელი ჭეშმარიტი დამტკიცებით, რაც მიუღწეველია ყალბად მეტყველი ადამიანებისათვის

მინდა ჩამთვალო ერთგულ რაინდად და მომცე საშუალება

მიზნის დაგვირგვინებისა, რომელიც საბოლოოდ დამაახლოვებს შენს უმანკო ცხოვრებასთან და მაგრძნობინებს სანატრელ სინათლეს დროის სწრაფმავლობაში.

***

დიდი სასწაული ხარ ჩემი ცხოვრების გზაზე და გამამშვენიერებელი გულის ფიქრებისა, რომელშიც ლივლივებს შენი უნეტარესი სახე სითეთრეში გაიშვიათებული, მიჩვენებს მომავლის შუქის ბრწყინვალებას და აძლიერებს იმედს საბოლოოდ შეყრისა. ამიტომ არ მაქვს უფლება, დავიწყებას მივცე თუნდაც შორეული ტრფიალი და არ განვიმსჭვალო სათუთი გრძნობით, რაც სიყვარულს ახმოვანებს სიამით და სულში ოცნებებს ბადებს სიხარულის მოსანიჭებლად.

ოჰ, გამომიცხადე, ასულო, წმინდა ნება ერთად ყოფნისა.

***

ჩემი სულის ამამღერებელო და გულის დამატკბობელო ნაზო ქმნილებავ, მინდა კარგად იყო და ყოველივე სიკეთე გისურვო შემოქმედებაში, რომლითაც დაიმკვიდრე სახელი, მზესავით მანათობელი. ამიტომ იცოცხლე დიდხანს სიყვარულისა და ბედნიერებისათვის, რადგან ორივეს იმსახურებ ჭეშმარიტად

ძნელია ჩემთვის, სადმე ვნახო შენი მსგავსი მშვენიერება და სილამაზე საუცხოოდ გარითმული. სწორედ ესაა მიზეზი, რომ სიმარტოვეს ვგრძნობ სიცივეში და ვსევდიანობ. მხოლოდ ოცნებებს მოაქვთ სიხარული და სიხალისე პოეტურ ხიბლში. მაგრამ საბოლოო ხსნა არ ჩანს და გამოჩნდება ნეტავ, როდისმე ყვავილებივით მომზირალი გაზაფხულის ფერებში?

***

ჩემი ვარსვლავი ხარ, რომლის ნათება ძალიან შორეულია, მაგრამ მომხიბლველი ოცნებათა ტალღებში. მინდა ასე მო-

კითხვით განვიქარწყლო გულის სევდა და ოდნავ ვიგრძნო სიხარული ფიქრებში, თორემ ტანჯვა უსასრულოდ გრძელდება და მაიძულებს განმარტოებით ვიყო. ამიტომაც გადავივიწყე ცხოვრებაში ყველაფერი და მახსენდება მხოლოდ შენი ულამაზესი სახე უმანკოებით შეფაკლული. ძვირფასო, დამიჯერე, მართალს ვამბობ და სიყვარული მაჩუქე, ესოდენ სასურველი სიცოცხლისათვის, ვიდრე გაწყდებოდეს საკრავის სიმივით.

ალბათ, თხოვნას არ დააყოვნებ ლოდინით და მალე შემიერთდები.

***

გაზაფხულის მაცოცხლებელო დილავ და ყვავილების სუნთქვაში განაზებულო უმშვენიერესო მომღერალო, რომლის შეცნობითაც სული გათავისუფლდა ყოველგვარი ამასოფლიური განცდებისაგან და მხურვალე მღაღადებელი გახდა სიყვარულისათვის. ვინ იცის, იქნებ გაამართლოს ჩემმა გულწრფელობამ შენს წინაშე და მალე გიხილო იმ ადგილზე, სადაც სიმშვიდე იქნება გამეფებული და შეგვეძლება ერთმანეთს ვუთხრათ გრძნობის სიტყვები სიკეთის გამომხატველად.

მინდა ყოველთვის შენს ქებაში ვდნებოდე, ვით სანთელი სასწაულად ანთებული და ასე ვიარო ცხოვრების გზაზე, თუნდაც სიმარტოვეში.

***

შენი სირინოზის ხმა აკრთობდეს ამაღლებული სცენის მოჩუქურთმებულ თაღებს და ხალხის გულებამდე აღწევდეს, ვით მშვილდიდან ნასროლი ისარი მიზანში მოხვედრისას. დაილოცოს შენი მშვენიერება სინაზეში გაცოცხლებული და სითეთრეში გამოსახული წმინდა ხატივით, რომლის ცქერითაც სიმშვიდე გიუფლებს უკარებელი სულის მღელვარე ნაპირებზე, რაც უკიდეგანო ზღვის ტალღებად გეფერება და გიწვევს სიყვარულის გამოუცნობ ლაბირინთებში. ბოლოს ან დავიღუ-

პები ან გადავრჩები, მაგრამ მე მინდა დავიღუპო, ოღონდ შენს გაშლილ მკლავებში მოალერსე.

***

ჩემი ფიქრები აკვნებად ირწევიან და გიხმობენ, რათა უგალობო სიმშვიდის მოსაგვრელად, თორემ ზღვასავით ეტირებათ მუზების ვრცელ მიდამოში. ამდენი ხანია არავის აუღელვებია ისინი და არავის გადაუთელია ისე ძლიერ, როგორც შენ. ამიტომ გთხოვ, ვიდრე გაიმეტებ უკანასკნელი სიტყვები ათქმევინო უთეთრესი პერანგის კალთებზე. თუ მოუსმენ და გაუგებ, გახარებული დაგრჩება სამარადჟამო სიყვარულში ფრთაშესხმული გედივით. ვიცი, თავიდან ძნელია ყველაფრის აღქმა და ერთმანეთთან დაკავშირება უწყვეტი გრძნობის ჯაჭვებით, მაგრამ დაგვიანებაც საბედისწეროა, რადგან დრო ქმნის აჩქარებას ადამიანებში, აბა, სხვა შემთხვევა მაიძულებდა ჩუმად ვყოფილიყავი და დაგლოდებოდი უსასრულო ლოდინით.

იმედები მართლდებიან არსებულ გარემოებათა ცვალებადობით, ოღონდ გააჩნია, ვისთვის იქნება ფასეული და მისაღები. დაუმორჩილებლობა იშვიათი მოვლენაა ცნობიერებაში, რადგან ერთეულებს შეუძლიათ ჭეშმარიტი მეამბოხენი იყვნენ კეთილდღეობისათვის. ბევრჯერ ვცადე წარმოსახვით დამენახა ცხოვრება ზღაპრულ ფერებში, მაგრამ პასუხი უმკაცრეს ზოლად გაჰყვა შემოქმედებით ასპარეზს და დაჩრდილა ახალ-ახალი ოცნებები, თუმცა სიცოცხლე გრძელდება და იხვეწება ტილოს დიდი სურათივით მშვენიერებაში.

***

შენზე მახსოვრობა გულში ბაირაღივით ფრიალებს და ოცნებები მოაქვს შორეული ველებიდან, რომელშიც თითქოს ხელახლა ვიშვები ედემში მყოფელი არსებასავით. ეს დრო კი ყველაზე ტკბილია ცხოვრებისეულ გზებზე და ამიტომ ვუფ-

რთხილდები, ვინმემ არ წამართვას, როგორც ერთადერთი განძი ხელშეუხებელი, გულის სკივრში საიმედოდ შენახული. ეღირსებათ, როდისმე გადაგეშალონ წინ ბრწყინავ ბრილიანტებად, ნეტავ, მალე მოხდეს, მაშინ ხომ გაცოცხლდებოდა ლამაზი სურვილები მიძინებული ამაოების გამო და სიხარული იზეიმებდა სულში, რასაც ასე მოველი. ახლა კი ფიქრები წვალდებიან და ნელ-ნელა ვიცრიცები ძველი წერილივით, საიდანაც ასოების ამოკითხვა გაჭირვებით შეიძლება. არის საშველი ასეთი მდგომარეობიდან? მაშინ თუ მოვითმენ ტკივილებს ჯვარზე გაკრულივით და დაუსრულებლად ვიღვაწებ. ჩემი საბოლოო ხსნა ამაში ძევს. სხვაგვარი რამ კი უბრალოებით განისაზღვრება მხოლოდ.

***

კდემამოსილებავ მიმოზისაო და სიტურფევ ნარცისისაო. ჩემს გულში იბადებიან ლოცვები წარმოსათქმელი ხავერდოვან ხმათა ვედრებად და სულის წიაღში მეფინებიან, როგორც დილის მონავარდე სიო. და ალბათ შესმენილ იქნებიან ზეცის ულურჯეს თაღებში, იმედია, იმედია ყველაფრის...

თუ არ დაიქარგა ოცნება თვალთა სხივებით, ის ვერ მიწვდები ნანატრ ქმნილებას, რაც შემდგომ სევდას შემოგყრის მოუშორებლად და ღამის წყვდიადში გაფიქრებინებს სიცოცხლის ამაოებაზე, ვინ იცის, რამდენჯერ მქონია ასეთი შემთხვევა, მაგრამ თავს უნდა ძლიო მაცდუნებელ გრძნობათა მოთოკვით და დასასრული აუცილებლად სასიხარულო იქნება, რის მოლოდინშიც ვარ.

***

გეხმიანები დაუოკებელი სიტყვებით, უბწყინვალესო, გისურვებ წარმატების მწვერვალზე ასვლას, საითკენაც მიგიწევს ჰანგებით ამღერებული გული. ვფიქრობ, რომ ღირსი ხარ ყველანაირი ბედნიერების, ამის თქმის საფუძველს კი

სულის სილამაზესთან შეხამებული სხეულის მშვენიერება მაძლევს, რაც საოცრად მიმზიდველს გხდის ქვეყნიერებაზე. ჩემი აზრის გამოხატულება მხოლოდ პატიოსნებაში მდგომარეობს და არა მიუღებელ სიყალბეში. თუ მენდობი, უხილავ ზღვაში მცურავ მწერალს უფრო გამიადვილდება სიცოცხლე და უფრო მეტადრე მივაგნებ ფონს, ჯერ უნახავს. მაშინ გადარჩენას შენ მოგაწერ და დაგიმადლებ მრავალი ვარდის მოძღვნით გადაშლილ წალკოტთა პეიზაჟებში.

***

მოგესალმები, მშვენიერო ასულო, ვარდივით მზირალო და ოცნებების სიტკბოებაო. განა შემიძლია სიმარტოვეში ვიყო უშენოდ და ვუსმინო სხვათა რუტინას. მინდა ვიგრძნო სითბო თვალთა ალერსისა, თორემ სიცივემ დამიპყრო ლამის. ვფიქრობ, წამიც საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ ერთმანეთი გვეხილა სიყვარულის გასამდიდრებლად. ახლა კი ისე ღარიბია, რომ მათხოვარივით ხელებგაწვდილია ტრფობის მოლოდინში. იქნებ, ვინ იცის, ოდესღაც გვერდით ჩაუარო და ოქროსავით გული აჩუქო, თუ კი, რა თქმა უნდა, ყურადღებას მიაქცევ.

***

აღმატება ხარ ჩემს თვალში და გაოცება დაუჭკნობელი სილამაზისა. გთხოვ, მიიღო მოკრძალებული მხილება შენდამი პატივისცემისა და მიპასუხო როგორმე. უნდა გითხრა წინასწარ დიდი მადლობა თუ თანადგომას გამოიჩენ და დარდს გამიზიარებ ახლობლის მსგავსად, რაც ერთობ სასიამოვნო იქნება ორივესათვის. ყველაფერი დანარჩენი კი მიმინდვია კეთილშობილების გამოსავლენად შენი სულის მორევიდან, სადაც თავს იყრის უნაზესი ნაკადი დამატკბობელ ხმათა არიებით. მაშინ აამღერე გრძნობა მეტი გატაცებით და პოეტის ოცნებას ფრთები შეასხი, რათა სიყვარულში იყო შეუმცდარი.

***

სიცოცხლე ხარ მომავალი იმედების, დაე, იყოს შენი მრავალჟამიერი შეუწყვეტელი და ჩაუქრობელი დედამიწაზე, რაც ჩემთვის იქნება უპირველესად სასიხარულო.მინდა დამერწმუნო ჩემი სიტყვების გულწრფელობაში და მცირე ალერსი გამოიმეტო მწყალობელი ქალღმერთივით. ალბათ გეპატიება უცნობის მიმართ უკარებლობა, მაგრამ თოვლივით ცივი არა. ზოგჯერ მგონია, გაწყდება დიდი ხნის წინ ნანატრი კავშირი ახლად გაბმული გრძნობის ძაფებით და დამთავრდება ყველაფერი სიყვარულიდან აღმოცენებული მონავარდე ოცნებებში, რისი გაზიარებაც არ მინდა. ამიტომ ჩემთვის მთავარია წამებით დაგიმსახურო და ასე მოგიპოვო, თორემ უბრალოდ მოსულს ქარი წაგიღებს და ველად გაგფანტავს.

***

ურიცხვი სიხარული გიღვიოდეს გულში გაზაფხულზე მოსული იებივით და სიყვარულით ნეტარებდე ქვეყანაზე უსათუთესო ასულო. დავიწყება შენი დავიწყებაა ცხოვრებაში ყველაფრისა, რაც წარმოუდგენელია და დაუჯერებელი. მინდა წერილებით განვავრცო მოზღვავებული ფიქრები,რომლებიც არ მასვენებენ და მალაპარაკებენ ჯერუთქმელს. ალბათ წინასწარ ქმნის ბედი ადამიანს ადმიანისათვის, რათა შეერთდნენ და სიცოცხლე სიყვარულის ტკბობაში გაამშვენიერონ.

მე არავისთვის გამიმხელია ტრფიალი და არავის მიუღია ზიარება ჩემი სასმისიდან... ეს მხოლოდ შენ იყავი პირველი და მარადიული.

***

მრავალჟამიერ, შენი სულისა, ნათელო ვარსკვლავო, ღამეულ ფიქრებში, ერთო იმედო ცხოვრების გზაზე და საოცარო სხივო სიცივეში. მინდა გიკითხო კვლავ და მოგიძღვნა სიტყვების კონა, რათა შორიდან შევიგრძნო შენი დამატ-

კბობელი სურნელება ამაოებაში. თუ დამრთავ ნებას, მინდა თამამად გითხრა ჩემი სურვილის მთავარი არსი, რომელიც შეიქმნა სიყვარულის მშვენიერი ხელებიდან და იასამანივით აყვავილდა ჩემს პოეტურ სამყაროში. საიდან გაჩნდა, როგორ მოვიდა, გაურკვევლად მეჩვენება, მაგრამ არა უბრალოდ. ვინ იცის, რამდენი დრო გამიტარებია მარტოობაში, მაგრამ ახლა სხვაგვარი ზმანებაა შენით გარდმოსახული ქიმერის გარეშე.

ვფიქრობ, ჭეშმარიტი ტრფობის სანთელს ადამიანის გულში პირველად ღმერთი ანთებს და იქნებ ჩემს შემთხვევაშიც ასეა, მაშინ საშიშიც არაფერია.

***

ალბათ აფრიალებ ლამაზად თმებს და ნიავივით დაჰქრიხარ აქეთ-იქით. რა იქნებოდა, შენც სხვებივით ყოფილიყავი ახლოს, მაშინ მეტი იმედი გაელვარდებოდა გულში, ახლა რომ მცირე ნაპერწკლად კრთის. დრო მიდის უსასრულობისაკენ და არ მინდა მკვიდრი გავხდე უსასრულობის, არამედ მსურს მზის სხივებივით დავეფინო შენს უნაზეს თითებს, რაც განცდა იქნება ნამდვილი სიყვარულისა და შთაგონება მომავლის სვეტებისა. ფიქრებს შორს მიაქვს ახალგაზრდობის მეამბოხე სული და გადაკარგვას უპირებს უმიზნო ვნების ნაპირებისაკენ. მინდა მოვერიდო შემოდგომის ასეთ სურათს, მაგრამ ეს სურათი ჩარჩოშია ჩასმული და ხელი მეშლება, უშენობის გამო, თავიდან მოშორებაში.

***

მინდა გულის გრძნობები წიგნივით გადმოგიშალო და მხოლოდ სიტყვებით გამოვხატო ტრფიალი შენი სილამაზისადმი, რადგან ცხოვრების გზაზე სხვა საშუალება ჩამორთმეული მაქვს და ვარ უდაბნოში მავალი ადამიანივით, რომელსაც წყალი ენატრება,ხმის გაგონება უნდა და ჩრდილს ეძებს თავის შესაფარებლად. მაგრამ ოდეს გიხსენებ, ვძლიერდები

და შემართება მიორკეცდება ყოფიერების დასაძლევად. და რა იქნება, ჩემი წყარო იყო, ჩემი ბულბული და ჩემი ალვა, ანუ ოაზისი, რაც სირთულეს სიმარტივეში გადაიყვანდა.

***

საოცრება ხარ, ერთადერთი, ჩემი ხილვების სამყაროში და განუმეორებელი მშვენება ცხოვრებისეულ ზღაპრის ფურცლებზე. ძალიან ვღელავ, როცა გწერ. უნდა ვაღიარო და თან სიხარული მიუფლებს ასეთი განცდისა.დაე გაგრძელდეს კვლავ... მე წერა არ მომწყინდება, თუმცა გულში შიში მაქვს ვაითუ, გამიფრინდე მერცხალივით სხვაგან, სადაც ვერ გნახავ და ვერ შეგხვდები. მინდა დაკეტილ სივრცეში თავისუფლება მქონდეს მონიჭებული და შევიძლო სანატრელი მისიის შესრულება. იქნებ გყავს ვინმე მეგობარი გამორჩეული, მაშინ მწერლის სიტყვები ზედმეტად ჩაითვლება ვფიქრობ, რაც დამამწუხრებელია და დასანანია წარმოსახვა ყოველივე უპასუხობით დარჩენილისათვის

ალბათ მიხვდები, წაკითხვისას რა ფიქრებმაც მაიძულეს დაუცხრომელი ლტოლვა ნატიფი თითებისა და თვალთა სინაზისადმი, მაშინ გამამართლებ და ნაზ ამბორს მიძღვნი უმანკო ბაგეებით.

***

სიცოცხლე ხარ და დიდი სიყვარული, გრძნობის სხივებით გამთბარი. მინდა სიტყვებით მოგეფერო და გულში გაჩენილი ტრფობის ელვა, რომელმაც შემაცურა ზღვა ოცნებებში, რეალობად ვაქციო ცხოვრებაში.ოღონდ შენ უნდა მომცე საშუალება, ნდობის ბიძგით დავარღვიო ჩემს წინ აღმართული კედელი და მის მაგივრად ურთიერთობის სათაყვანო ტაძარი აღმოვაცენო.

ნეტავ მივაღწიო გამარჯვების სიმაღლეს, თამამად ჩაგხედო ულამაზეს თვალებში, შენს ათრთოლებულ სულში

ჩავაქსოვო სიკეთე ოქროს ძაფებად და ამით ბრწყინვალება შევმატო საყოველთაო.

***

შენ შემოქმედის ხელმა მოგქარგა სინაზით, სიცოცხლის ტრფიალით, კეთილშობილებით და ყველა იმ იშვიათი ღირსებით, რაც ახასიათებს შენს მშვენიერ სულს. მინდა გულის სიტყვები მარაოსავით გადავშალო შენს წინ და ნიავის მსგავსად მოვგვარო ქროლვა გიშრისფერ თმებს, გაგახალისო, თუკი რაიმე სევდა გაქვს ცხოვრების ტალღებისგან შემოტანილი და შეგიმსუბუქო შეძლებისდაგვარად. გავამთლიანოთ სიყვარულით ეული სულები და მარადისობად ვაქციოთ შეყრიდან ყოველი წამი.

ჩემი ფიქრები შენს ხატებას ევლებიან ლურჯ გარსებად უხილავი ბოროტების დასათრგუნავად და წარმოდგენით აადვილებენ ცნობიერებაში იმედის სხივის ციალს, რაც დაუსრულებელ სტიქიას ქმნის ამაღლებულს ზეცის ქიმებამდე.

***

ნათელი მზე ხარ. რომლის სხივები მათბობენ, ალერსს მჩუქნიან და კმაყოფილებით მავსებენ ქაოსურ სამყაროში. დავდივარ ასე ჩუმი ფიქრებით გარემოცული და ვოცნებობ ზღაპრის ასრულებაზე, რაც მაიძულებს სხვებს მოვერიდო და მოვნახო უკაცრიელი ადგილი სამუდამოდ განსასვენებლად ოღონდ, შენც თუ იქნები, სხვა შემთხვევაში აზრი დაიკარგება ყველაფრის მიმართ.

გთხოვ, ჩაიბარე აღსარება და საბოლოო გადაწყვეტილება მიიღე, მაზიარებ თუ არა შენს ლამაზ სიყვარულს.

***

მინდა მოგიალერსო, ჩემს სულიერ სამყაროში გადაშლილ სურათს, რომლის სინატიფე მიმზიდველია და დამატკბობე-

ლი საუცხოო ხმათა ჰანგებით. იქნებ, კიდეც გიკვირს, რატომ გწერ, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ სხვებზე მეტად ახლობელი ხარ და მისაღები. თუ რაიმე გრძნობა მაქვს, მხოლოდ შენი უნაზესობითაა გამოხატული და აელვარებული ვარდის ფურცლებად, სადაც წერია ამბავი მშვენიერ სიყვარულზე. ალბათ მიხვდები ყველაფერს და მალე გაჩნდები აქ, რათა განიცადო წუთები სიამეში შეჩერებული და წყვილთა შეყრით გასხივოსნებული.

***

ჩემო პატარა მფარველო, როგორ ხარ, კარგად თუ ცუდად? ალბათ, კარგად, რადგან დარწმუნებული ვარ შენი ყოველი გადადგმული ნაბიჯი სათნოებისკენაა მიმართული და მწვერვალივით ამაღლებული, მაშინ ბოროტებას რა ხელი უნდა ჰქონდეს დაუმჭკნარ მშვენიერებასთან, რომლის საოცარი სახის სითეთრე დღესავით ნათელია და საალერსო.

მინდა ოცნება ცის ტატნობს შევუერთო და განვიცადო შორეული ქალწულის თითების შეხება ჩემს ათრთოლებულ სულში გაზაფხულად მივიღო ყვავილების მაცოცხლებელი სურნელებით, რაც გრძნობა იქნება განუშორებელი სიყვარულისა. ამიტომაც გაქციეს მუზებმა ფურცლებში, ტბაზე მონავარდე გედად მიმზიდველი ხმით და ყელმოღერებით. დაე, ყოფილიყავი დიდხანს...

***

ნაზი ბულბული ხარ, რომლის წმინდა ხმა ღამეულ სიზმრებში ჩამესმის და მაგრძნობინებს საუცხოო ნეტარებას დროის წამიერ მიმოსვლაში, რაც სულისთვის ერთობ ამაღელვებელია. მინდა სიტყვებით შევამკო შენი სახის სინატიფე ცისარტყელას მსგავსად და ღვთაებრივი მშვენიერება ჩავქარგო ოცნებების ქიმზე. ვფიქრობ, ასე უფრო შევძლებ მოგიახლოვდე და სიშორე გადავფარო მოგონების უხილავი ძალით. ჩემთვის დიდი მიღწე-

ვა იქნება ბედნიერებით დასრულება ვარდისფერი ზღაპრისა და დამტკიცება ნამდვილი ტრფიალისა სხვების სამაგალითოდ

***

მინდა კარგად იყო მშვენიერებაში გარითმულო ქალწულო და გალამაზებულო მრავალი ფერის ციალით, რაც ვედრებაში ხშირად არის წარმოთქმული ბაგეთა მიერ, სიკეთისა და სათნოების მოსანიჭებლად ცხოვრებაში. დამერწმუნე, აღიარებაში და განმაცდევინე ნდობა შენი კდემამოსილებისა საპატიო ნიშნად. ალბათ დაგიდგება დრო, როდესაც თვალნათლივ დაინახავ სიწრფელეს, თუ ვინ არის მეტად მსურველი ამაღლებული და ჩაუქრობელი სიყვარულისა, სადაც იშლება შენი წარმტაცობა ნარცისების წყებად. მაშინ გამიხსენე და მომხედე.

ჩემი გული შემოდგომის ფოთოლივითაა და ძლიერ თრთის ქარის დაქროლვაზე, რომელიც უპირებს გადაკარგვას სადღაც.. სამუდამო დავიწყებით. იქნებ, დროზე მოგეწყვიტა და ხელის შეხებით სიმწვანით შეგემოსა, რომელიც შენი ცხოვრების თანამგზავრად გადიაქცეოდა.

***

მთვარის მშვენიერებით მოსილო, ოცნებების უკიდეგანო სივრცეებში ბედნიერად იყავი, სადაც შენს სულს უფრო მეტად უხარია და ეხალისება თავის გამოვლენა. მართლაც საოცარია, ცხოვრების ბილიკი რომ გაგივლია ვარდებით და იასამნებით მიმოფენილს. დაე, გამკობდნენ სიცოცხლის ბოლომდე განუშორებლად იმ ადამიანთან ერთად, ვისაც აირჩევ თანაზიარად სიყვარულში.

ნეტავ ამ წიგნივით ვფურცლავდე შენს კეთილსურნელებით გაჯერებულ თმებს, მაშინ ჩემი დღეები ზღაპარს დაემსგავსებოდა, რომლის გმირები ორნი ვიქნებოდით, მრავალი ტანჯვა-წამების შემდეგ შეყრილი და გაერთიანებული. მინდა ისე მომეგოს ნატვრა, როგორსაც ვიმსახურებ და ველოდები.

***

როგორ ხარ, სილამაზევ? ალბათ კარგად, რადგან სადაც სილამაზეა, იქ ყოველივე ამაოება უძლური არის და არაფრისმთქმელი. თუ დამეთანხმება შენი უნაზესობა, მაშინ აზრები თანხვედრი გვქონია და შეგვიძლია დავკავშირდეთ მეტი უხილავი გრძნობის ძაფებით. გადავივიწყოთ გულში გაჩენილი სევდა და ასე ნეტარებით ვიაროთ წუთისოფელში. ვფიქრობ ჭეშმარიტება გაიმარჯვებს მრავალ ცდომილებას შორის და მოფრინდები ბულბულის მსგავსად ჩემს აივანზე, სულში სიმღერით დავანებული. მზის სხივებივით გადმოაფრქვევ ჰანგებს ბაგეებიდან და სიცოცხლეს გააღვიძებ ახალი იმედებით, გადაფარავ სხვათა სიტურფეს განუმეორებლობით.ამ დღეს კი სასწაულად მივიღებ და აღვნიშნავ დიდი ასოებით ჩემი ცხოვრების კალენდარში.

***

ულამაზესი ხარ, მხარეში განფენილი სურნელოვანი ვარდივით, რომლის წინაშეც მრავალი არსება იხრის თავს და ეთაყვანება პირუთვნელად. ალბათ სიხარული გიუფლებს ასეთი გამოხატვისა და სიკეთით პასუხობ ყველას. იქნებ მიიღო ჩემი სწრაფვა ტრფიალისადმი და სანატრელი ხმა მომაწვდინო თანხმობისა. თუ ამაოებად მოგეჩვენება სიტყვები შეგიძლია დუმილით განვლო დრო, მაშინ ვიფიქრებ, რომ არ გსურს დაახლოება და უიმედობით აღვსებული განგეშორები. მოვნახავ ადგილს მივიწყებულს და დავივანებ მარადიულ ლოცვებში შენდამი ანთებული.დაველოდები იქამდე, ვიდრე არ შემომიღებ კარებს ფაქიზი თითებით და არ შემომაგებებ თმებს ჰაერივით. ოჰ. დამერწმუნე სიმართლეში და მომენდე სიყვარულში.

***

ოცნებების სასურველო არსებავ და ჩემი სულის გამამშვენიერებელო ღვთაებავ, რომლის წარმოდგენით წამიერ ნეტარებაში ვიშვები სამოთხეში მყოფელივით. ალბათ მიხვდები, რატომ ვამბობ საოცარ სიტყვებს, რადგან შენი უნაზესობა მაიძულებს ასე მოვიქცე და შეგიგრძნო ყოველივე კეთილშობილებით. ძალიან მინდა შენი იშვიათი თვალების ცქერით ვტკბებოდე და ასე ვიხალისებდე ცხოვრების დღეებს, ახლა სიმარტოვეში გაუფერულებულს.

ხშირად ვეფერები და ვეკონები გულში წარმოშობილ იმედის მარცვალს, იქნებ ეღირსოს ყვავილად გაშლა და სურნელების მოტანა ჩვენს ურთიერთობაში.

***

ხარ თვალებმზიანი და სახემშვენიერი გაზაფხულის სურნელებაში.ალბათ თმების შერხევით ნიავივით ეფინები სითეთრეში მოსილ ხეებს და აგრძნობინებ ყვავილებს გაფურჩქვნის დროს. ო, მეტად მიმზიდველია ასეთი ნიჭი და იმსახურებს ყოველივე ბედნიერების განცდას, რაც კი სამყაროში არსებობს. თუ დამეთანხმები და სასურველად მიიღებ სიტყვებს, მაშინ აღელვებულ გულს სიხარული მოიცავს და სხვა ოცნებებში დამკვიდრება, ვით აფრა ზღვაში მავალ იალქანზე, რომლის გარეშე წარმოუდგენელია გზის გაგრძელება სიყვარულის მისაგნებად.

მინდა ცხოვრების წამები შენზე მახსოვრობაში იფერფლებოდნენ და მახსენებდნენ სინატიფეს, სადღაც მოფარებულს. ამიტომაც გეხმიანები და გიკავშირდები წერილების წყებით,რათა არ დამავიწყდე.

***

უჭკნობი მშვენიერება შენს სახეს და სიხარული უმშვიდეს გულს, რომლის მოპოვებაც ჯერ არ მღირსებია სისრულით,

რაც დამამწუხრებელია ძალიან. იქნებ გამოჩენილიყო ისეთი ვინმე, ვინც ხიდად გაეფინებოდა ჩვენს დაცილებულ ნაპირებზე და შევძლებდით საუცხოო ურთიერთობას უწყინარი დღეების ფონზე, მაგრამ არავინ ჩანს ასეთი და არც გამოჩნდება მრავალი წელი...

დრო კი მიქრის და მიმაქროლებს შორს, სადაც უშენობა და იდუმალებაა დამკვიდრებული. ამიტომ მინდა მოვერიდო თავბრუდამხვევ ამაოებას და სიყვარულის სხივებით შემოვიფარგლო ოცნებებში. მხოლოდ სასწაულს ველოდები, თუ მოხდება ოდესმე, რომ მქონდეს პატივი შენი თვალების სიანკარიდან და მდინარებიდან გამოწვეული.

***

არ მოჰკლებოდეს შენს მშვენიერებას სიხარული და სიყვარული, სიკეთის სხივებით მიმოფენილი. მარად გიკრთოდეს გულში და სულში იმედის ვარსკვლავი რწმენის ნიშნად. აღსავსე ყოფილიყავი უმანკო ფიქრებით, როგორც ზეცის სილურჯეა სიანკარეში მოელვარე და დაქარგული საუცხოო ქიმებით. უნაზესი ხმით ატკბობდე ყოველ არსებას და ანიჭებდე სანატრელ წამებს გრძნობათა ტალღებიდან. მიღწევებით ამდიდრებდე შემოქმედებას, რომლის სათავე თავად ხარ და მოედინები უწყვეტ მდინარის ნაკადად ჩამოსხმული ჰანგებით.

რაც შემეხება მე, მინდა მოგართვა აურაცხელი ვარდი და მოგიალერსო, მაგრამ აქ არ ხარ. მაშინ გამოჩნდი მალე, გელოდები.

***

ხარ თუ არა მზად, შენს ნაზ ხელებზე მაამბორებინო და შევუერთოთ გული გულს სიყვარულის დასამკვიდრებლად, რათა ვიძლიეროთ ამასოფლიურ ამაოებაში. უფრო მეტად გავიხალისოთ ცხოვრების ბილიკები და გავაფერადოთ სიმშვენიერით. ოღონდ იმ სურვილის შემდეგ, რომელიც ჯერ არ

სუფევს შენს ფიქრებში და არ განავარდებს ოცნებათა სივრცეებში.მაშინ თხოვნა მექნება, იქნებ შეხვდე ჭეშმარიტებას მოურიდებლად და შეიმეცნო მისი ნათელი სხივები სიკეთისათვის, რაც დაგიფასდება ვარდების და იასამნების თაიგულების დაფენით ფერხთა წინაშე. ნუ იქნები ჩემი დაღუპვის მიზეზი, არამედ გადარჩენისა იყავი.

***

მშვენიერო და ტანადო, ჩემი ოცნების სასახლეში, სადაც მიმოდიხარ დედოფალივით და სიხალისეს ჰმატებ უიმედობაში აღელვებულ გულს. წარმოიდგინე, მაშინ რაოდენ დიდი მოკრძალება უნდა მაკავშირებდეს შენდამი, რომ პირველობა მოგანიჭეს მუზებმა სინაზეში ჩამოტვიფრულ სახეს. დაგიახლოვეს და არწივივით აგიტაცეს, ჩაგიკრეს თავიანთ ფრთებში, მაღალ ღრუბლებში სანავარდოდ. გაშვება შენი, კი დაღუპვა იქნება ყველაფრის, ამიტომ მინდა გაგაქანო იმ მწვერვალისაკენ, სადაც ტაძარი ავაშენე სიყვარულისათვის. თუ არ შეგიპყრობს ეჭვები და მანდობ სიცოცხლეს, თავს ჩავთვლი უბედნიერესად და ვასაზრდოებ შენს სიყმაწვილეს კეთილშობილებით. პატივისცემით აღვავსებ და ბაგეებიდან წყაროსავით გადმოვღვრი სიტყვებს განაზებულს გაიშვიათებით. ბრილიანტის თვლებად ავაწყობ სანატრელ ურთიერთობას და გედის კისერზე დაგაფენ გასაბრწყინებლად.

***

მივესალმები შენს მშვენიერებას და სილამაზეს, როგორც განუმეორებელ ქმნილებას სინაზეში და ქალწულობას სითეთრეში აელვარებულს. ალბათ მიმოზებივით დაიმორცხვებ, როდესაც შვლის ნუკრის თვალებით წაიკითხავ მრავალ წერილს და შეიგრძნობ გულის სიღრმეში სიყვარულის უხილავ ძალას, ტკბილი ფიქრები დაგეუფლებიან და თავდავიწყებით

გამოჰყვები გზას, რათა შეხვდე შენდამი ტრფობით აღვსილ არსებას. მხოლოდ მაშინ შეგვეძლება ერთმანეთს ვუთხრათ გრძნობის სიტყვები და გავიზიაროთ სიხარული მომავალი ბენდიერებისათვის. თუკი ასე მოხდება ამ დღეს ზეიმით აღვნიშნავ და სხვა საოცარი სიკეთის მანტიით შევიმოსები, რაც განმაშორებს ყოველგვარ სევდას, სიცოცხლის განახლებით და სიმშვიდეში ნავარდით.

***

მკვიდრო გულისა და სინაზევ სულისა, რომელსაც შენ მოანიჭე ხატოვანება, აამაღლე ზეცის კაბადონამდე ნეტარების საზიარებლად და დაამახსოვრე თავი დაუვიწყებლად. და ამიტომაც არის, აღელვებული რომ ვარ ზღვის მსგავსად, დაწყნარება კი ძნელია იქამდე, ვიდრე ტრფობის ტალღებში არ დაგარწევ და სიყვარულს არ მაჩუქებ სასიხარულოდ.

მგონი მიმიხვდი, ჩემი ფიქრების მთავარ არსს და ბრძნულად განსჯი სიტყვათა სამკაულებს, რომ საბოლოოდ დაიმშვენო გედის კისერი და თუ ჩათვლი საჭიროდ, ღამის სიზმრებში მოსმენილი შენი ტკბილი ხმა ცხადში გამაგონო ატმის რტოებად დაქარგული ბაგეებით. მინდა იცოდე, გიცდი და გელოდები მოიმედე ცხოვრების გზაზე.

***

გაზაფხულივით ფეთქავს თუ არა შენი გული სიყვარულის გასამშვენიერებლად და დასატკბობად საოცარი ხმებით შეერთებისათვის, მდინარეთა მსგავსად, რომლებიც უკიდეგანო ოკეანეში ჩაედინებიან. მინდა მაგიდასთან მოვუხმო მუზებს და შევიგრძნო თითების უნატიფესობა სიშორეში ათეთრებული კალებივით, ოცნებებში წარმოვისახო თმების განაზებული ნარნარი და ვეთაყვანო კდემამოსილებით ალუბლისფერ ბაგეებს, სხვა მიმზიდველობით აელვარებულს, გაგიქარწყლო ყოველგვარი ეჭვი უცნობისადმი და შეგფოთლო წმინდა

ზრახვებით ბედნიერების დასამკვიდრებლად ცხოვრებისეულ ასპარეზზე. დაგაიმედო პატიოსანი სიტყვებით და მოგანდო შემოქმედება სიმშვიდეში განფენილი მეტი გრძნობების გამოსავლენად ფურცლების ვნებით მომზირალ ველებში.

***

პატარა ნაკადული ხარ, რომლის დინებამ ჩემს სულში შემოაღწია, აახმაურა სხვა სიხარულით და სინაზე შემატა ვარდის სურნელებით გაჯერებული. ალბათ გულია შენი სათავე, სადაც მშვენიერება სიკეთის სხივებით ბრწყინდება და განსაცვიფრებელს ხდის ყოველგვარ სინარნარეს მიმზიდველობით. ჩემი დამშვიდება ძნელი იქნება იქამდე, ვიდრე ბოლომდე არ ჩაიღვრები ცხოვრების თასში და არ შემავსებ პირთამდე, რათა შემდგომ შევსვა სადღეგრძელო, მარადიული სიყვარულის ორი არსების ერთად ყოფნის თამადობით. აი, სწორედ მაშინ გავხდებით მკვიდრი და თანაზიარი სამყაროში, ხოლო ზეციდან უხილავად მოგვეცემა მადლი ბედნიერების საზიარებლად.

***

ნამის ბრწყინვალებავ და ვარდების მშვენიერებავ, ზღაპრულ მხარეში, რომელსაც მოევლინე ხმათა ხავერდოვანებით. შენ პირველმა შეძელი ასეთი წარმატების მიღწევა და უფრო მეტად მიმზიდველი გახადე შემოქმედება სხვათა სათაყვანოდ. ამიტომ მინდა მრავალი ყვავილი მოგართვა და სიყვარული გაგიზიარო გულში ნაშობი ანთებულ კელაპტრად, საიდანაც სიკეთის ძალა გამოკრთის უნაზესი ტრფიალებით გამოხატული.

შენზე დიდი ნატვრა ფიქრებში არ გამაჩნია, რადგან გთვლი ცხოვრების მხსნელად და იმედების მომნიჭებლად უსიხარულო დღეებში.დაე, არ მოკლებოდეს შენს სულს ღვთაებრივი ნეტარება და ბედნიერების განცდა მომავლის შესაქმნელად.

***

ერთადერთო ასულო, გულის სიცოცხლეში და განუმეორებელო სულის სიხარულში, რომელსაც შენსკენ სურს გამოქროლვა სიკეთის თაიგულების მოსატანად. ამიტომ იღლებიან ბაგეები ღვთისადმი ვედრებით, რათა მალე გავხდე ღირსი ნამდვილი სიყვარულისა და მხილველი სანატრელი არსებისა. ასე მიდიან დღეები ოცნებებით აფერადებული და უნაზესი თვალების ფენით გამშვენიერებული.

იქნებ მიმიხვდე ჩემს აღტკინებას და გამიგო ეულს. სრულიად არავინ მყავს, ვისაც ვაჩუქებდი მრავალ წერილს და ვუძღვნიდი ლექსებს პატივისცემის ნიშნად. მხოლოდ შენ იყავი, ხარ და იქნები შემოქმედებაში ბრწყინვალე ბრილიანტად წარმოდგენილი.

***

თვალებმზიანო გოგონა, ჩემგან დაშორებულო მრავალი კილომეტრის მანძილზე, რომლის გადაფარვას მხოლოდ ოცნების ფარდით ვცდილობ, თორემ სხვა ყოველივე საშუალება წართმეული მაქვს და ამიტომ მწუხარებაში ვიშვები. რომ არ ყოფილიყო სიყვარულის უხილავი ძალის ალერსი არასოდეს გავხდებოდი პატრიოტი შენი უმანკოებისადმი, მაგრამ არსებობს და იარსებებს კვლავ სიცოცხლის ბოლომდე განდიდებულად.

ძვირფასო, მინდა სიხარული და ბედნიერება ერთად შეკრული ვარდებივით გაჩუქო და სინაზე შევძინო ამით ჩვენს ურთიერთობას. მარტო უპასუხობა მთრგუნავს ძალიან და მაღელვებს მდინარესავით, რომელიც გადაუღებელი წვიმის გამო, აპირებს გადმოვიდეს კალაპოტიდან და წალეკოს ირგვლივ ყოველივე.

***

გაზაფხულის ფერებით შემოსილი მშვენიერება ხარ და ასე მარადის მომხიბვლელი უცნობის გულისა, რომლის ფეთქვას სიყვარული აგრძელებინებს მხოლოდ, თორემ სხვა ყველაფერი უძლური იქნებოდა. ამიტომ ზღვარგადასულად მინდა ვიგრძნო, ძალიან ახლოს შენი თვალებისა და თითების ალერსი ბაგეებით დამატკბობელი სიმღერის ქროლვაში.

ალბათ დიდია ჩემი ნატვრა და აუსრულებელი, მაგრამ სიცოცხლის ბოლომდე ვიქნები შენდამი პატივისცემით აღვსებული და სიკეთის მსურველი.

***

როგორ ხარ, სინატიფეო, ასე დიდი ხნით წასული სხვა მხარეში? ნუთუ არ გენატრება სამშობლო, რომლიდანაც წარმოდგები, მაშინ ჩამოდი და გამიხარე გული უშენობით სევდიანი. დამატკბე ლამაზი ხმით და შთამაგონე მრავალი ლექსი სიყვარულით გარითმული.

ალბათ მითანაგრძნობ გამხელილ ოცნებაში და ანგელოზივით გამომეცხადები უთეთრეს კაბაში გამოწყობილი და ჩემს ცხოვრებას ყველაზე ბედნიერს აქცევ გაბრწყინებულ მზესავით.

***

მაინტერესებს, შენი ნაზი გულის მდგომარეობა, რომლიდანაც სიყვარულს ველი თეთრი ვარდივით გამშვენიერებულს და სურნელებაში განდიდებულს. იქნებ მომწერო ოდესმე რამე და უფრო მეტად გააკეთილშობილო ასე მივიწყებული ცხოვრება იმ ბილიკზე, სადაც შენ ტრფობის პირველი კვალი დაამჩნიე წარუშლელად და ლოცვა-ვედრებად აღმანთე მომავალი ურთიერთობის დასამყარებლად ცხოვრებაში.

***

გაზაფხულის ასულო, როგორ ხარ, შენს სიმღერებთან ერთად მიმოფენილი უტურფეს მხარეს? ალბათ ძალიან კარგად იქნები, რადგან გულში უმანკო სახეზე ვლოცულობ და ვედრებით თვალები მაქვს მიპყრობილი ზეცის თაღებისაკენ შენთვის სიკეთის მოსანიჭებლად.

მშვენიერებავ ოცნების ფერისა, მინდა სიყვარულში გაზიარო უტკბილესი სიტყვებით და ასე დაგაახლოვო მიტოვებულ სულთან, რომელიც შენს ერთადერთობას მთელს დედამიწაზე აღიარებს. გთხოვ, მიიღო მისი დაუოკებელი სწრაფვა სინაზისადმი და სიხარული აგრძნობინო თითების ხლებით.

***

მინდა ყოველთვის კარგად იყო და იცოცხლო დიდხანს, აუხდენელო ლამაზო ოცნებავ. მხოლოდ შენმა მონატრებამ აღმიძრა სურვილი გულში მომეწერა წერილი და მომეხსენებინა უნაზესობა სტრიქონებში, როგორც ერთადერთი ლამპარი სიყვარულისთვის დანთებული.

უსაზღვრო ფიქრებში ჩუმად საუბრებმა შემასწავლა, თუ რა არის ნამდვილი გრძნობა შენდამი დაბადებული და ზეცის კიდეებამდე აიყვანა თითქოს სული. ამიტომ გეძახი შორიდან ხალისით, რომ გამაგონო ხმა მგალობელი ცხოვრების მიტოვებულ ნაპირებზე.

***

ბრწყინვალებავ გულის იმედისა და დიდო რწმენავ სულის არსებობისა, რომელიც შენზე ოცნებაშია დავანებული.მინდა სიკეთით მოგიკითხო და ასე უხილავად მოგეფერო სიტყვათა ყვავილებიდან უკანასკნელ ამოსუნთქვამდე. მაგრამ ყველაფერში სიმარტოვე მახლავს და მაკარგვინებს ახალგაზრდობის იშვიათ დროს ცხოვრების გზაზე. ალბათ ასე გაგრძელდება კვლავ თუ არ გამოჩნდები პოეტურ სინამდვილეში.

ძვირფასო, მინდა გისურვო უმანკო და წმინდა სიყვარული, ვის მიმართაც სულში მოგევლინება თეთრპერანგიანი ანგელოზის ტკბილი გალობით და ყოველივე სიკეთეს განგაცდევინებს შენი ლამაზი ცხოვრების ბილიკებზე, რაც ჭეშმარიტად გაქცევს ბედნიერ არსებად მრავალთა შორის.

***

ჩემო ნანატრო უმშვენიერესო გოგონა, როგორ ხარ, მტრედივით გადაფრენილო, სიშორეში? მინდა თავი გაგახსენო გაზაფხულის ყვავილებივით და სიტყვათა სურნელებაში სიამე განგაცდევინო, გამოხატული უნაზესი ფიქრებით.

მხოლოდ შენთვის შეირხა კალამის წვერი და უპირველეს ხატებად გაქცია ლამაზ წარმოსახვებში, რაც იშვიათი მოვლენაა პოეტის სამყაროში. ამიტომ, დამრთე ნება, უფრო მეტად შეგიტკბო და შევივსო სიცარიელე მარტოობით გაჩენილი. დაე, თვით გახდი გულწრფელი შემფასებელი ნათელი სიყვარულისა.

***

ჩემო სათნოებავ და სიწმინდევ, ლამაზ ფიქრებში, რომლებსაც წარმოქმნი საუცხოო სინაზის გამოვლინებით მრავალ ფურცელზე პოეტური ხიბლის დროს. მინდა მოკითხვით მოგეფერო და გულს ამითაც დიდი ბედნიერება მივანიჭო, რადგან ძალიან შემოგტრფის ყოველივე შეგრძნებით აღმატებაში.

ალბათ შემიმსუბუქებ დამტანჯველ სევდას სინამდვილეში და ათრთოლებულ მკერდზე მალამოსავით დამაფენ მაკურნებელ თეთრ თითებს.

***

ჩემი ცხოვრების ნათელო ფერო და გულში სიყვარულის დამქარგველო, რომელიც ვერავის გრძნობს შენს გარდა.

ამიტომ მრავალ მოკითხვას გიგზავნი ყვავილებად აფერადებულს და სურნელებით გაკეთილშობილებულს. ფიქრებში ჩურჩულით გიყვები მომხიბლველ ზღაპარს და ამბორით გაცილებ მახსოვრობის ლანდს სინაზით მოფრენილს.

სულ მინდოდა გამოჩენილიყო ისეთი ვინმე, ვინც ზღვასავით ამაღელვებდა, რათა ტრფობის ტალღებად გადავფენოდი უთეთრეს ფურცლებს მშვენიერების დასაუფლებლად. დაე, დიდება შენს გამოჩენას.

***

საალერსო არსებავ, სულის სიცოცხლისათვის და გულის სიამისათვის. მინდა გაზაფხულის იასამანივით ხარობდე ყოველთვის და ასე მშვენიერდებოდე სიყვარულის ფრთების უნაზეს სინარნარეში.

ვიცი, ჩემი ოცნება ძნელად ასასრულებელია, მაგრამ მაინც განუშორებელია ჩემთვის. სწორედ ამიტომ მიუფლებს სევდა უიმედობის და საკუთარი თავის განსჯაში ილევიან დღეები ახალგაზრდობის. თუ გახდები ჩემი გრძნობების საფარველი, მაშინ აღარ შემცივდება, არამედ სითბო დაივანებს მზის სადარი.

***

თვალთწარმტაცო, როგორ ელვარებს შორეულ მხარეს შენი ულამაზესი თმები, რომლის ტალღებში ნიავივით თავის ჩარგვა მსურს და ასე სუნთქვა იასამნების მსგავსად სულის ზეობისათვის. ალბათ არ გამოიჩენ სიმკაცრეს მოკითხვის გამო და სიხარულს გამოხატავ წერილში გედივით მონავარდე სიტყვების მიმართ.ყოველ შემთხვევაში, იმედი მაქვს და იმედი გამიმართლებს, მაშინ როცა უნაზესი ბაგეებით სიკეთით უპასუხებ აღტკინებული პოეტის ნატვრას.

მენანება, დავკარგო სიყვარული გრძნობით ნაშობი და მარტო გულის მახსოვრობით ვცხოვრობდე დედამიწაზე. დაე,

სიწმინდე მოწმობდეს ყველაფერს ჩემს ნათქვამს, თუ ოდესმე ავნებ ეჭვით ანგელოზის სახეს.

***

როგორ იმყოფები, უნაზესად გაშლილო ვარდო, ნანატრ ადგილზე? სადაც ძალიან მსურს მოვიდე და სიყვარულით გიგალობო ყოველივე სიკეთისათვის და ამით სულს სიცოცხლე მივანიჭო შენი სურნელებიდან მოფრქვეულს.

ალბათ სხვა ოცნება უბრალო იქნება გულში გამკრთალი, გარდა ერთისა, რომლის ცისფერი არშიები მოფერებით გევლებიან უთეთრეს სხეულზე და უხილავად მეგობრობას გთავაზობენ. გთხოვ, დამორჩილდი ტრფიალების ტყვეობას შორეულ მხარეში მოფარფატე ასულო.

***

შენი გული კეთილშობილებით მთრთოლვარეა და მარგალიტის თვლებით შემკული ღირსებით, რომლის სინათლეც სახეზე გაქვს სილამაზით გამოხატული. სწორედ ამიტომ ჩემში ქმნი ლტოლვას სიყვარულისა და მამყოფებ ასე გრძნობათა ტბაში, სადაც უსაშველო სიმატროვეა, ხოლო საშველი შეიძლება მოინახოს თუ მოხვალ, მის ნაპირზე გაჩერებულ ნავში ჩაჯდები, სიღრმისკენ მოუსვამ ნიჩბებს და მოცურდები განსაცვიფრებლად იმედის უხილავ ხიდთან.

მინდა შენი თითები პიანინოს კლავიშების მსგავსად დამაწყო სხეულზე და სიხარულით ამახმიანო სინამდვილეში ნაზი სიმღერის შეთანაწყობით. დაე, შეგესმინოს ნატვრა მნატვრელისა.

***

საუცხოო ასულო ოცნების ბრწყინვალებაში, როგორ იმყოფები სიამევ გულის ფიქრებისა და სიხარულო სულის საზრდოებისა, რომელიც ძალიან განიცდის უშენობას და ამიტომ

გწერ წერილებს, რათა არ დაივიწყო მისი სიწრფელე შენდამი გადაშლილი ყვავილებივით. იქნებ დრო შეიცვალოს სხვაგვარად და მიპასუხო სიკეთით გადაღლილ მწერალს.

გაზაფხული ხომ შენი სილამაზით დაიწყო და აფერადდა სიყვარულის დამატკბობელი ხილვებით. დაე, მამკობდეს ასეთი ხილვა ყოველთვის, ოღონდ არასიზმრისეული, არამედ ნაცხადევი ჰანგებით შესრულებული.

***

ჩემი ოცნებების მშვენიერო სასახლევ და ზედ თეთრად გადმოფენილო ალამო, რომლის ტრფიალებით შრიალს სული გრძნობს და გული ეალერსება უხმოდ. ამიტომ მინდა გწერო დაუსრულებლად წერილები და ჩემში დავანებული სევდა სიხარულად გადავაქციო ცხოვრების გზაზე. იქნებ საბოლოოდ შემოვირიგო დამათრობელი ბაგეები და თვალების უმანკოება თილისმად გავიყოლო ყოველგვარი განსაცდელის ასარიდებლად.

ღამეული სიზმრები შენზე არ მასვენებენ და უფრო მეტად მაიძულებენ შეხვედრას დაუვიწყარ ადგილზე, მაგრამ თანხმობა სიცოცხლესავით მაკლია. მაშინ შემივსე დანაკლისი და მითხარი რამე, თუნდაც უარი.

***

გაზაფხულის უნაზესი კვირტი ხარ, რომლის აღმოცენება ჩემთვის სასიხარულოა და ბედნიერების მომგვრელი უიმედობაში. ამიტომ მინდა საალერსო სიტყვებით თეთრი ყვავილის ფურცლებად გაგამშვენიერო და ასე ავისრულო ნატვრა გულში წარმოქმნილი ფიქრების კალაპოტიდან, უშენობით გამოწვეული სევდა სიზმრებივით გავაქრო ჩემი სასთუმალიდან მხოლოდ მოგონებათა გაბრწყინებით, რაც უხილავი ფრთებით დამიფარავს განშორებისაგან.

ალბათ არ მოიძებნება დედამიწაზე ადგილი აღელვებული

სულის ნეტარებისათვის, რადგან ერთადერთი ედემი გქვია. მაშინ გთხოვ, ცოდვების პატიებით მიმიღო და სიყვარულის ფერებში გამახვიო.

***

ღიმილით დამშვენებულო ფერიავ, როგორ მენატრება შენი ხილვა და უნაზესი ხმის გაგონება სიყვარულის ქიმზე. სწორედ ამიტომ, უხილავად ვატან გაზაფხულის ნიავს მრავალ მოკითხვას და თუ ოდესმე იგრძნობ თმებში ტალღოვან შრიალს.მაშინ იცოდე, ჩემი შორეული ალერსი იქნება სიკეთით მოვლინებული.

ვიცი, არ შემიყვარებ ისე ძალიან, მაგრამ გულში მაინც იარსებებს რწმენა ოცნებებში გასაბრწყინებლად.

***

გილოცავ, ძვირფასო, დაბადების დღეს შენს ლამაზ ცხოვრებაში, რომლის ბრწყინვალება ესოდენ სანატრელია და საოცნებო. მინდა გისურვო სიკეთისა და უმანკოების სხივებით ამაღლებული სიყვარული, რის თანაზიარობასაც ღმერთს შევთხოვ, უმეტეს შესაგრძნობად სიტკბოებაში.

ალბათ სიხარული უსახღვროდ სუფევს შენს გულში და განიჭებს ბედნიერების ტალღების უნაზეს დაფენას თეთრ სახეზე. ვწუხვარ, რომ არ მაქვს საშუალება ღირსი გავხდე შენი ხილვისა,მაგრამ წერილით შემიძლია თამამად გითხრა სადიდებელი სიტყვები ტრფიალებისთვის გადაშლილნი ფურცლების ველზე. დაე, შენს ასაკით ნორჩ ვარდებს შემატებოდეს მრავალი ვარდი და ასე ეშვას შენს სულს მარადიულ სურნელებაში.

***

ფაქიზი ფიქრი ხარ, რომლის გადავერცხლება გულზე სასიამოვნოა და სითბოსმომგვრელი უიმედოდ დარჩენილი

არსებისათვის. ამიტომ დიდად ვაფასებ მტრედებივით მოფრენილ ტრფიალების წამებს და ვცდილობ სიტყვებით ამოქარგო ფურცლებზე მარადისობის თვლებად შემკობილი მშვენიერება.

იქნებ ასეთი უხილავი ურთიერთიბით მაინც დაგამახსოვრდე და არ დაივიწყო ჩემი სიყვარული, გრძნობის თაიგულებად გამოწვდილი, მხოლოდ თეთრი ხელებისათვის.

***

სიყვარულის ლამპარო, რომელიც შორიდან ანათებს თავისი სინაზით და ჩუმად მიხმობს ლამაზი გრძნობების დასაქარგავად, მაგრამ უიმედო სინამდვილე მაიძულებს ოცნებებში მოგიახლოვდე და ასე შევინარჩუნო სანატრელი ურთიერთობა გულის ფიქრებისათვის დამატკბობელი.

იქნებ მარტო წერილების წერა დამყვა ბედად შენთან მიმართებაში, რაც, რა თქმა უნდა, წინასწარ შეუცნობია და ამიტომ მინდა თხოვნა ამისრულო და სხვათათვის მიუწვდომი გახადო ყოველივე, რადგან არ შეგებღალოს მომავალ სატრფოსთან უმწიკვლო ტრფიალება სულში შობილი იასამნების წყებით.

***

სულის ველო, რომლის გადაშლილ სივრცეში თავისუფლად შემიძლია ვინავარდო და ყვავილების მსგავსი სურნელება შევიგრძნო შენი მშვენიერებიდან ნიავად მქროლავი. ამიტომ ვაგრძელებ ცხოვრებას ზღაპრულ ხილვებში და არ მსურს თავის დაღწევა მისი ოქროს ფურცლებიდან, ვიდრე ბოლომდე არ შეიქმნება წიგნი ორი არსების შეერთებით განაზებული.

იქნებ თქმულმა სიტყვებმა ფასეულობა შესძინოს შენი გულის ფიქრებს წაკითხვის დროს და გაიძულონ კალამი აიღო ხელში თეთრი თითების ბრწყინვალებით საპასუხო წერილის მოსაწერად.

***

სულის გამაოქროვებელო ღვთაებავ, სიმარტოვის ლაბირინთებში და სინათლის მომნიჭებელო იმ ბილიკზე, რომელსაც შენსკენ მომავალი სიყვარული ჰქვია. სწორედ ამიტომ მახალისებს ყოველი სიტყვა მიძღვნილი მშვენიერებისადმი და მამყოფებს ფერად ოცნებებში საამბორებლად უნაზესი ფრთებისათვის.

ძალიან მინდა მომიფრინდე ახლოს და ერთად გავიაროთ ცხოვრებისეული საფეხურები საბოლოო სიკეთის გვირგვინების შესაქმნელად, რაც დიდი პატივი იქნება ორი არსების მისაღებად ზეცის უმანკოებაში.

***

ხმათა მშვენიერებაო, რომლის ამაღელვებელი ტალღები უხილავად ჩაედინებიან გულის სიღრმეში და მავსებენ სიხარულით სევდის გასაქარვებლად ქვეყნიერებაზე. ამიტომ არ შეიძლება შენით შეგრძნობილი სიყვარული უპასუხოდ დავტოვო და გავიმეტო დავიწყებისათვის, არამედ, პირიქით, მინდა ჩაფიქრებული ნატვრა ამიხდეს სიკეთის ფრთებით ატაცებული ზეცის სილურჯეში და ასე განწმენდილი დამიბრუნდეს საბოლოოდ, რაც ბრწყინვალე მომავლის შარავანდედად გადაიშლება ჩვენ შორის.

***

გედის სინაზეო, რომლის სითეთრეში და სიმღერებში იგრძნობა დიდი სიყვარული მშვენიერებისადმი აღვლენილი. ამიტომ მინდა სიმარტოვე შეგივსო შემოერთებით და ახლოს გაგიმხილო გულში წარმოქმნილი ფიქრები შენსკენ მზირალი. თუ რა თქმა უნდა სხვაგან არ გასივრცდები და მიმიღებ სიხარულით ოცნების ტბაზე სანავარდოდ, მაგრამ ყოველივე ხომ სიტყვებია და დროის ქიმერა ძლიერ მგზნებარე, რისი დამარცხებაც სინამდვილით შეიძლება, ხოლო ეს სინამდვილე კი შენ ხარ.

***

სულიერებაო, რომლის უხილავი საფარველით დაიძლია ცხოვრებისეული სევდა, ოღონდ არა უშენობით გამოწვეული. ამიტომ მინდა სადმე შემომეგებო და ეს უკანასკნელიც თოვლივით დავადნო ულამაზეს თვალთა ბრწყინვალებით.

მე გრძნობებისგან მოცელილი ყვავილი მქვია ოცნების მიტოვებულ ბილიკზე და გიცდი, როდის ამიღებ ხელში სიყვარულის მშვიდ ტაძარში შემამკობელი სურნელების დასაღვრელად.

***

თეთრო იალქანო, რომლის მიმოსვლა გულის ფიქრებში სინაზეა და ერთადერთი ოცნება. ამიტომ მინდა მონატრების სიტყვებით შორეულად მოგეფერო და ასე შევიგრძნო შენი მშვენიერება დაუსრულებლად, ვიდრე სიცოცხლე გავარდისფერდება ცის ქიმებში.

] დრო ახლა თავისი ნისლიანი ფრთებით მიფარავს უმანკო სახეს, მაგრამ წმინდა სიყვარულის სხივებით გავფანტავ ყოველივეს და ჩამოშვებულ ფარდებს იქით დედოფლად გიხილავ სინამდვილეში.

***

ყელმოღერებულო მშვენიერებაო, ვით ვარდო ცისკრის, რომლის ხილვა ყოველთვის გამაკეთლშობილებელია და საუცხოოდ მყოფელი სიცოცხლის გასაგრძელებლად, თუნდაც ერთი წამით. ამიტომ მინდა სწორედ ეს წამიერება იქცეს ჩვენი შეხვედრიდან მარადიული სიყვარულის შემამკობელ გვირგვინად.

იქნებ უნაზესად მფეთქავმა გულმა გაიზიაროს გრძნობით აფერადებული წერილები და აღიძრას მათდამი შემწყნარებლობით, რაც სიხარულში გაელვებულ ოცნებას უსაზღვროებას მიანიჭებს.

***

როგორ იმყოფები თეთრ ღრუბლად განავებულო მშვენებავ, რომლის ქროლვა ოცნების სილურჯეში ამაღლებულია და მიუღწეველი. სწორედ ამიტომ მინდა ცხოვრებისეული გზები წარმატებებით ავაყვავილო და ყოველივე ამის შემდეგ ჩუმად მოგიხმო სიყვარულის ულამაზეს პეიზაჟებში სანავარდოდ. იქნებ თვალთა სიანკარე მიაპყრო წერილებში ახმიანებულ სიტყვებს და მათ დაუცხრომელ მღელვარებას უპასუხო უსაზღვრო ტრფიალებით.

***

სახეზე წარბები თაღებად გადაგშლია, წამწამები ურიცხვ ვარსკვლავებად, ხოლო თვალები ცაში მონავარდე ფრინველებად. სწორედ ამიტომ, ძნელია ძალიან უცქირო უბრალოდ და არ განიმსჭვალო მათდამი პატივისცემით, თუნდაც შორეულად.

იქნებ ლამაზად დაწყებული რომანი ზღვაში ჩამავალ მზეს დაემსგავსოს, უკანასკნელი ტრფობის სხივებს გულში შევინახავ და ასე გავთბები, როდესაც მომაგონდება ყოველივე.

***

ნათელი დღე ხარ, რომლის დაწყება და დასრულება შენზე ფიქრებითაა გამშვენიერებული.სწორედ ამიტომ სიყვარულის და ნეტარების ქროლვა გულის გრძნობებს ფურცლებად შლის და ყოველი გვერდი იწერება მონატრების უნაზესი წამებიდან. მაგრამ ძვირფასო, მიუხედავად ამისა, შორს ხარ და არ შემიძლია დავამყარო ურთიერთობა სინამდვილეში სიმარტოვის განსაქარვებლად.იქნებ ჩამოხვიდე ერთხელ და წამყვე ისეთ ადგილზე, სადაც მუზებს მიეცემათ საშუალება, მტრედებად დაგეფინონ უმანკო სულში.

***

თეთრი ჩანჩქერის მდინარება ხარ გულის კალაპოტში, რომლის უნაზეს კედლებს გრძნობათა შხეფებს ასხურებ, ვით აიაზმას და ასე ალამაზებ. ამიტომ მინდა თავდავიწყება შემოგთავაზო სიყვარულის გადაშლილ ფიანდაზზე და დაუსრულებელი ალერსი შეხვედრიდან სიცოცხლის ბოლომდე. თუ უარს არ მეტყვი, შეგიძლია დარწმუნდე წარმოთქმულ სიტყვათა პატიოსნებაში. მხოლოდ დროის ქარი აპირებს დამინგრიოს ცხოვრების გზა და დაპირება ახლოსაა ძალიან. იქნებ მალე მოხვიდე და ერთად ყოფნის ბედნიერებით შევაჩეროთ ყოველივე.

***

ჩემო ლამაზო სარკეო, რომელში ცქერითაც მსგავსებას ვპოულობ ორ არსებას შორის და სიხარულით ვივსები.ამიტომ არის, რომ ვერ განებებ თავს და უფრო მეტად მინდება გაგიზიარო ფიქრები ფურცლებს იქითაც. მაგრამ ყველაფერში უიმედობის პოვნამ დამღალა და შენთან მოსასვლელი გზები ნისლებით გადამიფარა.

ალბათ შეიძლებ მოწყალე გულიდან ჩემს გამართლებას და გამართლებულს მომანიჭებ თავისუფლებას სიყვარულთან ერთად.

***

ალუბლის უნაზესო რტოო, რომლის აყვავილებას სიყვარულის გრძნობა ესაჭიროება და უფრო მეტად გამშვენიერება. მინდა ასეთი დრო გამოგიცხადო ფურცლებზე და ვიქცე შენი უმანკო ცხოვრების მოზეიმე მხატვრად თუ რა თქმა უნდა, მომანდობ ყოველივეს, შემწირველი ვიქნები მსხვერპლად მრავალი მადლობის ლამაზი პერანგის კალთებზე მოახლოებისას. ალბათ, შემდგომ ამისა, აღარ იარსებებს სხვა მიზეზი გულში და ერთად ყოფნის სურვილით აღინთები სანთლის მსგავსად.

***

ჩემო ლურჯო ცაო, რომელიც ზემოდან დამყურებს ლამაზად და ფიქრებს თეთრ ღრუბლებად წარმოქმნის შენს უსაზღვრო სივრცეებში, მაგრამ არ მინდა როდისმე წვიმამ შეუმშრალებლად დაასველოს გრძნობები და ყველაფერი ჩაბარდეს წარსულის ხილვებს. სწორედ ამიტომ სულის დაქროლვით გაფანტე ღრუბლები შორს და თვალების ბრწყინვალება მიაპყარი მშვიდობისმყოფელ არსებას.

***

გაზაფხულის სინატიფე ხარ, რომლის მომხიბვლელობა და განუმეორებლობა შემოქმედის ხელით განიზომება სხვათა გამაოგნებლად. ამიტომ, ძნელი წარმოსადგენია ფიქრებისათვის დასრულება ყველაფრის, რასაც თან ახლავს გრძნობა სიყვარულისთვის ამეტყველებული და გაცოცხლებული სისპეტაკით. მინდა ჩემი სული შეაფრინო შენი გულის უსაზღვროებაში და ტკბობით აამღერო უნაზესი ფეთქვის ხმაზე ბედნიერებაში გად
ასაფენად.

***

ჩემი ბედნიერების დამქარგველო შენსკენ მომავალ გზებზე და ასე მაცოცხლებელო კეთილშობილებაო, რომლის აღმატებული ძალა მზის სხივებად იღვრებიან გულის სურვილებში.ამიტომ ყოველ ცისკარზე ნამივით ითრთვილება უნაზესი გრძნობა სიყვარულისთვის დაბადებული და უხილავად შემაერთებელი ორი არსებისა ოცნებათა ხატოვანებაში.

ძალიან დავიღალე სევდით და მწუხარებით, მაგრამ დაღლაში უდიდესი ნეტარებაცაა, როდესაც ვინმეს ეტრფი.

***

როგორ ხარ, სიმღერებში მონავარდე ასულო, ვით გედი ტბის სივრცეებში გამშვენიერებული და უხილავად მავედრებელი ზეცისკენ, ყოველივე სიკეთის დასაფენად სიყვარულის გზაზე. მინდა ჩემი სურვილები შენი გულის ფიქრებს დავამთხვიო და ასე ერთად უნატიფესი გავხადოთ მომავალი შეხვედრა საუცხოო ადგილზე. ალბათ მერე აღარ გექნება დრო სხვა ოცნებისა, რადგან მომხიბვლელი სიტყვების თეთრ ნისლში გაგახვევ და დაგაძინებ ტკბილ სიზმრებში.

***

როგორ იმყოფები ცხოვრებაში. ძალიან მინდა ვიცოდე, თუმცა ამის ბედნიერება არა მაქვს, მაგრამ ყოველივე სიკეთისათვის იქნებ დამდო პატივი და ჩამოქნილი ხელებით კალამი აიღო წერილის მოსაწერად და გულის ოცნება გამიმხილო მოტრფიალე პოეტს წამიერი თავდავიწყების განსაცდელად.

შენი ცრემლები ვარდების ნამია ცისკარზე დაღვრილი, თვალების მშვენიერება მზის სხივებია დამათბობელი, ხოლო სუნთქვა ნაზი ნიავი შორეული მხრიდან მოვლინებული ჩემს სარკმელთან.

***

გამარჯობა, ცისკარო, რომლის მშვენიერება მხოლოდ სიცოცხლის გაგრძელებაში და სიყვარულის მარადიულ ტკბობაში მდგომარეობს. მინდა მოგიალერსო თბილი მოკითხვით და გისურვო სინაზე ცხოვრებაში, რაც თავისთავად მომანიჭებს ბედნიერებას.

იქნებ, არ გახალისებს ზღვარგადასულობა წერილებში, მითუმეტეს, უცხო არსებისა, მაშინ დაუსვი ზღვარი ჩემს ოცნებას და თანხმობით მოფინე ბრწყინვალება მომავალ ურთიერთობას.

***

სულის ვაზი ხარ, რომლის სინატიფე ძალიან მანცვიფრებს და რწმენას მიცოცხლებს ცხოვრებაში. ალბათ ამიტომ მიგიღე ყველაზე ახლობლად და ვიქეცი მღაღადებელ არსებად სიყვარულის განსაცდელად გრძნობათა მდინარებაში. თუ რა თქმა უნდა, უბედობა არ დამჩრდილავს და ბედნიერება გამიცისკროვნებს ტრფობას ვნების უკიდეგანო ველებზე შევძლებ აღვასრულო კეთილი მისია გულში ჩაფიქრებული.

თითქოს ჩემმა ოცნებამ ფრთები შეისხა და გამოფრინდა შორეულ გზაზე, რათა უნაზესად აგიტაცოს ცაში ერთმანეთის სახილველად.

***

გაზაფხულის დედოფალო, რომელსაც გრძნობს გულის სიმები და ამღერებაში წარმოქმნიან სიყვარულის ცრემლებს სიტყვებით გამოხატულს მრავალ ფურცელზე. სწორედ ამიტომ მახალისებს ყოველი დღე, რადგან ფიქრები შენზე ოცნებით მინათებენ ცხოვრების დამღლელ გზას და მიადვილებენ მარტოობას, სულში ქარივით შემოჭრილს. ეს დიდი ნუგეშია, მაგრამ არა ჭეშმარიტების ტოლფასი. ჭეშმარიტება მხოლოდ ერთადერთობაა სატრფოს მოსვლით შეცნობილი და განაზებული ყვავილების დაფენით.

***

როგორ ხარ, დიადემათა მშვენიერებაო და ბრილიანტების ბრწყინვალებაო, ქვეყანას მოვლენილი ოცნებების გასანაზებლად გულის ფიქრებში. დარწმუნებული ვარ, კარგად იქნები და მომწიფებული სიყვარულის შესაცნობად. სწორედ ამიტომ გთავაზობ სიყვარულს სასახლესავით, რათა მის ურიცხვ დარბაზებში თეთრ დედოფლად დაიარებოდე და სიმღერებით ატკბობდე დამკვიდრებულ სიცარიელეს, მაშინ ხომ ტანჯვა დასრულდებოდა შენგან წარმოქმნილი და სიხარული

იზეიმებდა.

ნუთუ ყოველივე ამის შემდეგ არ გენდომება გახდე კეთილისმყოფელი და შვებისმომგვრელი უცხო პოეტის ცხოვრებაში.

***

ჩემი დაუვიწყარი სიყვარული ხარ, რომლის უხილავი ხელები სინაზით მეალერსებიან და მიწვევენ სიშორეში,სადაც იმყოფება შენი მშვენიერება ხმათა ხავერდოვანებით ამაღელვებელი. ალბათ არ შეგაწუხებს ასეთი მოკითხვა და ღიმილს მზის სხივებად დააფრქვევ წაკითხვის დროს წერილის სტრიქონებში დაწერილ სიტყვებს. მართალია, სასიხარულო იქნება ყოველივე სიკეთის გამოვლინება, მაგრამ სინამდვილეში რა გადაწყვეტილებას მიიღებს გული გრძნობების საპასუხოდ უფრო დამაინტერესებელი. უმორჩილესად გთხოვ, ნუ დამღლი ლოდინით, არამედ დამასვენე სამუდამოდ თეთრი პერანგის კალთებზე.

***

ჩემო ფიქრთა სამკაულო, რომლის სინატიფე და მშვენიერება შენგან წარმოიქმნა, ვით სულის შთაბერვა უსიცოხლოსათვის. სიმყუდროვეში გიწვევ სატრფოს ლანდს მუზათა მოსახმობად და ასე შემოფრენილ ფიქრებში სიტყვების გამოსაწრთობად ფურცლების საგრდემლოზე.

ვწუხვარ, სხვა მხრივ არ შემიძლია დავიამო სიმარტოვე და სინამდვილე დავიმორჩილო მქროლავ რაშივით. ვინ იცის, იქნებ ერთხელაც გავხდე მისი მხედარი, მაშინ აუცილებლად გაგიტაცებ შორს, უკან დაუბრუნებლად.

***

გოგონა ხარ სიფრიფანა, ვით ფურცელი მშვენიერი, სტრიქონებით დაწერილი, რომლის წაკითხვით ყველაფერი ნა-

თელი ხდება და საოცნებო. ალბათ ამიტომ წავიკითხე შენი ცხოვრება და შევიცანი პირველ მერცხლად სიყვარულის უმშვიდეს გზაზე, ხოლო ფიქრები გაზაფხულად მოგყვნენ ჩემს სარკმელთან შემოფრენისას.]

გთხოვ, შექმნა საბოლოო ცხოვრებისეული ნავთსაყუდელი ჩემი გულისათვის და ასე ვიმრავლოთ ქვეყანასა ზედა. იქნება გამიგო, ყოველ შემთხვევაში, იმედი მაქვს შენი კეთილშობილებისა.

***

ჩემი სიმშვიდე გქვია, რომლის უნაზესი ნათება სულის წიაღში შემოვიდა და ყველაფერი მშვენიერებად გადააქცია, ხოლო გული ოცნებებში გადაფინა. უფლებას ვიტოვებ, ხელში კალამი ავიღო, მხოლოდ წერილების ზღვარი გავავლო ჩვენს ურთიერთობას შორის და ასე განვიცადო ჰარმონია დაუკმაყოფილებელი, რაც დაკარგული სამართალია ცხოვრების უდაბნოში. დროს თუ დავაბრალებ დანაშაულს, თორემ სხვას ვერაფერს ვხედავ, თვალებით განაჩენი გამოვუტანო ახალგაზრდობის გადასახედიდან. მიუხედავად სირთულეებისა, მაინც იმედის სხივი კრთის, დაშორებული განუშორებელ ვარკვლავად გაქციო.

***

როგორ ხარ, ჩემო სრულყოფილებავ, რომლის მიმსგავსება მსურს არამარტო არსებით, არამედ ცხოვრებითაც და მომავალი დღე მოლოდინია ამისათვის. ახლოს, რომ იყო, ადვილად მივაღწევდი ყოველივეს მშვენიერი დასასრულით, მაგრამ შორეულობა საძნელოა გულისათვის და დამასევდიანებელი.ეჭვს გრიგალივით აძლიერებს და ცდილობს შენდამი გრძნობები გამინელოს სამუდამო მივიწყებისათვის.

ალბათ დროს ისევ და ისევ კალამის წვერით შევებრძოლები და სიტყვათა არმიას შევასევ დასამარცხებლად ფურცლე-

ბის მიდამოებზე და თუ ოდესმე გავიმარჯვებ, ღირსშესანიშ-ნავ თარიღს ოქროს ასოებით ამოვტვიფრავ მახსოვრობაში.

***

ჩემო დაუსრულებელო სივრცეო, რომელშიც შევსულვარ მხოლოდ სიყვარულისთვის და სხვა არაფერი მისურვებია დამაშვრალს უამინდობით. მართალია, ამაზე მეტი რა სურ-ვილი უნდა გამჩენოდა, მაგრამ ხომ შეიძლება ფარული ანგა-რება მამოძრავებდეს საცდუნებლად ლამაზი სულისათვის და სიცრუეში ცხოვრების გასამწარებლად. გთხოვ, შენს ნათელ ფიქრებში აღმიქვა წერილებში წარმოდგენილ არსებად, რაც ვიმედოვნებ, საკმარისი იქნება სიკეთეში და მშვენიერებაში აღესრულოს ყოველივე.

***

ჩემო გრძნობათა ფოთლებო, რომლებიც სულის ქროლ-ვიდან გამოწვეულ ერთმანეთთან შეხებით მუსიკალურად აჟ-ღერებენ შენს უნაზეს სახელს და მახსენებენ ყოველი წამი დავთმო სიყვარულისათვის, რადგან ცხოვრება ასე შეიძლება იყოს მშვენიერი და დაუვიწყარი ბეწვის ხიდზე. გამომდინარე აქედან, ძნელი იქნება ავირჩიო გზა ისეთი, რაც დამაცილებს მთავართა შორის მთავარს,სატრფოს სახებას.

***

როგორ ხარ, ჩემო კალამო, რომლის მელანი შენი სილამა-ზით იღვრება და სიტკბოებას ტოვებს ვნებასაყოლილ ფურც-ლებზე. დაე, ყოველთვის დარჩება ერთგულ მეგობრად იქამ-დე, ვიდრე ფიქრებში არ გაივლებ სიყვარულის გრძნობას და არ შემოგაბრუნებ ნაზი თვალებით მწერლის ცხოვრებისაკენ, სადაც დღეების სასოება განსაზღვრულია მხოლოდ ოცნება-თა ფრთების აშრიალებაში. გთხოვ, დამითმო დრო სიმღერის მსგავსად და მაარსებო რეალურობაში.

***

ჩემო ტალღაო, რომლის გადალურჯება გულის გრძნობებში საუცხოო მღელვარებაა და დაუსაბამო ლტოლვა შენი მშვენიერებისადმი. შეუბრალებლობა იქნება თუ ყოველ ჩემს სიტყვას მნიშვნელობას დაუკარგავ და ქარს გაატან სიშორეში. გთხოვ, ამას ნურასოდეს აღასრულებს თეთრი თითები და თუ აღასრულებს მკაცრ სამსჯავროს, მაშინ ფიქრებში მოუხმე სიკეთის სხივებს და დაინახავ, რომ მხოლოდ სინამდვილის სამოსლით ვარ განათებული და ამეტყველებული.

***

ჩემო ლოდინო, რომლის დასასრული მხოლოდ შენი ჩამოსვლით მოხდება და დასაწყისი შეხვედრის დროს სიყვარულით გამშვენიერდება. ყოველი დღე იფარება ოცნების თეთრი საბნით და გულში მიტოვებს საოცარ სახეს, მზის სხივებად არეკლილს სიშორეში. ამაზე მეტი ბედნიერება არ არსებობს სიცოცხლისთვის, რადგან ვინარჩუნებ უნაზეს გრძნობას სხვათათვის გაუმეტებელს.

გთხოვ, დიდებულმა წამიერად გამოიჩინო უბრალოება და კალმის ერთი მოსმით მოქარგო თუ რას ფიქრობ ჩვენს მომავალზე.

***

როგორ ხარ, ჩემო ციურო მანანა, რომლის სიტკბოება ფიქრებს ფრთებით მოაქვთ უხილავად და გულში ღვრიან სიყვარულის მისაღებად. სწორედ ამ სიყვარულს ვეფერები და ვევლები თავს, რათა არავინ გაიტაცოს ფურცლებად დაწერილი და გაიხადოს ხატებად ოცნებათა სასთუმალზე.

იმედია, კეთილგონიერებას გამოიჩენ და თანხმობის პასუხს მოავლენ, რომ იქნები პოეტის ცხოვრებისეული თანამგზავრი, თორემ ნაზი სიცოცხლე შენზე მონატრული, წამებში დასრულდება და არაფერი დარჩება ნაწერების გარდა

***

ჩემო მარინა, რომლის მშვენიერება მავიწყებს სუნთქვასაც კი და მიმაქანებს სიყვარულის უსასრულობაში გასასივრცებლად. ამიტომ შეუძლებელია ყოველივეს თავის დაღწევა და გრძნობათა შემოტევა გულის კედლებთან არაფრად ჩავთვალო, რადგან ცხოვრების პირველი შემთხვევითობა მაიძულებს ამას. ძალიან მინდა გთხოვო, რომ უშენობით დაკარგული დრო ამინაზღაურო შენი დაბრუნებით და ერთად ყოფნის დაპირებით.

***

ჩემი ულამაზესი ლარნაკი ხარ, რომელშიც ფიქრებს ყვავილებად ვაწყობ და ვდგამ საიმედოდ გულის ზედაპირზე სიტკბოების მისაღებად. ძალიან არ მინდა ამ ტრფობაში მოდუნებით, სასტიკი ქარი შემოიჭრას და ლარნაკი ნამსხვრევებად აქციოს, რაც დაუსრულებელ დარდებს შემომიგზნებს ჩემდა დასაფერფლად, ხოლო ეს ნამსხვრევები მოგონებებში იცოცხლებენ, როგორც ერთ დროს არსებული მთლიანი და განუყოფელი ძვირფასი ნივთი.

***

ჩემო ფარშევანგო, რომლის სილამაზე ცაში გადაშლილი ცისარტყელის მსგავსად შემიცვნია და ძალიან შემყვარებია.ამიტომ ახლა, რაც არ უნდა მოხდეს, ვერავინ შეიძლებს ალერსით დამავიწყოს ყველაფერი და სათუთი ამბორით მაქციოს დაპყრობილ პოეტად მუზათა სამყაროში. მაგიდის სიახლოვეს, მაგრამ სწრაფვას თუ შეანელებ სურვილებში და დიდი დროც გავიდა, მხოლოდ სიბერე შემრჩება ხელთ უპასუხობის მოლოდინში.

უფერულ დღეებს შემოდგომის ფოთლებივით გავაცილებ შორს და ოცნებებს შევრჩები მარტო კალმით ხელში მომარჯვებული.

***

როგორ ხარ, ჩემო ფიფქია, რომელსაც ვუხმობ დიდი ხანია წერილებში და ვუმხელ ფარულ სურვილებს თუ რა გააბედ-ნიერებს, უპირველეს ყოვლისა, სევდიან გულს. მართალია ხმის მოწვდენა ვერ შევძელი შენამდე, მაგრამ იმედი მაქვს, ღმერთს მივაწვდენ და შენს თავს მომმადლებს ნუგეშისმცე-მელ არსებად ცხოვრებაში, რაც უდიდესი საჩუქარი იქნება უსაჩუქროდ დარჩენილისათვის.

***

გამარჯობა, ჩემო სიზმარო, რომელშიც მშვენიერებით და-მაძინე ტრფობის სარეცელზე და გამოღვიძებას აღარ მიპირებ თეთრი თითების შეხებით. შეგთხოვ, რაც შეიძლება სწრაფად შემოხვიდე ოთახში და ყოველივე სიკეთე აღასრულო სიყ-ვარულის შესაცნობად. ვფიქრობ, ასე უფრო მეტი შინაარსი ექნება ცხოვრებას, ვიდრე უსასრულო სიზმრისეულ გაგებას. ალბათ იმედი უნდა მქონდეს, რომ წარმოთქმული სიტყვები დაგარწმუნებენ ურწმუნოებაში მყოფს, იწამო ჭეშმარიტება.

***

ჩემი ჭაღარა ხარ, რომლისთვისაც ყოველი დღე, გატარე-ბული სიმარტოვეში, დარდით გამოიხატება და ალბათ თმები სულ გადამითეთრდება თოვლის მსგავსად უსასრულო მოლო-დინში. თუ კი ოდესმე შევხვდებით სადმე ერთმანეთს და ჭაღა-რის გამო თვალებს ამარიდებ, მაშინ აგიხსნი, რომ მთავარი მიზეზი შენ ხარ ამის და იქნები კვლავ, ვიდრე არ გაიზიარებ პოეტის სიტყვებს პატარა გულის ფეთქვაში. გირჩევ ახლავე დაიწყო ფიქრი მომავალ სიყვარულზე და პასუხი მომწერო წინასწარი თავდავიწყების განსაცდელად.

***

ჩემი პეიზაჟი ხარ, რომლის ხატოვანება მხოლოდ გულმა შეიგრძნო წინასწარ და სათუთად გამოჰფინა თავის მუზეუმში. ამიტომ ყოველი ცარიელი დღე ხილვებით ივსება და ვცდილობ ფიქრებით მოვაოქროო, შესანიშნაობის ჩარჩოში ჩავსვა და დავიცვა სიცოცხლის ბოლომდე სხვათა ხელუხლებლად. ნუთუ წარმოთქმული სიტყვების შემდეგ ერთხელ მაინც არ დაგაინტერესებს მწერლის ცხოვრება და არ მოიძევ ტრფილების ნამდვილ მიზეზს მასში.

***

როგორ ხარ, ოქროს თევზო, შორ-შორ მცურავო, რომლის გაბმა ვერ მომიხერხებია ტრფიალების ბადეში, თორემ გულის ყველაზე დიდ სურვილს სიყვარულს მოვთხოვდი ასასრულებლად და უკან აღარ გავუშვებდი ცხოვრების ოკეანეში, სადაც პოვნა რაიმესი ძნელია. ყველაფერი წინ მაქვს და შემიძლია კიდევ გელოდო, თუკი ბედი იქნება ჩემი, აუცილებლად გამოჩნდება.

გთხოვ, ფიქრებში წერილების განმარტებას შეუდგე და ასე გათავისუფლდე თავშეკავებისაგან, რათა გაირკვეს ყველაფერი საბოლოოდ.

***

გამარჯობა, ჩემო უხილავო ქომაგო, რომელიც გაჭირვებისას გულში მბრწყინავ იმედად ჩამესახე და გადამარჩინე ბოჰემისაგან, თორემ რა მოხდებოდა ამღვრეულ დროში. ალბათ ვალის გადახდას ვერასოდეს შევძლებ, მაგრამ მინდა სიტყვების მშვენიერება გამოგაყოლო ცხოვრების გზაზე და ასე დაგატკბო ყოველ წამს პოეტური სინატიფიდან. სათხოვარი კი ერთი მექნება, მოწერილმა წერილებმა თუ მოაღწიეს შენამდე, კეთილად მოეპყარი და შეინახე მალულად სადმე ჯერჯერობით სხვათა წაკითხების გარეშე.

***

როგორ ხარ, ჩემო სიმართლეო, რომლის წარდგენითაც შემიძლია დავარწმუნო ყველა ჩემს ნამდვილ სიყვარულში და თავისუფლად შემოვდგა ფეხი შენს ცხოვრებაში ბედნიერების მოსატანად. მაგრამ, ვიდრე ეს მოხდებოდეს ჯერ თანხმობა მომეცი ბაგეთა მშვენიერებიდან და მერე ორივემ ერთი სურვილიდან ვისუნთქოთ მხოლოდ. ნათელი ფიქრებისა არაფერი მიიჩნიო უბრალოდ და მიუღებლად. პირიქით, მიიღე, როგორც სტუმრები, უდროოდ მოსული და საოცარი მასპინძლობა გაუწიე.

***

ჩემო უმშვიდესო ტბაო, რომელთანაც ღამეულად განმარტოება და ფიქრების გადაშლა დიდი სიამოვნებაა გულისათვის. ამიტომ ყოველთვის გავაგრძელებ ასე მონახულებას, ვიდრე საბოლოოდ არ ჩამთვლი თანასწორად და არ მიჩვენებ უსასრულო სიღრმეს, საიდანაც ამოსულია შენი მშვენიერება ქვეყნიერების დასატკბობად და ხმათა სიწმინდით გასაოცებლად. აბა, სხვა შემთხვევაში დავიტანჯები და უაზრობად გარდაიქმნება ცხოვრება, ახლა რომ არის სიყვარულში მთრთოლვარე.

***

ჩემი გალავანი ხარ, რომელიც გულში გავავლე სხვა მშვენიერებათა თავდასაცავად და მოსარიდებლად, თორემ ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა, დაპყრობილი არ ვყოფილიყავი აქამდე. გთხოვ, გამონაკლისი დაუშვა შენს ლამაზ ცხოვრებაში, გრძნობები იშვილო და დედობა გაუწიო სიყვარულში, რაც უზადო აღზრდით გაადვილებს ერთად ყოფნას სამომავლოდ. თუ ჩემი ზრახვები უკმაყოფილებას მოგგვრიან, მაშინ ძვირფასო, პატიება შეიძელი და დავიწყებას მიეცი ყოველივე.

***

ჩემი სიყვარულის ჩუქურთმაო, რომლითაც თავს ვიწონებ და ასეთ მოწონებაში მხოლოდ სიფაქიზე მდგომარეობს სხვათა აღტაცებაში მოსაყვანად. თუმცა არ ვიცი, პირველად საიდან დაიწყო ყოველივე და რითი დამთავრდება საბოლოოდ. მინდა ახალგაზრდობის დღეებიდან ისრად გამოსროლილ გრძნობებს გული შევაგებო და შუაზე გადავასერინო შეუბრალებლად, რათა შემდგომ შენს მაკურნებელ ხელებს გამორჩეულად შევაერთებინო.

***

ჩემი კარაბადინი ხარ, რომელშიც ესოდენ საჭირო უებარ წამალს მივაგენი და ძალიან მინდა მიღების დრო გამომიცხადო ყველაფრის სისრულეში მოსაყვანად. თორემ განმარტოებულმა შეიძლება დიდი შეცდომა დავუშვა და შემდეგ ვერავინ გამომიყვანოს მწუხარებიდან. ამიტომ მწამს შენი კეთილშობილების სხვებზე მეტად და მჯერა დაყოვნების გარეშე ფიქრებს გაწმენდ გულის ემბაზში, რათა სიადვილეში გადაწყვიტო გადაუჭრელი პრობლემა და ენით აღუწერელი სიხარული განაცდევინო სნეულ პოეტს სასთუმალთან.

***

ჩემი დვრიტა ხარ, რომლის ძალა სიცოცხლეს მაძლებინებს ქვეყანაზე და გულისკარებთან უხილავად მოაქვს სიხარულით სავსე კალათა. ამიტომ ყოველთვის ვიღებ ასეთ ფასდაუდებელ საჩუქარს და შემაქვს შიგნით, რათა მწუხარების დროს, მისი გამოყენებით მქონდეს საშუალება თავის დაღწევისა.

მართალია დაუკითხავად შემოგეჭერი ცხოვრებაში და ვცდილობ ადგილის დამკვიდრებას, მაგრამ სიყვარულმა წინასწარ შეკითხვა არ იცის და პასუხს არც ელოდება.

***

ჩემი ნექტარი ხარ, რომელსაც ვსვამ დაუსრულებლად შენი სილამაზის თასიდან და ცხოვრებაში ასე ნასვამი დავიარები. ამიტომ სიშორით გამოწვეული მდგომარეობა მაიძულებს გული ეტლად გამოვაბა მოგონებათა მერნებს და ერთი ძლიერი გამოქროლვით გავათელინო თავი, რათა გამიჭირდეს დანახვა სხვა ქალწულთა სინაზისა, თუნდაც სიახლოვეში.

გთხოვ, ნუ მიიღებ სიტყვებს, ფიქრებში დამცირებულად, არამედ განადიდე და დაიცავი სიცოცხლეში ერთმანეთის საბედნიეროდ.

***

როგორ ხარ, ჩემო ლამაზო მერცხალო, რომელიც გადაფრინდა სიცივის გამო შორეულ მხარეს და გაზაფხულზე აღარ დაბრუნებულა. ნუთუ ვინმე შეუყვარდა ძალიან და ბუდეს იშენებს სამუდამოდ დარჩენისათვის, მაშინ ხომ ზედმეტი ვიქნები და შემაწუხებელი წყვილთა ცხოვრების სიმყუდროვის დარღვევისა. წინასწარ შემატყობინე ყოველივე და გპირდები მორიდებას, რათა თავისუფლება გქონდეს მონიჭებული კალმის წვერიდან.

***

ჩემი მნემოსინე ხარ, რომლის დაკავშირებითაც იშვა უმშვენიერესი მუზები ფურცლებზე და უკვე გამოზრდილნი ზღვა მელანით დედად გიხმობენ დიდი ხანია, მაგრამ შენ კი არ მოდიხარ სანახავად და არაფერს ეუბნები სანუგეშოს, რათა სამუდამოდ დააწყნარო აღელვებულები. ნუთე მიატოვებ ობლებად და უპატიებელი შეცდომით დაიმძიმებ უცოდველ სულს. იმედი მაქვს, გაფიქრებაც ძნელი იქნება წარმოთქმული სიტყვებისა და ალბათ ბედის სასწორს ხელის შეხებით გადმოხრი ნამდვილი სიყვარულისაკენ და პოეტის გახდები.

***

ჩემო პატარა სამრეკლოს ზარო, რომლის რეკვა გულის ფეთქვას ესადაგება და მიწვევს ლამაზი ტაძრისაკენ სიყვარულის ლოცვის წარმოსათქმელად. ნუთუ შეიძლება ასეთ დროს უარი ვუთხრა და პირი ვიბრუნო, ანდა როდესაც პირველი გრძნობა გაიასამანდა სულის სუნთქვაში მოსმენისთანავე და შეიძინა საუცხოო თვისება მორჩილებისა. ალბათ მეყოლება მრავალი მომხრე და გამართლება მექნება, მოვნახო შენსკენ მოსასვლელი გზა გადამეტებული სიხარულის განსაცდელად, მაშინ გააგრძელე რეკვა და ასე გამიადვილე დასახული მიზნის მიღწევა.

***

როგორ ხარ, მოქარგულო მერდინო, რომელშიც მინდა თავი შევაფარო და დავისვენო სამუდამოდ, თორემ ცხოვრებისგან წამოსული წვიმა ცდილობს დამასველოს ისე, რომ შეციებულმა ვეღარასდროს შევძლო ფეხზე წამოდგომა. გევედრები, ნუ იქნები, მოსალოდნელი უბედურების მიზეზი და სათავე, არამედ ყოველივე სასიკეთოდ შემიცვალოს მგრძნობიარე გულმა და ფიქრებმა კარგად შეისისხლხორცონ სიყვარულის შინაარსის გამომხატველი წერილები.

***

გამარჯობა, ჩემო სიბრძნეო, რომელიც ცხოვრებას მიადვილებს სიმშვიდეში და მიჩვენებს სწორ არჩევანს ცდომილების გარეშე. ამიტომ ვუფრთხილდები ასეთ იშვიათ თვისებას და ვეთაყვანები ძალიან, მაგრამ სასურველი ბედნიერების მისაღწევად მაინც სიყვარულია გადამწყვეტი. თუ დამეთანხმება შენი სათნოება, მაშინ სიმარტოვით გამოწვეული დანაკლისი შემივსოს რომანტიკული პაემნის ფონზე ღამის სილაჟვარდეში, სადაც პირისპირ წარმოთქმული სიტყვები უფრო მეტად ჩაგწვდებიან გულის ულამაზეს სივრცეებში.

***

ჩემი ანდამატი ხარ, რომელიც მიზიდავს ნელ-ნელა და უნდა გულში ჩამიკრას განუშორებლად, მაგრამ მომავალი გზა ყოველთვის თავისუფალი არაა და მიძნელდება, წინ აღმართული სვეტები გადავლახო უბრალო ნებით. გთხოვ, მაპატიო დროებითი წარუმატებლობა და წარმატებად მხოლოდ დაწერილი წერილები ჩამითვალოს შენმა თვალთა მშვენიერებამ, რისთვისაც მრავალ მადლობას მოგახსენებ თუ როდისმე გავიგებ ბაგეთა მიერ სასიკეთოდ გამოხატულ სიტყვებს უცნობისადმი.

***

ჩემი სტრიქონები ხარ, რომელნიც გაჟღენთილია სიყვარულის მაცოცხლებელი სიტყვებით და ასეა გამშვენიერებული გულის გრძნობათა პალიტრით დროის სიჩუმეში. ამიტომ თავშეკავება გამორიცხულია ასაკის მატებასთან ერთად და მიუღებელი, თუმცა არ მინდა ძალიან შეგაწუხო ფურცლების ალაგზე უკვდავებად გარდაქმნილი სურვილების გათამამებით, რისთვისაც ბოდიშს გიხდი და ქედს ვიხრი შენი განუზომელი მოწყალების წინაშე.

***

ჩემი სტიქია ხარ, რომელშიც შესვლა აღტაცებაა გულისათვის და დიდი სურვილი ნებისმიერ დროს კალამის შესარხევად ფურცელთა მიდამოებზე. ყოველთვის ვცდილობ თვალით წარმოვისახო შენი უნეტარესი სახე და ასე მივაღწიო გრძნობათა ზენიტს ოცნებათა გალაქტიკაში, თორემ სხვა შემთხვევით სარგებლობას სიცრუის ხარისხი მიენიჭებოდა, რაც მწუხარების გარდა არაფერს მოუტანდა მწერალს.

ალბათ მიმიხვდები წაკითხვის შემდეგ, რომ ადამიანმა შეიძლება მორიდებით იპოვოს მიჩქმალული სინამდვილე და შეხვდეს სინათლეს, რის იმედადაც იმყოფება.

***

გამარჯობა, ჩემო იდილია,რომლის დარღვევას ვერავის ვაპატიებ და მზად ვიქნები, საკუთარი სულით დავიცვა, თუ ეს საშიშროება დაემუქრება როდისმე. გთხოვ, შენც საპასუხო გულმოდგინება გამოიჩინო და ყოველთვის იდგე გრძნობათა სადარაჯოზე, რასაც სიყვარული გავალდებულებს, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში, უაზრობაში განივთდება წერილთა დასები და დიდი სიბრალული ექნებათ ქვეყანაზე. ვფიქრობ, მიიღებ გაფრთხილებას და გამოცდი თითოეული სიტყვის სიძლიერეს შენი გულის საგრდემლოზე.

***

ჩემი ცხოვრების კიდე ხარ, რომლის იქითაც უფსკრული მიგრძვნია და სხვა არაფერი მხოლოდ. ამიტომ თუ გცანი განუმეორებლად და ძვირფასად, განა საწყენია და შეუთვისებელი? მინდა ერთხელ შენც გადმოდგა ნაბიჯი პოეტისაკენ და საბოლოდ ჩამოხსნა სევდის ნიღაბი სახიდან უნაზესი ხელების შეხებით, მაშინ ხომ მომავალი იქნება ანგელოზივით გამცილებელი სიყვარულის ბილიკებზე.

***

ჩემი სიყვარულის მასწავლებელი ხარ, რომლის სიმძიმის გაწევაც თავისუფლად შეიძელი სიშორეში და მოსწავლედ ამიყვანე ცხოვრებაში. ამიტომ ვცდილობ დრო არ დავკარგო და გულში შემოფენილი გრძნობები კარგად ავითვისო, რათა შენი ჩამოსვლისთანავე ათიანზე ჩაგაბარო თუ მომისმენ ყურადღებით და გაღიმებით დამამშვიდებ, მაშინ ბევრ საერთოს გამოვნახავთ, დარწმუნებული ვარ და უფრო ახლოს გავიცნობთ ერთმანეთს.

***

როგორ ხარ, ჩემი სიყვარულის ალავერდო, რომელიც შენთან მინდა გადმოვიდე სუფთა გულით და თუ უარს მეტყვი, იცოდე, ღმერთის წყრომას დაიმსახურებ. გთხოვ, გამომართვა სიხარულით შევსებული ბარძიმი და მიიღო ბოლომდე მოწყურებული ბაგეებით, როცა ლამაზი დრო დაგვიდგება. მანამდე კი შეგიძლია თავისუფლად იყო და დატკბე წერილების კითხვით განმარტოებულ ადგილას. მხოლოდ უსინდისობა იქნება ვისარგებლო ბავშვური ასაკით და სიმცდარეში შეგიყვანო, მაშინ ხომ თავს გავიმეტებ სატანჯველად შენდამი სანატრელ სიცოცხლეში.

***

გამარჯობა, სულით მდიდარო გოგონა, რომლის მიბაძვაც უპირველეს ადგილს იკავებს გულში და ეს სიკეთე მიიღწევა სხვათა უანგაროდ დახმარების გამოხატვით. მინდა გამოვთქვა მზადყოფნა და მცირედად მაინც მიგემსგავსო, რითაც თავს ჩავთვლი ბედნიერად. გთხოვ, მანამადე დამიცადო და არ გამიმეტო აჩქარებით ფიქრებიდან წამოსული რისხვის ნიადაგზე, რასაც თან მიჰყვება ცხოვრების გზაზე აფერადებული ახალგაზრდობა და ულამაზეს სიყვარულს დათმობილი წუთები. ამის გამო თუ კი რაიმე უსახურს მინახავ წერილებში, მაშინ ნაკუწებად აქციე და წყალს გაატანე სამუდამოდ.

***

როგორ ხარ, გულის პატარა ბინადარო, რომელიც შემოსახლდა სიყვარულის დაუვიწყარი დღიდან და საოცარი სილამაზე შემოიტანა. ამიტომ ვიღწვი არაფერი დავუშავო განაზებულს და სიტყვები კრიალოსანივით დავმარცვლო ფურცლებზე, რათა ყოველი მოქმედება შეესამამებოდეს სიწრფელეს და ზუსტად აღწერდეს ნაგრძნობს, თორემ, სხვა შემთხვევაში, პირფერობის ელფერი დამედება და დავიმკვიდრებ

ისეთ სახელს, რაც ჩემს პიროვნებას ჩრდილში დააყენებს.

ალბათ წერილების კარგად გაცნობის შემდეგ სამართლიანად შემაფასებ და მიხვდები, რას წარმოვადგენ საბოლოოდ.

***

ჩემი აფროდიტე ხარ, რომლის სიყვარულისა და სილამაზის თანაზიარობას ყველა შენატრის ფარული ზრახვებით, მაგრამ რჩეულის ხვედრი მაინც სხვა არის და გაიშვიათებულია ოქროსავით. მართალია ჩემი თავდაპირველი მოღვაწეობა ტრფობის გზებზე, მრავალ დღეთა საფასურად შეიძლება წარუმატებელი იყოს და ძალიან დამტანჯველი, სამაგიეროდ, დასასრული აუცილებლად იქნება გამარჯვების მომტანი, რადგან მსხვერპლის გაღება მხოლოდ რჩეულებს შეუძლიათ სიყვარულის სამსხვერპლოზე.

***

როგორ ხარ, ჩემო ტირადა, რომელსაც მათქმევინებს მდგომარეობა უხარისხობის შენთან მიმართებაში და მხოლოდ დაშორების საბაბს მიქმნის, რისი გაფიქრებაც კი მზარავს. ამიტომ უკანასკნელად შევეცდები გავიბრძოლო თანასწორობის აღსადგენად ცხოვრებაში და მივაღწიო მიზანს თავისუფლებისთვის ბრძოლაში. თავისუფლებაში კი უპირველესად იგულისხმება ნამდვილი სიყვარული, რაც დიდი ხნის მნატვრელს მინდა გადმომეცეს ჯილდოს მსგავსად დამსახურებისათვის უმშვენიერესი ხელებიდან.

***

როგორ ხარ, ჩემო სიძლიერევ, რომლის შეწევნითაც ცხოვრების შემოტევას ვუმკლავდები თითქმის ყოველ წამს და მწამს, ეს სიძლიერე დაუსრულებელი იქნება, ვიდრე გული არ შეწყვეტს ბრუნვას სიყვარულის მზის გარშემო. სანამ შე-

ნამდე მოვიდოდე, მანამდე შემეძლება დაგამშვიდო სულიდან ამოღებული ულამაზესი სიტყვებით და შეგამზადო წინასწარ დანიშნულ საბედოდ მომავლის ნაზი საფეხურების გასავლელად სიმაღლეებისაკენ, თუ დამეთანხმები და ჩემს აზრებს გაიზიარებ.

ახლა შენზეა დამოკიდებული უპირატესობის არჩევა მრავალთა შორის და მართლმსაჯულების აღსრულება დამსახურების მიხედვით.

***

ჩემი საუცხოოდ სურნელოვანი მირონი ხარ, რომელიც სულში დამედინა ღვთაებრივ წყაროდ შენი მშვენიერებიდან და სრულიად აღმივსო სიყვარულისთვის შემორჩენილი გრძნობათა ადგილი საამებლად პოეტურ ხიბლში განდიდებისათვის. ფიქრებს სანთლებად გინთებ და გწირავ ჩუმ ვედრებაში შეფარებული ერთი სურვილის ასამაღლებლად.

დიდი ხანია ველოდი განთავისუფლების დღეს ცხოვრებისეული ტყვეობიდან და აი, ახლოვდება კიდეც ნელ-ნელა აისივით, რაც მახარებს ყველაზე ძალიან და უფრო მეტ შემართებას მანიჭებს წერილების მოსაწერად უნაზესობისათვის.

***

როგორ ხარ, ლამაზო ფოლიანტო, რომლის შექმნაში დიდი ამაგი მიმიძღვის და ჩემი სულის საუკეთესო ნაწილი ტრიალებს უთეთრეს ფურცლებზე მტრედივით მოფარფატე, მხოლოდ იმიტომ, რომ მისმა უნაზესმა დაქროლვამ წაკითხვის ჟამს გულში და ფიქრებში განგაცდევინოს სიყვარულის განუმეორებელი სახება გრძნობათა რიდეებით შემკობილი.

ნუ მკითხავ, რატომ და რისთვის ვწუხდები, მაშინ თუ მოგეჩვენება გაუმართლებლად უცნობის აღტკინება ქალწულებრივი უკარებლობის წინაშე, რადგან პასუხი ერთმნიშვნელოვანი იქნება ყოველთვის და შეუცვლელი.

***

გამარჯობა, პატარა თოლია, რომელიც ლამაზად დანარნარებს გულის ლურჯ ზღვაზე და აღმინთებს გრძნობებს მარადიული სიყვარულის შესაცნობად იმ სივრცეთა შორის, რაც გვაშორებს ორივეს ახლა. ვინ იცის, იქნებ როდისმე შეუერთდე სიოს დაქროლვაზე აღელვებულ ტალღებს, რომ ნავად დავარწიო უსასრულო სიღრმეებისაკენ და თუ დაიკარგები, გახსენებით ჩავიკლა უსაზღვრო მწუხარება დროების ნისლისგან წარმოქმნილი. ალბათ ამაში მაინც შევძლებ დაგითანხმო და თვითდაჯერებულმა მეტი უფლება მივცე უიმედო ფიქრებს.

გამოსთქვამენი

სიყვარული მშვიდობის თეთრი მტრედია გულში მოფრენილი;
სიყვარული ლურჯი ზღვაა მზის სხივებით აყიმყრიმებული;
სიყვარული ყისარტყელაა ორი ანგელოზის შემაერთებელი;
სიყვარული ლამაზი ვარდია სურნელებაში განფენილი;
სიყვარული მარადისობაა ყაში ლოყვებად აღვლენილი.

ჩემი ხელი ხემივით შეეხება შენი სხეულის საკრავზე სიმებად დაფენილ თმებს და სიყვარულის მშვენიერ აკორდს აანყობს, რომელიყ უნაზესი ხმით აგამღერებს, ვით ყაში მგალობელი ანგელოზი.

თეთნულდის თოვლივით თეთრად თლილი თითები, თვალთა თილისმად თარეში თავის თაფლად თრობაა თითქოს.



მე შენი მშვენიერი თვალების ლაბირინთებში ვარ დაკარგული და მესმის მხოლოდ გულის გახშირებული ფეთქვა, რომელიყ საძრეკლოს ზარივით მიჩვენებს ჯეშმარიტების გზას ტაძრისაკენ, სადაყ შენი ხატებაა დავანებული.



სიყვარული ნაზი არსებაა, რომელიყ შენშია განსხეულებული და ყოველ წამს გრძნობ მისი სულის სუნთქვას და გულის ფეთქვას, ოყნებებში დავანებული ლამაზი ფერებით.



აუყილებელი არაა, რომ ყველამ ხატვა იყოდეს;
აუყილებელი არაა, რომ ყველამ სიმღერა იყოდეს;
აუყილებელი არაა, რომ ყველამ ლექსის წერა იყოდეს;
აუყილებელია, რომ ყველამ სიყვარული იყოდეს.

ჩემი სიყვარული განნირული გედის სიმღერაა, რომელიც უკანასკნელად უხმობს შორით მავალ საფრფოს, მოფრინდეს და შვება მოჰგვაროს, ვიდრე დასრულდებოდეს ესოდენ სანატრელი სიცოცხლე უძირო ტბის ულამაზეს სივრცეებში.

მე სილურჯეში განფენილი ზღვა ვარ, შენ კი ჩემს ტალღებში ნავით მონავარდე თეთრი გოგონა, რომლის უნაზესი ცრემლები მაღელვებს და ფიქრებს ღრუბლებად წარმოქმნის გასანვიმებლად, მაშინ არ ვიცი, როგორ განვუქარვო გულის ზრახვები სათნოებაში, როგორ მივუალერსო დამფრთხალი მტრედივით მიუჩვევ სულს, ხოლო თუ მიმზერ თბილი თვალებით, ცის სიმშვიდე მიუფლებს და მიმყავხარ შორს, რათა გიჩვენო სიყვარულის უსაზღვროება მშვენიერებით აელვარებული.

მე მხოლოდ შენი უსათნოესი სახის ხატება მინამებია ამ ქვეყანაზე, რომელზეც ყოველდღე ვლოცულობ–მომანიჭოს ლურჯი ზეცასავით წმინდა და ამაღლებული სიყვარული, რაც უფრო გაალამაზებს და გაამშვენიერებს ჩემი ცხოვრების შორით სავალ ბილიკებს.

ქვეყანაზე მხოლოდ ცხრა მუზა არსებობს, ხოლო თუ ჩვენც ლამაზი რითმებივით შეკვნყობით ერთმანეთს შეგვიძლია ვშვათ სხვა გრძნობა, რომელსაც სიყვარულის მეათე მუზა დაერქმევა ჩემი სულის ამღერებულ პოეზიაში.

შენ მაღალი, ხელშეუხები მწვერვალივით მოსჩანხარ ჩემი თვალსანიერიდან და მე მსურს პირველი ვიყო, ვინც

დაგიპყრობს ტრფობის სამსხვერპლოზე და სიყვარულის ალამს აფრიალებს მარადისობის ნიშნად.

გთხოვ, შენი ღვთაებრივი სითხე ჩემი სულის ყარიელ ფიალაში ჩაღვარო და ამავსო უსაზღვრო ბედნიერებით, სადაც სიყვარულის დაუჯენობელი ვარდი გაიშლება მუზებით დაფარულ გრძნობის ველზე.

საოცარი სალოცავია სამება, სადაც სათუთად საგალობელია სატრფოს სახელი.

სიყვარული ატმის ყვავილებად, მაშინ ხარობს, როცა სატრფო გაზაფხულად მოდის შენი გულის დაზამთრებულ ნაპირებზე.

შენი სილამაზით გამონვეულმა გრძნობის უხილავმა ძაფებმა გადაფარა ჩემი გული სინაზეში მფეთქავი და სიყვარულის უქრობელი ლამპარი აღანთო მის სივრცეში, მიჩვენა პოეზიის საოცარი გზა მარადისობისკენ მიმავალი, როგორც ერთი ასულის თვალებით გაბრწყინებული.

სარჩევი

ლექსები

ოცნების წყარო 7
სატრფოვ 7
ოცნების ბილიკი 8
სიყვარულის ტრფიალება 8
წმინდა სანთელი 9
ცის სიმფონია 9
სიტყვა რჩეული 10
ვერ შეველევი 10
თეთრო მტრედო 11
ანგელოზის სახე 11
შენზე ოცნება 12
სიზმრებში მაინც 12
შენ გაიზრდები 13
ჩემო ოცნება 13
უმანკო შველი 14
ლექსების მიძღვნა 14
შენი სიმღერები 15
დაბრუნება გვიან 15
წმინდა გრძნობები 16
სიტურფის ვარდი 16
პატარა დედოფალი 17
თეთრი ანგელოზი 17
შენი ხმა 18
პირველმა 18
კვალი 19
მოგეფერები 19
ხმა უნაზესი 20
როგორც რითმები 20
ჩემი ვნებანი 21
ნავი 21

მთვარე 22
გულის ცემა 22
შენზე ვწერო 23
მინდა მომენდო 23
სხვებზე რჩეული 24
ზღაპარი ამკობს 24
დღის გათენება 25
შენი მოვლენა 25
ნუ გაშინებს 26
ძვირფასო შენზე 26
ვარდობის თვეში 27
მომეცით თასი 27
სასახლეში 28
შენი თვალები 28
გაგეტოლები 29
გავიყოლიო 29
ჭეშმარიტება 30
ნაზი ქმნილება 31
მშვენიერება 32
სულის პრინცესა 32
მილიარდები 33
ლოდინით გელი 34
პირწმინდა ვალი 35
პაწაწინა გოგონაო 35
მზეო ნანატრო 36
შენი სადიდებელი 36
ედემას ბაღი 37
გულის ვედრება 37
სურვილი 38
ყვავილთა გროვა 38
ნუ მომატყუებ 39
შენი სიცოცხლე 39
კარავი 40

ცრემლები 40
ქუჩიდან 41
გემით 42
შენი ვოკალი 43
დიდო ნუგეშო 44
უიმედობა 45
ღამის მშვიდობა 46
დედოფალი ხარ 47
პოეზიის გამობრწყინება 48
საბაბი 48
თოვლზე ცივი 49
ვიპოვე შვება 50
უცხო ხედებად 50
ნუ მიმატოვებ 51
ნანატრი ფონი 52
თეთრბანოვანო 52
დავემსგავსები 53
თვალთა ცეცება 53
მოფრინდი 54
გრძნობის კალამო 55
ჩემი გერქმევა 55
ჯერ კიდევ ბავშვი 56
ყველაზე კარგი 56
ცისფერი ოცნება 57
არა მკრა ხელი 57
სადმე დაგხვდები 58
უნდა ვეწამო 59
შველი 60
ჩვენს სიშორეში 60
წმინდაზე წმინდა 61
ფენიქსი 62
გავხალისდები 62
ფრთათეთრ გედებად 62

მშვენიერება ერთია 63
ოცნებებში ნებიერი 64
ეს გაუმარჯოს 64
სახის ხატება 65
როგორც დიდებულს 66
კელაპტრის სხივი 66
სპექტაკლს 67
თმების შოლიო 67
მარად უცვლელი 68
ქნარი 68
სიმშვიდე სახლის 69
უთეთრეს რიდეს 70
მე ბევრს შევძლებდი 70
გრძნობის ბწკარები 71
ძლიერ ვნებული 71
ოქროს საწმისი 72
ბედი 72
წასული ელფი 73
შემოდი ოთახს 73
ღამით 74
თეთრი ვარდებით 74
შენი ერთგული 75
განმარტოება 75
ლამაზი სიყვარული 76
მიმოწერა 76
სივრცე 77
სანთლად იწვოდე 77
უცხო ვარ 78
ნუ დამივიწყებ 78
ფიანდაზად 79
წყარო ვარ 80
ლამაზო ლედი 80
დაბნეული 81

მადლიერება 81
სასრული 82
წყვილი 82
თეთრი ფერია 83
ოცნება აუხდენელი 83
მონაქროლი ნიავი 84
გრძნობა წარსულის 84
მარად დაუჭკნობია 85
სიყვარულის ფიცი 85
ნუ მაწვალებ 86
ახლოს მყოფელი 86
იერი 87
გადავიღალე 87
შეხვედრის წამი 88
ცხოვრების აზრი 88
ვაზად 89
ჩემი ლექსები 90
მტრედთა გუნდი 90
ნაპოვნი ბრილიანტი 91
სიყვარულის ზღვა 91
დაგიმეგობრდე 91
შენი ღიმილი 92
მიხვდები გვიან 93
ნაზი კალები 93
ქალი 94
ნუღარ ახანებ 94
ჩავკიდოთ ხელი 95
მრავალთა შორის 95
სევდის ბილიკებს 96
შენი ღირსი 96
სიჭაბუკის ყვავილი 97
მოსაგონებლად 97
არსაით არის 98

დამნაშავეა 98
სათხოვარი 99
მოულოდნელი ჩამოსვლა 99
ხმა გავიგონე 100
მალე მოიცელები 101
არ დარაზო 102
ჩეჩვევა და ეჭვი 103
დაშორება 104
ნუ დამივიწყებ 105
თვალის შევლება 106
გაიშალე თმები 107
პოეტის გული 107
თეთრი პერანგი 108
მშვენიერებავ 108
მსურს განვიცადო 109
ბედნიერი ვარ 110
დრო სიამეში 110
არაფერი სჯობს 111
ვხარობ 112
მიუღწევი ხარ 112

პოემები

გედები 115
თეთრი ასული 153

წერილები

წერილები 177

გამონათქვამები

გამონათქვამები 237

ხელაქტორ-ჯორექტორი:	იამზე ბახბაქაძე
მხატვარ-დიზაინერი:	თამარ საღუქვაძე
აწყო და დაჯაბადონდა:	შპს."ჰრეპრინტში"
დაიბეჭდა:	შპს. "გამომცემლობა ჯოლოხში"